ლიბერალი

№ 157
დეკემბერი 2014 / იანვარი 2015

# "ჯაიბი ნელინაძის" მოლოდინში

გვ. 12

ფასი 5 ლარი
ISSN 1987-7528

1737
2014



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოტა iOS-ისთვის




## ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან **iTune**-ზე მოძებნეთ **„IOTA READER"**

ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘ

№ 157 / ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2014 – ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ზურაბ ვარდიაშვილი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ირაკლი აბსანძე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
გიორგი ჭეიშვილი

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ/ ᲛᲔᲓᲘᲐᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ლიკა ზაკაშვილი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
დათო გამისონია

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ლევან ხერხეულიძე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ქეთევან ლვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მალალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი.

ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲑᲣᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ლევან ახალაია, მალხაზ სონღულაშვილი, დათო ქორიძე, სანდრო ასათიანი, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე, ირაკლი ხვადაგიანი, ცირა ელისაშვილი, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ
თორნიკე ლორთქიფანიძე

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ/ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ნათია ორმოცაძე

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢ/ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კალატოზიშვილი

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ქეთევან ქავთარაძე

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ
ელენე ხარაზაშვილი

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ
ირმა მოსულიშვილი

ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲢᲝᲠᲘ
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge

# ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ



## ᲐᲠᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲐ

არცოდნა არ ცოდვაა – ამბობს ძველი ანდაზა. ანდაზები ხალხურია. ხალხი ბრძენია.

შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გამოთქმა – არცოდნა არცოდვაა – ბრძნულია.

მაგრამ არსებობს გამონაკლისები.

გამონაკლისები კი, მოგეხსენებათ, ადასტურებს წესს.

მაშ, როდისაა არცოდნა ცოდვა?

ცოდვაა, როდესაც თანასწორობის იდეაზე არაფერი იცი და უმაღლესი სასულიერო ამბიონიდან ქადაგებ.

როდესაც ვერ ხვდები, ბიუჯეტი როგორ აითვისო, და მინისტრთა კაბინეტის წევრი ხარ – ასევე ცოდვაა.

ადამიანის უფლებებზე თუ ოდნავი წარმოდგენაც არ გაქვს და პარლამენტის დეპუტატის სავარძელში ზიხარ – ესეც ცოდვასთან ზიარებაა, პირდაპირი.

ცოდვაა, როდესაც არცერთ მნიშვნელოვან ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაზე წარმოდგენა არ გაქვს, და პარალელურად ეთერით უზარმაზარ აუდიტორიას კვებავ საწამლავით, რომელსაც ჰქვია – სტერეოტიპები, სტიგმა, დისკრიმინაცია...

ცოდვაა, როდესაც არ იცი, საკუთარი ნათესავები როგორ აკონტროლო, და ამ დროს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას ფლობ.

დიდი ცოდვაა, არ იცოდე, რომ ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა, რომლებიც ხელისუფლებაში (აღმასრულებელსა თუ საკანონმდებლოში) მოიყვანე, არაფერი იციან, და ქვეყნის არაფორმალური მმართველი კი იყო.

არცოდნის ცოდვათა სია გრძელია და შთამბეჭდავი.

ვერავის მოვუწოდებ შეინანოს, ვერავის დავემუქრები მოახლოებული ცათა სასუფევლით, მაგრამ უახლესი ისტორია ამბობს – ცოდვები ისჯება.

დამდეგ შობა-ახალ წელიწადს გილოცავთ.

*ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი*

298/8

ელექტრონული ბიბლიოთეკა



პოლიტიკა

## "კაიბი ნელინადის" მოლოდინში

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კიდევ ერთი რამ დაგვანახა – მთავრობის შეცდომების პრევენციისა და გამოსწორებისათვის (და იმაზე, რომ ჯანყარაშვილი-ჩხენკელების კლანის აღზევება ნამდვილად შეცდომა იყო, არავინ კამათობს), ქართული საზოგადოების ხელთ არსებული ერთადერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი ბიძინა ივანიშვილია. თუ რაიმეს ძირეულად შეცვლა გინდა, უნდა მოახერხო, რომ ბიძინა ივანიშვილმა შენნაირად იფიქროს. ეს არ არის პოლიტიკური (მით უმეტეს, ემპირიული გაგებით დემოკრატიული) პროცესი, მაგრამ არის რეალობა, რომლის გათვალისწინება, იმავე ბიძინა ივანიშვილის წინასწარმეტყველებით, 2030 წლამდე მოგვიწევს.

ირაკლი აბსანძე
გვ.12

პოლიტიკა

## ინტერვიუ ბიბა ბოკერიასთან

უმცირესობების საკითხი პირდაპირ კავშირშია საერთო ძალადობრივ ფონთან, მაგრამ ამავე დროს ისინი განსაკუთრებით სასტიკი საფრთხის წინაშე არიან. ვერ ვიტყვი, რომ ეს ახალი მთავრობის მიერ შექმნილი პრობლემაა. ასე არ არის. სამწუხაროდ, ეს პრობლემა კარგა ხანია არსებობს. ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელმაც თავისუფლება მიიღო, ამ თავისუფლებას კი მოაქვს გამოწვევები, მათ შორის შენგან ნებისმიერი ნიშნით განსხვავებულის მიღება. ამ კუთხითაც, ივანიშვილის გუნდის მოსვლასთან ერთად მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა.



გიორგი ჭეიშვილი
გვ.16

პოლიტიკა

# ინტერვიუ ირაკლი ალასანიასთან

მოსმენების კანონი, რომელიც ახლა მიიღო პარლამენტმა, უკან გადადგმული დიდი ნაბიჯია. საზოგადოებას ვპირდები, რომ ცვლილების შემდეგ აუცილებლად შევძლებთ ნდობის მოპოვებას იმ სპეციალური ოპერატიული სამსახურების მიმართ, რომლებიც ამ მოსმენებს, ფარულ მიყურადებასა და თვალთვალს ახორციელებენ, მათგან გავიტანთ სერვერსაც და გასაღებსაც, რათა მოსამართლემ და საზოგადოებამ შეძლოს კონტროლი, თუ როდის და როგორ იყენებს სპეცსამსახური ამ უნიკალურ, ძალიან სპეციფიკურ შესაძლებლობას ისე, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების შესაძლებლობები – ებრძოლოს კრიმინალს, ტერორიზმს და აწარმოოს კონტრდაზვერვითი სამუშაოები – არ დაზიანდეს.

*გიორგი ჭეიშვილი*
გვ.26

ფოტოპროექტი

# სანამ შეიმოსებოდნენ



*დათო ქორიძე*
გვ. 50–57



საზოგადოება

# „ქრისტეული თავისუფლების მომტანი"

ჩვენი ვიზიტი ცუდად კი დავიწყეთ, მაგრამ მერე ძალიან კარგად გაგრძელდა. სადაც მივდიოდით ყველგან ავტომატებით შეიარაღებული ორი-სამი ჯარისკაცი დაგვდევდა თან. იმამ ალის საფლავზე მივიდოდით ნაჯაფში თუ იმამ ჰუსეინის საფლავზე კარბალაში, ყველგან მოწიწებით გვღებულობდნენ. ხოლო, როცა ხედავდნენ, რომ მათ სალოცავში ვლოცულობდი, ლოცვის დამთავრებისთანავე გარს გვერტყმოდნენ და კითხვას კითხვაზე გვაყრიდნენ: „ქრისტიანები ხართ?" „აქ შეიძლება თქვენთვის ლოცვა?" „თქვენ პატივსა სცემთ იმამ ალის?"

*მალხაზ სონღულაშვილი*
გვ.44

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნომერში:**



ილუსტრაცია: სოფო კირთაძე / ვიკიპედია


**უცხოეთი**

06 კიდევ ერთხელ შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

**პოლიტიკა**

12 „კარგი წელიწადის" მოლოდინში

16 ინტერვიუ გიგა ბოკერიასთან

22 ოცნების შეუსრულებელი დაპირებები

26 ინტერვიუ ირაკლი ალასანიასთან

**საზოგადოება**

32 დაუცველი პირადი

38 მინისქვეშა ქალაქის გუშაგები

44 „კურთხეულია თავისუფლების მომტანი"

**ფოტოპროექტი**

50 სანამ შეიმოსებოდნენ

**ტექნოლოგიები**

58 რეალური ბრძოლის ვირტუალური ველი

**ბიბლიოთეკა**

62 „დასტაევსკის დაურტყამს, იდიოტს"

66 საახალწლო პლაკატ-კალენდართა საქმე

**ქალაქი**

68 12 დეკემბრის ანდერძი

71 ტფილისური ახალი წელი

**კულტურა**

72 ახლო და შორეული აღმოსავლეთი

74 კულტურა და ნაგავსაყრელები, პლუს მთელი ქვეყნის ჯაზიფიკაცია

**სპორტი**

78 პროფესია


ბიბლიოთეკა

## "დასტაევსკის დაურტყამს, იდიოტს"

ლევ ტოლსტოიმ თქვა, რომ ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, აქ იგულისხმა, რომ ყველა წიგნი, რომელიც წაგიკითხავთ სისულელეა და აი ახლა წაიკითხავთ სხვა წიგნს, სხვა ამბავსო. ეს შესავალი განაცხადია – მსოფლიო ლიტერატურაში ახალ ნაბიჯს ვდგამ, წამიკითხეთო. მივხვდი, რომ ძალიან ბევრი მწერალი, ტოლსტოის მსგავსად, საკუთარ წიგნებს იწყებს რეკლამით – წამიკითხე მე!

*ლევან ბერძენიშვილი*
გვ.62

სპორტი

## პროფესია



ფიფას 200 წევრი ქვეყნიდან დღეს 180 ქვეყნის კლუბებში დაახლეობით 5 ათასი ბრაზილიელი ფეხბურთელი თამაშობს. სულ სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა ანაზღაურებისა. ბრაზილიელი ლეგიონერები ისლანდიაშიც კი არიან კვირაში ას დოლარად. მახსოვს, ერთი ასეთი ფეხბურთელის ინტერვიუ, რომელიც თავისი შემოსავლით კმაყოფილი იყო – ნახევარს ჩემს პატარა ქალაქში ვუგზავნი ოჯახს, ნახევარი კი აქ მყოფნისო. ყოველ წელიწადს სამშობლოს ტოვებს დაახლოებით 950 ბრაზილიელი ფეხბურთელი. ასევე ყოველ წელიწადს 450 ბრაზილიელი ფეხბურთელი შინ ბრუნდება სათამაშოდ. ეს მიახლოებითი ციფრებია, გასაშუალოებული და მუდმივად ცვალებადი.

*გიო ახვლედიანი*
გვ.78

**გამომცემელი:**
შპს „ლიბერალი". მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge
„ლიბერალის" საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

**ბეჭდვა:**
შპს „სეზანი". მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.


31 დეკემბრამდე
TBC · 2727
სესხების გათამაშება
მოიგეთ ბინა ბაკურიანში ORBI PALACE-ში
და სხვა პრიზები
LOANS RAFFLE
თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით
www.tbcbank.ge

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთხელ შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

„დღეს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის საშინელება წარსულშია, ალბათ უკვე შეიძლება საუბარი მესამე მსოფლიო ომზე..." – ამ სიტყვებით რომის პაპმა ფრანცისკემ იტალიის სამხრეთ ნაწილში მდებარე პირველი მსოფლიო ომის დროს დაღუპული ჯარისკაცების ყველაზე დიდ სასაფლაოზე შეკრებილ ადამიანებს მიმართა.

**ლევან ახალაია**

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ ეს სიტყვები რეალობისგან არც ისე შორსაა.

პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო დაპირისპირება მსოფლიოს ყველა ნაწილში თვალსაჩინოა. 2014 წელი პოლიტიკური მოვლენების მნიშვნელობით ყველაზე მეტად 2011 წელს ჰგავს, როდესაც მსოფლიო „არაბულმა გაზაფხულმა" მოიცვა. ისევე როგორც მაშინ, სამყარო დღესაც დიდი გეოპოლიტიკური გარდაქმნების წინაშე დგას.

## ახალი „ცივი ომი"

ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ოლიმპიადა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როდესაც მსოფლიოს ყურადღება უკვე კიევის დამოუკიდებლობის მოედნისკენ იყო მიმართული.

სოჭში გამართული სპორტული ღონისძიების გახსნის ცერემონიალის სცენარი მაყურებელს „განახლებული რუსეთის" „დაბადებას" აუწყებდა. ოლიმპიადას ევროპელი პოლიტიკოსების უმეტესობა არ დასწრებია. თებერვლის ბოლოს სნაიპერების მიერ „ევრომაიდნის" 100 აქტივისტის მკვლელობიდან 9 თვის შემდეგ კი, უელსის სამიტზე NATO-მ რუსეთი ალიანსის მოწინააღმდეგედ ოფიციალურად გამოაცხადა.

„ვლადიმერ პუტინი ძლიერი ტაქტიკოსი, თუმცა ცუდი სტრატეგია", – ასე აფასებს რუსეთის პრეზიდენტს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი. ამერიკელი დიპლომატი, და არა მხოლოდ ის, მიიჩნევს, რომ რუსეთის ლიდერმა ყირიმის ნახევარკუნძულის „მითვისებით", შემდეგ კი უკრაინის აღმოსავლეთში „ჰიბრიდული ომის" გაჩაღებით, „ევროპის დაშლის ნაცვლად მის გაერთიანებას შეუწყო ხელი".




თუმცა, როგორც გაირკვა, მოსკოვისთვის დაწესებული სანქციებით ევროკავშირის წევრების ნაწილი უკმაყოფილო დარჩა. მათ შორის იყო ჩეხეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი – სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკაც რუსეთის ბაზარზე დიდადაა დამოკიდებული.

შეშფოთება ცენტრალურსა და აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლეთ ევროპის ნაწილში მოსკოვის მიერ ბოლო წლებში გატარებული პოლიტიკის გამო ამ ქვეყნების წამყვანმა ექსპერტებმა ჯერ კიდევ 2009 წელს გამოხატეს. ლეხ ვალენსა, ვაირა ვიკე ფრაიბერგა, ალექსანდრ კვაშნიევსკი და სხვა ევროპელი პოლიტიკოსები ბარაკ ობამას წერდნენ, რომ „რუსეთის მხრიდან ღია და შენიღბული მეთოდებით წარმოებული ეკონომიკური ომი, მათ შორის ენერგეტიკული ბლოკადა, პოლიტიკურად მოტივირებული ინვესტიციები და მანიპულაციები მედიაში, მიზნად ამ რეგიონის სახელმწიფოების ევროატლანტიკური კურსის შეცვლას ისახავს“.

ამ გაფრთხილების მიუხედავად, რუსეთის მიმართ მიდგომის შეცვლა ყველაზე მეტად გერმანიას გაუჭირდა. გარდამტეხი მომენტი, როგორც ჩანს, მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოვარდნის შემდეგ დადგა. ავსტრალიაში დიდი ოცეულის სამიტის შემდეგ კი ანგელა მერკელის საჯარო გამოსვლამ ნათელი გახადა, რომ პუტინი, ბრისბენის სამიტის შემდეგ გამართული სადილის სუფრის მსგავსად, პოლიტიკურ არენაზეც ძველი მოკავშირეების გარეშე დარჩა.

ყირიმის ანექსიასა და უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტს, რომელიც სულ უფრო ემსგავსება გაყინულს, კრემლში „ევრომაიდნის“ ბუნებრივ პასუხად მიიჩნევენ.

მოსკოვში ფიქრობენ, რომ აშშ-მა აიძულა ევროკავშირი უკრაინაში მორიგი „ფერადი რევოლუცია“ მოეწყო. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით კი ბრიუსელი უკანონო მეთოდებით ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას ცდილობს. ამასთან რუსეთი კვლავ ითხოვს გარანტიას, რომ უკრაინა NATO-ს წევრი არ გახდება. ვლადიმერ პუტინის აზრით, „რუსეთის განვითარების შესაჩერებლად ვაშინგტონმა საუდის არაბეთის დახმარებით შეთქმულება მოაწყო და ნავთობის ფასების მანიპულირებით მოსკოვის პოზიციაზე ზეგავლენას ცდილობს“.

თავის მხრივ, პუტინი ევრაზიული კავშირის პროექტზე მუშაობასა და მოკავშირეების აზიაში ძებნას განაგრძობს.



ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსული სამხედრო შენაერთების, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში NATO-ს ჯარისკაცების განლაგების გეგმა მიუთითებს, რომ დაძაბულობა ამ რეგიონში მომავალ წელს, შესაძლოა, გამძაფრდეს.

საკმარისია თუ არა „ომის საფრთხე“ ევროპისა და აშშ-ის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა.

## „ტერორისტული სახელმწიფო“

ავღანეთში ISAF-ის მისიის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე და №1 ტერორისტის – ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ, ალბათ, აღარავის წარმოედგინა, რომ სამყარო მსოფლიო ჯიჰადის გამოცხადების წინაშე კიდევ ერთხელ დადგებოდა.

ერაყის მთავრობის ყოფილი მეთაურის, ნური ალ მალიკის, მიერ სუნიტების მიმართ გატარებული ხისტი პოლიტიკისა და სირიაში ხანგრძლივი სამოქალაქო ომის შედეგად, 2014 წლის დასაწყისში „ალ ქაიდას“ ყოფილმა წევრებმა ერაყისა და სირიის ტერიტორიების ნაწილი „ტერორისტულ სახელმწიფოდ“ გამოაცხადეს. დაარსებიდან 8 თვის შემდეგ „ისლამური სახელმწიფო“ 50 ათასზე მეტ მებრძოლს აერთიანებს. მათი ნაწილი ევროპული ქვეყნებიდანაა. თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებისა და ბუნებრივი რესურსების შავ ბაზარზე გასხვისებით მიღებული შემოსავლების საშუალებით, ექსტრემისტული დაჯგუფება მხარდამჭერებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს. ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეორგოლებში მებრძოლები სულ უფრო ხშირად საუბრობენ ინგლისურად და სახესაც აღარ მალავენ. რადიკალური ისლამის მიმდევრები მმართველობის საკუთარი სისტემის ჩამოყალიბების გზით არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ.

პენტაგონში ფაქტობრივად აღიარეს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია დროულად ვერ შეიმუშავეს. ერაყის არმიის სისუსტის, სირიელი ოპოზიციონერების მოუმზადებლობისა და დაზვერვის შეცდომების გამო ტერორისტების დამარცხება მხოლოდ აშშ-ისა და მისი მოკავშირე არაბული და ევროპული ქვეყნების გამანადგურებლების დახმარებით ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. აშშ-ის პრეზიდენტი ამერიკელი სამხედროების ერაყში ხელახლა გაგზავნის წი-

ნაალმდეგია და ხმელეთზე შეტევის დაწყებისკენ თურქეთს მოუწოდებს, რასაც ანკარა NATO-ს ჩართულობის გარეშე არ თანხმდება. „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის ჩავარდნამ წლის ბოლოს აშშ-ის თავდაცვის მდივნის პოლიტიკური კარიერა შეიწირა. უკვე ცნობილია, რომ ჩაკ ჰეიგელის ნაცვლად მომავალი წლიდან ექსტრემისტებთან ბრძოლის კოორდინირება პროფესიით ფიზიკოს ეშტონ კარტერს მოუწევს.

„ისლამური სახელმწიფოს" წევრი ევროპელი მებრძოლების სამშობლოში დაბრუნების ალბათობით შეშფოთებული ევროკავშირი კი აქტიურად ცდილობს დახვეწოს კანონმდებლობა, რათა ტერორისტული თავდასხმების საფრთხე გაანეიტრალოს.

საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების შესახებ ერთ-ერთმა პირველმა, ამ საკითხით ისედაც „შეწუხებულმა" გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ, განაცხადა. სირიიდან და ერაყიდან ლტოლვილების ნაკადი არ იკლებს, რაც ამ ორი ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოებს რთულ ვითარებაში აგდებს. იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი 2 მილიონს უახლოვდება.

სირიაში კონფლიქტის სასურველი შედეგით დასრულებისა და „ისლამური სახელმწიფოს" „საჭირო დროს" დამარცხების მიზანი ამოძრავებთ იმ სახელმწიფოებს, სადაც მმართველ ელიტაში სუნიტები არიან. აშშ-ის მოკავშირე საუდის არაბეთი ღიად აცხადებს, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად ამ შემთხვევაშიც მზად არის ყველაზე მძლავრი ბერკეტი – ნავთობი – გამოიყენოს. საპირისპირო მხარეს კი ეკონომიკური სანქციებით შედარებით დასუსტებული რუსეთი და შიიტური ირანი დგანან. თუმცა ამ უკანასკნელს ჟენევაში, ე.წ. ექვსეულთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ დასავლეთის ეკონომიკური სანქციების მოხსნის იმედი აქვს და ამიტომ „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებს ერაყში ჯერ მხოლოდ „შეფარულად" ბომბავს.

„ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლაში მნიშვნელოვანია NATO-ს როლიც. ჯერჯერობით ალიანსში სამხედრო ოპერაციის დაწყებას გამორიცხავენ, თუმცა წლის ბოლოს ავღანეთიდან კოალიციური ძალების გამოსვლასთან ერთად ბრიუსელში აქტიურად მსჯელობენ ახალ საფრთხეებზე, ხოლო ერაყსა და სირიაში გაბატონებული ექსტრემისტების დამარცხება მთავარ ამოცანად სახელდება.



### „ახლო აღმოსავლური ჩიხი"

ომის საფრთხე კვლავ რეალურია ისრაელსა და პალესტინაში, სადაც 2014 წლის ზაფხულში 50-დღიანი სამხედრო დაპირსპირების დროს 2.200 ადამიანი დაიღუპა.

ისრაელის არმიის სპეცოპერაციას სახელწოდებით „ურყევი კლდე" წინ უძღოდა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე სამი ებრაელი მოზარდის გატაცება, რომლებიც მოკლულები იპოვეს. მოგვიანებით იერუსალიმში, სავარაუდოდ შურისძიების მიზნით, პალესტინელი ბავშვი მოკლეს. ისრაელის ხელისუფლებამ მოზარდების მკვლელობაში დამნაშავედ მოძრაობა „ჰამასი" გამოაცხადა და ღაზის სექტორზე საჰაერო დარტყმების განხორციელების ბრძანება გასცა. 14 ივლისს კი ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ შეტევა ხმელეთზეც დაიწყო. ოპერაციის მიზანი – ჰამასის ინფრასტრუქტურის განადგურება იყო.

სამხედრო დაპირისპირებისას ათეულობით ბავშვი დაიღუპა და დაიჭრა. ისრაელის ავიაციამ რამდენჯერმე დაბომბა ის შენობები, რომლებსაც ლტოლვილები აფარებდნენ თავს. მთავრობის განმარტებით, მიზეზი პალესტინელების ტაქტიკა იყო, რომლებიც ჭურვებს სკოლებისა და დევნილების ბანაკებიდან ისროდნენ. კაიროში გამართული მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდის შემდეგ მხარეები 26 აგვისტოს ცეცხლის განუსაზღვრელი ვადით შეწყვეტასა და ყველა საკითხზე დიალოგის დაწყებაზე შეთანხმდნენ.

მოლაპარაკებები დღესაც ჩიხშია შესული. მიზეზი რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მიერ პალესტინის სახელმწიფოდ აღიარების გადაწყვეტილება გახდა. შვედეთის, ბრიტანეთისა და ესპანეთის შემდეგ ანალოგიური ნაბიჯი 2 დეკემბერს საფრანგეთის პარლამენტმაც გადადგა. საპასუხოდ ისრაელის მთავრობამ იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილში ებრაელებისთვის სახლების მშენებლობა განაახლა და პარლამენტს კანონი წარუდგინა, რომელიც ისრაელის ებრაელების ნაციონალურ სახელმწიფოდ გამოცხადებას ითვალისწინებს. უკანასკნელმა ინიციატივამ უფლებადამცველების კრიტიკა და ისრაელის მთავრობაში შიდა უთანხმოება გამოიწვია, რასაც, სავარაუდოდ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოჰყვება.

### „არჩევნების" და „რეფერენდუმების" წელი

სამხედრო კონფლიქტების გარდა, მსოფლიოში მოსალოდნელი პოლიტიკური ცვლილებების წინაპირობას რიგ შემთხვევაში არჩევნებიც ქმნის. ევროპაში ეკონომიკური კრიზისის ფონზე მომძლავრებულმა ნაციონალისტებმა 2014 წლის მაისში გამართულ ევროპარლამენტის არჩევნებზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს საფრანგეთში, დანიასა და გაერთიანებულ სამეფოში. ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა მოახდინონ, თუმცა მომავალში მათი პოზიციების გამყარების შესაძლებლობას ნამდვილად აძლევთ.



ცვლილებებია ევროკომისიაშიც. 10 დეკემბერიდან ევროკავშირის აღმასრულებელ ხელისუფლებას ჟოზე მანუელ ბაროზუს ნაცვლად ლუქსემბურგის ყოფილი პრემიერი, ჟან-კლოდ იუნკერი ჩაუდგება სათავეში, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში ევროკავშირის შიგნით ინტეგრაციული პროცესები გაგრძელდება.

ევროკომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე გერმანიის კანცლერის ფავორიტის დანიშვნამ ყველაზე დიდი უკმაყოფილება დიდ ბრიტანეთში გამოიწვია. ევროკავშირის ინსტიტუტების რეფორმირების მომხრე დევიდ ქემერონმა იუნკერის კანდიდატურას მხარი საერთოდ არ დაუჭირა. გაერთიანებული სამეფოს პრემიერი ბრიუსელისგან საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებით იმუქრება.

საყოველთაო გამოკითხვები წელს მთელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემა იყო. სექტემბერში შოტლანდიელმა ნაციონალისტებმა დიდი ხნის ოცნება აისრულეს და დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი ჩაატარეს. მართალია შედეგი მათთვის არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, თუმცა ამ საკითხზე გამოკითხვის ჩატარების ფაქტი ევროპაში ისტორიულ მოვლენად შეაფასეს.

რეფერენდუმის ჩატარებას კატალონიელებიც გეგმავდნენ, თუმცა ესპანეთის ყველაზე მდიდარი და ეკონომიკურად განვითარებული რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია.

ევროპასთან ერთად პოლიტიკური ლანდშაფტი იცვლება აშშ-იც, სადაც შუალედური არჩევნების შედეგად კონგრესის ორივე პალატას „რესპუბლიკელები" გააკონტროლებენ. ეს კი ნიშნავს, რომ იანვრიდან ბარაკ ობამას კონგრესში

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკანონმდებლო ინიციატივების დამტკიცება კიდევ უფრო გაუჭირდება. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ რესპუბლიკური პარტიის ეს წარმატება დემოკრატების ოპონენტებს გარკვეულ უპირატესობასაც აძლევს.

## „თანამედროვე ეპიდემია“

კიდევ ერთი საფრთხე მსოფლიოს გვინეის ტყიდან ემუქრება. ჯუნგლებში ჩამალული ყველასთვის უცნობი სოფლის, მელანდოუს შესახებ მთელმა მსოფლიომ 2013 წლის დეკემბერში შეიტყო. სწორედ ამ დასახლებაში მცხოვრები 2 წლის ბიჭი გახდა პირველი, ვინც „ებოლას“ სახელით ცნობილი ვირუსის ხელახალ აფეთქებას ემსხვერპლა.

1976 წელს სუდანში აღმოჩენილი ჰემორაგიული ცხელება ხელახლა ჯერ გვინეაში, შემდეგ კი მეზობელ ქვეყნებშიც გავრცელდა. დაავადება, რომელიც ადამიანებს სავარაუდოდ ღამურებმა გადასდეს, 2014 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა და ყველა ქვეყანას მოუწოდა ვირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო თანხების გაღებისკენ. დასავლეთ აფრიკაში შეიარაღებული კონფლიქტებისგან დაზარალებულ ლიბერიასა და სიერა ლეონეში, სადაც ჯანდაცვის სფერო განადგურების პირასაა მისული, „ებოლას“ ოფიციალურად უკვე 7 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. თუმცა დაავადებით გარდაცვალების შემთხვევების დიდი ნაწილი აღურიცხავია. არასამთავრობო ორგანიზაციები ვირუსის სწრაფად გავრცელებას ნაწილობრივ საერთაშორისო საზოგადოების ნელ რეაქციასაც უკავშირებენ.

აშშ-მა, ასევე, აფრიკისა და ევროპის სახელმწიფოების ნაწილმა გვინეაში, ლიბერიასა და სიერა ლეონეში საველე ჰოსპიტალები უკვე გახსნეს. ვირუსის შესახებ მოსახლეობაში გავრცელებული ცრურწმენების გამო ექიმებისა და მოხალისეების მკვლელობები გახშირდა, ამიტომ წესრიგს იქ უცხოელი სამხედროები იცავენ. საგანგებო ზომები მიიღეს ევროკავშირის და აშშ-ის აეროპორტებში, სადაც განსაკუთრებული სიფრთხილით აფრიკის კონტინენტიდან ჩამოსულებს ამოწმებენ. შეზღუდვები დაწესდა სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულზე, სპორტულ ღონისძიებასა თუ სხვა ხალხმრავალ ღონისძიებაზე დასწრების მსურველთათვის. მაგალითად, მექაში ჰაჯის დღესასწაულზე წელს დასავლეთ აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები საერთოდ არ დაუშვეს. მიუხედავად ამისა, ებოლას ვირუსით დაავადების რამდენიმე შეთხვევა ევროპასა და აშშ-ში მაინც დაფიქსირდა.

მედიკოსები შვეიცარიაში, კანადასა და აშშ-ში ებოლას ვაქცინაზე მუშაობის დასრულებას 2015 წლისთვის ვარაუდობენ. მიუხედავად ამისა, ექსპერტები აცხადებენ, რომ დაავადების დამარცხებას წლები დასჭირდება. უფრო მეტი დრო და სახსრები კი იმ ეკონომიკური ზარალის აღმოსაფხვრელად დაიხარჯება, რომელიც რეგიონს ვირუსის გავრცელებამ მიაყენა.

## „აზიის ფაქტორი“

აზიაში 2014 წელი შედარებითი მშვიდი იყო. ჩინეთი „ბრძენი მაიმუნივით“ ჯერ შორიდან უყურებს დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებას. თუმცა შესაძლოა, ცვლილებები აქ ჰონგ-კონგიდან დაიწყოს, სადაც წლის მეორე ნახევარში „ქოლგების რევოლუციამ“ და ამ მოვლენებზე დასავლეთის რეაქციამ პეკინის გაღიზიანება გამოიწვია.

საპროტესტო მოძრაობა სახელწოდებით „Occupy Central“-ის აქტივისტები 2017 წელს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. ამისთვის კი აუცილებელია ჩინეთის ხელისუფლებამ ჰონგ-კონგის მმართველებად მხოლოდ საკუთარი კანდიდატურების დასახლებაზე უარი თქვას და საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შეიტანოს. ამ მოთხოვნით ჰონგ-კონგის ცენტრში მანიფესტაციები უკვე ორ თვეზე მეტია გრძელდება. დროდადრო აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის შეტაკებებიც ხდება. ყოფილ კოლონიაში შექმნილ ვითარებას გაერთიანებულ სამეფოში გულგრილად ვერ უყურებენ. ლონდონი ჩინეთის ხელისუფლებას მშვიდობიანი დემონსტრანტების დაცვისკენ მოუწოდებს. ანალოგიური განცხადებები ისმის ვაშინგტონიდანაც.

ტაილანდში რიგით მეთორმეტე სამხედრო გადატრიალების შედეგად ინგლაკ ჩინავატას გადაყენებასა და ინდოეთში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში ნარენდრა მოდის მოსვლას თუ არ ჩავთვლით, აზიის რეგიონში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარდაქმნები ჯერ კიდევ წინ არის.

ასეთი იყო მსოფლიო 2014 წელს, პირველი მსოფლიო ომიდან საუკუნის შემდეგ, მსოფლიო, რომელიც დღეისთვის ფრანც ფერდინანდებისა და გავრილო პრინციპების ნაკლებობას არ განიცდის.



ეროვნული ბიბლიოთეკა


# METRA PARK
# მეტრა პარკი




## შეიძინეთ ბინა მეტრა პარკში 30 იანვრამდე და მიიღეთ საჩუქრად მეტრაქარდი – 7 ფასდაკლება ერთ ბარათში

## მ² 950$-დან

პარტნიორი კომპანიები: ვიტრა, გალერეა დემასი, ახალი ნათება, ბელ მეზონი, დიზაინ ავენიუ, სკავოლინი, ელიტ ელექტრონიქსი

ჭავჭავაძის გამზ. 78 — 0162, თბილისი, საქართველო, +995 32 2 23 75 75; sales@metra.ge
Metra-Development, www.metra.ge

METRA



# "ჯაჭვი წელიწადის" მოლოდინში

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა 2014 „საგრძნობლად უკეთესი წელი" ირაკლი ალასანიასთვის, რომელმაც მინისტრობიდან ოპოზიციაში გადაინაცვლა, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილისთვის წლის მიწურული მძიმე რომ აღმოჩნდა, ნათელია.

**ირაკლი აბსანძე**

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა 2014 „საგრძნობლად უკეთესი წელი" ირაკლი ალასანიასთვის, რომელმაც მინისტრობიდან ოპოზიციაში გადაინაცვლა, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილისთვის წლის მიწურული მძიმე რომ აღმოჩნდა, ნათელია.

ივანიშვილის ახალგაზრდა ფავორიტი 2015-ს უახლოეს გარემოცვაშემოძარცვული ხვდება. არაფორმალური მმართველობა, რომელზეც ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ბევრს საუბრობენ, არასოდეს ყოფილა ისეთი ცხადი, როგორც დეკემბრის დასაწყისში. ორი დღის განმავლობაში თანამდებობები სინქრონულად დატოვეს ადამიანებმა, ვისაც ოფიციალურად ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ, მაგრამ ყველამ იცის, რომ პრემიერ-მინისტრის მაღალი ნდობით სარგებლობდნენ და მის საყრდენებს წარმოადგენდნენ რწმუნებულ უწყებებში.

„ჯანყარაშვილი-ჩხენკელების კლანი", როგორც ადამიანთა ამ ჯგუფს მედიაში კარგა ხანია მოიხსენიებენ, საჯარო კრიტიკის საგანი ბევრჯერ გამხდარა. საუბრობენ ბიზნესინტერესებზე, რაც მათ აერთიანებთ და კვალზე, რომელსაც პრემიერის სიმამრ თამაზ თამაზაშვილთან მივყავართ. რა თქმა უნდა, შინაარსი ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ფორმა – როგორ ჩამოაცილეს ღარიბაშვილის პროტეჟეები სახელისუფლებო ბერკეტებს.

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ზვიად ჯანყარაშვილია. შსს-ს გენინსპექციის გავლენიანმა უფროსმა თანამდებობა 2014 წლის აპრილში დატოვა და პარტიულ ასპარეზზე გადაინაცვლა. ოფიციალური მიზეზი მაშინაც საკმაოდ პირადული – ღარიბაშვილთან ნათესაობა იყო. ჯანყარაშვილი მაშინ ამბობდა, რომ არ უნდოდა უხერხულობა შეექმნა პრემიერისათვის.

ერეკლეს მოედანზე გადანაცვლების შემდეგ მან პარტია „ქართული ოცნების" მთავარი ოფისის დაკომპლექტება დაიწყო. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას 5 დეკემბრამდე არაფერი მოასწავებდა – ამ დღეს ჯანყარაშვილმა პარტიული თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადა. მიზეზი კვლავაც ძველი და ნათესაური იყო. პარტიის აღმასრულებელი მდივნის სავარძლის გათავისუფლებას პრესსამსახურმა მშრალი განცხადებაც მოაყოლა – რომ ზვიად ჯანყარაშვილი საჯარო სამსახურში მუშაობას სამომავლოდ საერთოდ აღარ აპირებდა.

არადა, პრესსამსახური ყოფილმა ჩინოვნიკმა ცოტა ხნის წინ თავად დააკომპლექტა. ეს გარემოება იმის ირიბ დასტურადაც გამოდგება, რომ ჯანყარაშვილი, გარედან დაბეჯითებული რჩევის გარეშე, არსად წასვლას არ აპირებდა.

მაშ, რა მოხდა სინამდვილეში? რთული სავარაუდოა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი გარემოცვა მისთვის ყველაზე სანდო ადამიანებისაგან საკუთარი ნებით განიძარცვა. თუმცა მაინცდამაინც სარწ-

**ირაკლი ღარიბაშვილი უკვე თავდაცვით რეჟიმში გადავიდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას არც ირაკლი ალასანიასავით ოპოზიციაში წასვლის რესურსი აქვს და არც პრეზიდენტ მარგველაშვილივით საკუთარი თავის მორალურ ინსტანციად გამოცხადების ფუფუნება. ძნელი სავარაუდოა, რამდენ ხანს გაძლებს ის ამ საკმაოდ მოუხერხებელ პოზაში.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

> **რთული სავარაუდოა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი გარემოცვა მისთვის ყველაზე სანდო ადამიანებისაგან საკუთარი ნებით განიძარცვა. თუმცა მაინცდამაინც სარწმუნოდ არც ის ჟღერს, რომ ჯანყარაშვილი-ჩხენკელები თანამდებობებზე მან ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციის გარეშე დანიშნა. ე.ი. ივანიშვილისთვის ამ დღეებში რაღაც დამატებითი გარემოებები გახდა ცნობილი, რამაც მისი განრისხება და თანამდებობის პირების საკუთარი ნებით გადადგომა გამოიწვია. ბულვარულ მედიასა და პოლიტიკურ კულუარებში კონკრეტულ სცენარებსაც განიხილავენ, რასაც ჩვენ, ფაქტობრივი ინფორმაციის სიმწირის გამო, აქ ვერ მოვიტანთ. სწორედ ესაა არაფორმალური მმართველობის მთავარი საფრთხე მედიისთვის – ივანიშვილის შუშის სასახლეში არავინაა ისეთი, ვისაც საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშვალდებულება ოფიციალურად ევალება.**

მუნოდ არც ის ჟღერს, რომ ჯანყარაშვილი-ჩხენკელები თანამდებობებზე მან ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციის გარეშე დანიშნა. ე.ი. ივანიშვილისთვის ამ დღეებში რაღაც დამატებითი გარემოებები გახდა ცნობილი, რამაც მისი განრისხება და თანამდებობის პირების საკუთარი ნებით გადადგომა გამოიწვია. ბულვარულ მედიასა და პოლიტიკურ კულუარებში კონკრეტულ სცენარებსაც განიხილავენ, რასაც ჩვენ, ფაქტობრივი ინფორმაციის სიმწირის გამო, აქ ვერ მოვიტანთ. სწორედ ესაა არაფორმალური მმართველობის მთავარი საფრთხე მედიისთვის – ივანიშვილის შუშის სასახლეში არავინაა ისეთი, ვისაც საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშვალდებულება ოფიციალურად ევალება.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ჯანყარაშვილის გადადგომის შემდეგ თანამდებობები მთავრობის ადმინისტრაციაში, შსს-ში და ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში ყველაზე გავლენიანმა ჩინოვნიკებმა დატოვეს. ასე მაგალითად, რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე „ქართუ ბანკის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა შეცვალა, თანაც ისე, რომ თავიდანვე გაცხადდა – მას დაევალება რესურსებით მდიდარ ამ სამინისტროში ფინანსების კონტროლი.

პირდაპირ, ცხადია, არავინ გვიდასტურებს, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯავახიშვილი, პრემიერზე მეტად, ბიძინა ივანიშვილთანაა ანგარიშვალდებული. ღარიბაშვილის კადრის მისით ჩანაცვლება კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ახალ გარემოებებში ფულის ხარჯვისას ივანიშვილი ნოდარ ჯავახიშვილს მეტად ენდობა, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილს.

ზოგადადაც, ბოლო საკადრო ცვლილებები ივანიშვილსა და ღარიბაშვილს შორის ჩამოწოლილ შავ ღრუბელს მოასწავებს. ახალგაზრდა და ამბიციური პრემიერი ამ პროცესით ლამის საჯაროდ დააკნინეს. პოლიტიკურად სრულიად გამოუცდელ ღარიბაშვილს ისედაც ჰქონდა დამაჯერებლობის მკვეთრი დეფიციტი და ამ ნაბიჯების შემდეგ მართვა კიდევ უფრო გაურთულდება. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მას არც უკვე განდგომილ პრეზიდენტ მარგველაშვილივით იცავს ხუთწლიანი იმუნიტეტი და არც გადაყენებულ ირაკლი ალასანიასავით სარგებლობს დასავლური მხარდაჭერით. მეტიც, მას „ოცნების“ პოლიტიკურ გუნდშიც არ ჰყავს დასაყრდენი. საპარლამენტო უმრავლესობის წიაღში ივანიშვილს უფრო უჯერებენ, ვიდრე მას. თუ უახლოეს მომავალში ერთი მინისტრი მაინც შეიცვლება, ღარიბაშვილს პარლამენტში ნდობის გასაფორმებლად ახალი კაბინეტის წარდგენა მოუწევს. რთული სავარაუდო არ უნდა იყოს, როგორ დასრულდება ეს პროცესი, თუ წარდგენილმა კანდიდატებმა ივანიშვილის მოწონება ვერ დაიმსახურეს.

მოკლედ, ირაკლი ღარიბაშვილი უკვე თავდაცვით რეჟიმში გადავიდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას არც ირაკლი ალასანიასავით ოპოზიციაში წასვლის რესურსი აქვს და არც პრეზიდენტ მარგველაშვილივით საკუთარი თავის მორალურ ინსტანციად გამოცხადების ფუფუნება. ძნელი სავარაუდოა, რამდენ ხანს გაძლებს ის ამ საკმაოდ მოუხერხებელ პოზაში.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კიდევ ერთი რამ დაგვანახა – მთავრობის შეცდომების პრევენციისა და გამოსწორებისთვის (და იმაზე, რომ ჯანყარაშვილი-ჩხენკელების კლანის აღზევება ნამდვილად შეცდომა იყო, არავინ კამათობს), ქართული საზოგადოების ხელთ არსებული ერთადერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი ბიძინა ივანიშვილია. თუ რაიმეს ძირეულად შეცვლა გინდა, უნდა მოახერხო, რომ ბიძინა ივანიშვილმა შენნაირად იფიქროს. ეს არ არის პოლიტიკური (მით უმეტეს, ემპირიული გაგებით დემოკრატიული) პროცესი, მაგრამ არის რეალობა, რომლის გათვალისწინება, იმავე ბიძინა ივანიშვილის წინასწარმეტყველებით, 2030 წლამდე მოგვიწევს.

ვითარება არაორდინარულია და ქართული სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახს, საკუთარი ინტერესების გასატარებლად, ასეთივე ნაბიჯების გადადგმა მოუხდება. ასე მაგალითად, ბევრად პრაგმატული იქნება, თუ ყბადაღებული „ორგასაღებიანობის“ დასარეგულირებლად ისინი კონსულტაციებს პარლამენტთან კი არა, პირდაპირ ივანიშვილთან გაივლიან. მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელმა კანონით არც ისე კმაყოფილება ბოლო საჯარო გამოსვლისას გამოხატა.

რა დააბრუნებდა პროცესს პოლიტიკურ კალაპოტში? დღევანდელი გადმოსახედით

მხოლოდ ერთი რამ – ბიძინა ივანიშვილის სახელმწიფო მმართველობაში ოფიციალურად დაბრუნება. პრემიერის ან პრეზიდენტის პოსტზე მისი ანგარიშვალდებულება განუსაზღვრელად მაღალი იქნებოდა, ვიდრე ახლანდელი – არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებლის. მოხდება თუ არა ეს, ისევე როგორც ბევრი რამ ამ ქვეყანაში, თავად ბიძინა ივანიშვილის ნებაზეა დამოკიდებული.

“რაც შეეხება ეკონომიკის ზრდას და მის ტემპებს, პირველი წელიწადი იქნება რთული, მეორე წელი – საგრძნობლად უკეთესი. მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი", – თქვა მან 2012 წლის დეკემბერში.

ამ ლოგიკით, ჩვენ საგრძნობლად უკეთეს წელიწადს ვემშვიდობებით და კარგი წლისთვის ვემზადებით. რა იყო გამორჩეული 2014-ში?

მთავარი, მაინც თვითმმართველობის არჩევნებია. ექსცესებისა და მნიშვნელოვანი დაძაბულობის გარეშე წარმართულმა პროცესმა დემოკრატიული სტანდარტი უდავოდ წინ წასწია. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, პირველად უახლეს ისტორიაში, პირდაპირი წესით არჩეული მერები და გამგებლები ჰყავს.

თუმცა, უცვლელია მთავარი პრობლემატური გარემოებაც – პარლამენტში ხმაურით მიღებული თვითმმართველობისა და საარჩევნო კოდექსები ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების სქემას არ არეგულირებს. მთავრობა გვპირდება, რომ 2015 წლის სექტემბრამდე შემუშავდება კანონპროექტი, რომელიც ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილების სქემას განსაზღვრავს. ერთ-ერთი შესაძლო შემოთავაზებაა – საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული თანხების ნაწილის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დატოვება. ამჟამად ადგილობრივ ბიუჯეტში მხოლოდ ქონების გადასახადიდან მიღებული თანხები რჩება. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის მთავარ წყაროს კი ცენტრალური მთავრობიდან მიღებული ტრანსფერები წარმოადგენს. ამგვარად, თვითმმართველობის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხიც „კარგმა წელმა“ უნდა დაარეგულიროს.

2014 ისტორიაში კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაჩენილი ბზარითაც დარჩება. ირაკლი ალასანიას ხელისუფლებიდან გაძევებამ მისი გუნდის ოპოზიციაში გადასვლა გამოიწვია. ასე აღმოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციის ტიტულითა და დასავლური (მეტადრე ამერიკული) ისტებლიშმენტის მხარდაჭერით სარგებლობს. ახალ წელს „რესპუბლიკელებისგანაც“ მეტ დამოუკიდებელ ნაბიჯს უნდა ველოდოთ. ისინი დილემის წინაშე დგანან – პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი და მთავრობის გონიერი ოპონენტის როლი ერთად უნდა შეინარჩუნონ.

2015 საბედისწეროა თავად ირაკლი ალასანიას პოლიტიკური მომავლისთვისაც. პოლიტიკოსი, რომელიც აქამდეც ხშირად სადავო ნაბიჯებს დგამდა (თუნდაც ოპოზიციური „ალიანსიდან“ მისი გასვლა გავიხსენოთ), შეცდომების დაშვების ფუფუნება აღარ აქვს. თუ მან დამაჯერებლად არ განმარტა ოპოზიციაში წასვლისას გაკეთებული მკვეთრი განცხადებები, გაუჭირდება ელექტორატის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადება.

რთული წელი ელის „ნაციონალურ მოძრაობასაც“. მათ საპარლამენტო დებატებში უპირობო პერსონაჟის როლი უკვე ჩამოართვეს. თუ პოლიტიკაში წარმომადგენლობითად დარჩენა სურთ, პარტიის გადასარჩენად, ბევრი შეცდომისა და დანაშაულის უფრო გასაგებ ენაზე აღიარება მოუხდებათ.

ყველაზე მოშვებულად 2015-ის დალოდება გიორგი მარგველაშვილს შეუძლია. მისი საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე ჯერ კიდევ შორია. შესაბამისად მშვიდად შეუძლია გააგრძელოს რჩევა-დარიგებების დარიგება და უცხოური ვიზიტები.

“საგრძნობლად უკეთესი წელი“ მიილია. ვისთვის როგორ. ახლა კარგ წელიწადს ველოდებით. პოლიტიკური რეალობა უცვლელია – ქვეყანას კულისებიდან ექსცენტრული მილიარდერი მართავს. მერე რა რომ, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში მისი გადაწყვეტილებები ყოველთვის ჯანსაღია. ეს თავიდან არ გვაშორებს პასუხისმგებლობას ჩვენ – ამ ქვეყნის მოქალაქეებს – ვინც მესიანური მმართველობის ხიბლიდან ვერა და ვერ გამოვედით.

**2014 ისტორიაში კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაჩენილი ბზარითაც დარჩება. ირაკლი ალასანიას ხელისუფლებიდან გაძევებამ მისი გუნდის ოპოზიციაში გადასვლა გამოიწვია. ასე აღმოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციის ტიტულითა და დასავლური (მეტადრე ამერიკული) ისტებლიშმენტის მხარდაჭერით სარგებლობს. ახალ წელს „რესპუბლიკელებისგანაც“ მეტ დამოუკიდებელ ნაბიჯს უნდა ველოდოთ. ისინი დილემის წინაშე დგანან – პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი და მთავრობის გონიერი ოპონენტის როლი ერთად უნდა შეინარჩუნონ.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ფოტო ლევან ხერხეულიძე

# მძიმე სურათი გიგა ბოკერიას თვალით

ბიძინა ივანიშვილის მიერ დაანონსებული „საგრძნობლად უკეთესი წელიწადი“, საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები, საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს საკითხის უკანა პლანზე გადასვლა, აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ყოფილი მმართველი გუნდის მიერ დაშვებული შეცდომები და სამომავლო გეგმები. ამ და სხვა საკითხებზე „ლიბერალი“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანს, გიგა ბოკერიას, ესაუბრა.

**ინტერვიუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივან გიგა ბოკერიასთან.**

**„გპირდებით, რომ მთავრობაში ჩვენი მოსვლის მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი, მესამე - ძალიან კარგი, მეოთხეზე კი ჭეშმარიტად უნდა ვიგრძნოთ, რომ შეიცვალა სიტუაცია“ – როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაანონსებულ „კარგ წელიწადს“?**

თავიდანვე ბიძინა ივანიშვილის, როგორც მთავრობის ფორმალური ხელმძღვანელის ნაბიჯები ძალიან ცუდი პროგნოზების საფუძველს იძლეოდა. ეს პროგნოზები გამართლდა და მოლოდინსაც გადააჭარბა.

მთავრობა, რომელიც არათანამიმდევრული პოლიტიკით გამოირჩევა, ქვეყნის უკუსვლის გზას, სამწუხაროდ, თანმიმდევრულად მიუყვება: ეკონომიკა, დაკარგული სამუშაო ადგილები, ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე საგარეო პოლიტიკის კუთხით დაშვებული უმძიმესი შეცდომები, კრიმინალის სერიოზული ზრდა (მათ შორის ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი მძიმე დანაშაულების რიცხვის მატება) და ორგანიზებული დანაშაულის გაძლიერება, რომლის შედეგებსაც დღეს უკვე ვიმკით; ინსტიტუტების აშკარა დასუსტება, პოლიტიკური დევნა, პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც პოლიტიკური მოტივით იხდიან სასჯელს, არაფორმალური მართვა იმ ადამიანის მიერ, რომელსაც არ აქვს თანამდებობა, არ არის ანგარიშვალდებული და როგორც „სამოქალაქო პატრიარქს“ ისე უნდა, რომ ქვეყანას ხელმძღვანელობდეს, დაუსჯელი ძალადობა პოლიტიკური ოპონენტებისა და უმცირესობების წინააღმდეგ...

მძიმე სურათია. ჯერჯერობით არ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს არანაირი წინაპირობა იმისა, ვიფიქროთ, რომ ივანიშვილი, მით უმეტეს, პრაქტიკულად მისი მარიონეტული გუნდი, იაზრებდეს, რამდენად სახიფათო გზაზე დააყენა ქვეყანა.

**საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები, თავდაცვისუნარიანობის საკითხი, ფაქტი, რომელზეც აპელირებთ, რომ საქართველო რუსეთის ოკუპაციის საერთო საერთაშორისო კონტექსტიდან გაქრა... – ამ მიმართულებით რას და რატომ მიიჩნევთ ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების მთავარ შეცდომებად?**

ივანიშვილის გარშემო შეკრებილი პოლიტიკური გუნდი გაწერილი ლოზუნგით მოვიდა ხელისუფლებაში – საქართველო აღარ უნდა იყოს რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების საგანი. ეს შეთქმულების თეორია არ არის. დეკლარირებული ამოცანა ჰქონდათ და ვხედავთ, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ამ ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო გეგმას ასრულებდნენ.

**ბევრი სვამს კითხვას, რა მოტივაცია აქვს ხელისუფლებას: პირდაპირი ღალატი, შეთქმულება, სრული სიბრიყვე, თუ გულუბრყვილო ილუზიები? ამ სპეკულაციებს არ ავყვები, თუმცა, რაც დანამდვილებით ვიცით, ამ პოლიტიკის საჯარო გამოვლინებებია, მაგალითად, პრემიერ-მინისტრის საჯარო განცხადებები საკვანძო საერთაშორისო ფორუმებზე, იგივე, მიუნჰენის კონფერენციაზე, კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ – სრული აბსურდი.**

ბევრი სვამს კითხვას, რა მოტივაცია აქვს ხელისუფლებას: პირდაპირი ღალატი, შეთქმულება, სრული სიბრიყვე, თუ გულუბრყვილო ილუზიები? ამ სპეკულაციებს არ ავყვები, თუმცა, რაც დანამდვილებით ვიცით, ამ პოლიტიკის საჯარო გამოვლინებებია, მაგალითად, პრემიერ-მინისტრის საჯარო განცხადებები საკვანძო საერთაშორისო ფორუმებზე, იგივე, მიუნჰენის კონფერენციაზე, კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ – სრული აბსურდი.

იმედი გვქონდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში „ქართული ოცნება“ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა ისეთ საკითხებს, რომელითაც წინასაარჩევნო პერიოდში მაქსიმალურად პოპულისტობდა: მაგალითად, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. პოპულისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყანაზე ფიქრობ, ამ დაპირებებში გარკვეული კორექტივები შეგაქვს. თუმცა ასე არ მოხდა. ამის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითი პრემიერ-მინისტრის მიერ BBC-სთვის მიცემული ინტერვიუ იყო, სადაც პრინციპულად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. ციტირებას არ გავაკეთებ, მაგრამ მის ნათქვამს თუ გავამარტივებთ, განაცხადა, რომ საქართველოს არ აქვს პრობლემა რუსეთის ფედერაციასთან, წინ მივდივართ და ნუ გვადარებთ უკრაინასო.

საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირებისგან ამ ტიპის განცხადებები საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ინტენსივობით დღესაც ისმის.

ამას დავუმატოთ აბსოლუტური არაკოორდინირებულობა და სიზარმაცე. არ ვგულისხმობ ძალიან ბევრ, თავდადებულ მოხელეს, რომლებიც თავის საქმეს აკეთებენ. თუმცა ეს ყველაფერი წყალშია გადაყრილი, თუკი მაღალი თანამდებობის პირებსა და პოლიტიკურ ფიგურებს არ ექნებათ კოორდინაცია, არ გააჟღერებენ თანამიმდევრულ გზავნილებს.

საქართველოს მთავრობას უკეთეს შემთხვევაში არ აქვს ჩამოყალიბებული, რა სურს საერთაშორისო სტრატეგიული პარტნიორებისგან; პრაქტიკულად, არ ლობირებს არ მუშაობს, ჩვენი ქვეყნის საკითხის წინ წამოწევას. ამ მიმართულებით დღეს პარადოქსული ვითარება გვაქვს – იმ დროს, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ფედერაციის პოზიციები ბევრად უფრო ძლიერი იყო, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის შემდეგაც კი, საქართველოს საკითხი, შეიძლება ბევრისთვის თავის ტკივილი, სხვადასხვა ეტაპზე მეტ-ნაკლებად მწვავედ იდგა საერთაშორისო დღის წესრიგში.

უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ვითარება შეიძლება არასაკმარისად, მაგრამ პრინციპულად შემოტრიალდა და პუტინი, კრემლი, რუსეთი დღეს ბევრად უფრო მძიმე გამოწვევების წინაშეა. ამ მომენტში ჩვენ, როგორც ქვეყანას, მსოფლიოს დღის წესრიგში საქართველოს საკითხის წამოწევა და აქედან შედეგების მიღება უნდა მოგვეხერხებინა. კი ბატონო, სარისკო პერიოდია, მაგრამ შესაძლებლობებსაც ხსნის - თავისუფალი სამყარო რუსეთთან ერთად წარმატების მიღწევის ილუზიებისგან თავისუფლდება.

ამ ფონზე კი, საქართველოს საკითხები უმაღლეს დონეზე პრაქტიკულად აღარ დგას. ეს ტენდენცია მთავრობის პოლიტიკის პირდაპირი შედეგია, პოლიტიკის, რომელიც ეროვნული ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული.

მზად უნდა ვიყოთ იმ მომენტისთვის, რომელიც ახლა დგება და იმედია, სწრაფად დადგება – ფორმაში უნდა დავხვდეთ რუსეთის დასუსტების ისტორიულ მომენტს; თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი მდგომარეობა ფორმიდან სრულ ამოვარდნას უფრო ჰგავს. აქ აშკარაა პარალელები შევარდნაძის რეჟიმთან. სხვა, უფრო ბნელ ვარიანტებს თავი რომ დავანებოთ, უკეთეს შემთხვევაში, დისფუნქციური, არაკოორდინირებული, არათანიმიმდევრული მთავრობა გვყავს. ამის შედეგად კი შესაძლოა ისტორიული შანსების კიდევ ერთი ეპიზოდი დავკარგოთ.

29818
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რას აკეთებს საკმაოდ კარგი საერთაშორისო კავშირების მქონე „ნაციონალური მოძრაობა“ ამ პრობლემების მოგვარებისთვის, რა თქმა უნდა, როგორც დღეს ოპოზიციაში მყოფი ყოფილი სახელისუფლებო პარტიის შესაძლებლობების ფარგლებში?**

"ნაციონალური მოძრაობა" ურთიერთობს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ კლასთან და დღესაც შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამას მმართველ გუნდზე ბევრად უკეთ აკეთებს ეს არ არის რთული. ჩვენი ოპონენტი ამ საკითხში ძალიან არაკომპეტენტურია.

მაგრამ, ვერავინ შეცვლის მთავრობას, შეუძლებელია, რომ არსებობდეს ეფექტური პოლიტიკური ძალა ან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფი, რომელსაც აქვს კვალიფიკაცია, ხედვა და მთავრობის ნაცვლად ქვეყნის ინტერესების დაცვას შეძლებს. ეს ფიზიკურად შეუძლებელია. სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე და უსაფრთხოების საკითხებში წარმოადგენს მთავრობა. მიუხედავად ამისა, თითოეულ ასპარეზს, ყველა ტრიბუნას, ჩვენს მეგობარ ქვეყნებში – ბრიუსელსა თუ ვაშინგტონში, რა თქმა უნდა, საქართველოს საკითხის დასასმელად ვიყენებთ.

**აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, სოხუმი-თბილისი-ერევანის რკინიგზა და ავარეთ-კახეთის გზა... რჩება შთაბეჭდილება, რომ, როდესაც ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ახალი პოლიტიკის შესახებ საუბრობს, აღნიშნული პოლიტიკა და რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობა რუსეთის საოკუპაციო ქმედებების საპირწონე არგუმენტად მოჰყავს...**

ილუზიაა ის, რისკენაც სხვადასხვა დროს ჩვენი მთავრობა მიგვანიშნებს. ზოგიერთი სკეპტიკოსი ევროპელისგანაც გვსმენია და არ ვეთანხმებით, რომ რუსეთის ფაქტორის გვერდის ავლა, სოხუმთან კონტაქტით და იქ შენი შეთავაზებებით რუსეთის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია.

ჩვენ შეთავაზებები უნდა გვქონდეს და გვქონდა კიდეც, არა ისეთი ბრიყვული, როგორიც ავტონომიასთან დაკავშირებით პრემიერისგან მოვისმინეთ. ამ განცხადებამ გვაჩვენა, რომ პრემიერს მრჩეველიც კი არ ჰყავს.

მაგრამ ყველა შემთხვევაში საკვანძო საკითხი უსაფრთხოების თემაზე რუსეთის მონოპოლიის დარღვევაა. ყველა, ვინც ცდილობს, რიტორიკულად გვერდი აუაროს ამ პრობლემას და გვეუბნება, რომ აფხაზეთის მთავრობას ესაუბრება, ან გვატყუებს, ან თავს იტყუებს. თუ რუსეთის ასპექტი ცენტრალური არ არის, მაშინ ეს „სტრატეგია“ იმ კონსტრუქციის სასარგებლოდ წყლის დასხმა გამოდის, რომელიც რუსეთის ფედერაციას აქვს. კრემლი ამბობს, რომ ეს რუსეთ-საქართველოს პრობლემა კი არა, ეთნიკური კონფლიქტია, რომლის აღმოსაფხვრელადაც ქართველებმა და აფხაზებმა, ქართველებმა და ოსებმა უნდა ისაუბრონ.

ასეთი პოზიცია ჩვენთვის წამგებიანია – ქმნის პირობებს, რომ რუსეთს პოლიტიკური ფასის გადაუხდელად, როცა მოუნდება, მაშინ შეძლებს პრობლემის შენარჩუნებას, ან გამწვავებას და მთელი მსოფლიო ამას ისე შეხედავს, როგორც ეთნიკურ კონფლიქტს.

კიდევ უფრო მძიმეა და სამხედრო თვალსაზრისით საფრთხისშემცველი ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობა. აბსოლუტურად გაურკვეველია გზავნილი, რომ ეს ყველაფერი შეიძლება კარგიც იყოს ჩვენთვის. სრული აბსურდია! ცხადია, საქართველო სრულმასშტაბიანი რუსული აგრესიის საბოლოო ჯამში მოგერიებას ვერ შეძლებს, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელება უფრო რთული უნდა იყოს – უნდა გვქონდეს დრო საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზებისთვის. ამასთანავე, როდესაც მტერმა იცის, რომ შემოჭრა დიდ დანაკარგებთანაა დაკავშირებული, აგრესიის ალბათობა მცირდება.

ნებისმიერი ინფრასტრუქტურა, რომელიც ამ აგრესიას უფრო მარტივს ხდის, ჩვენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. კატასტროფაა, როდესაც ამის ახსნაა საჭირო.

იგივე მდგომარეობაა რკინიგზასთან დაკავშირებითაც. ალბათ გახსოვთ პრეზიდენტ სააკაშვილის საჯარო წერილი პრეზიდენტ მედვედევისადმი, ისევე როგორც ჩვენი გუნდის მანამდელი და შემდგომი შეთავაზებები. ვემხრობოდით და საქართველო ახლაც უნდა იყოს ამ საკითხის გადაწყვეტის მომხრე, თუკი ჩვენთვის პრობლემატური საკითხი ფუნდამენტურად დაიძვრება. აქ, პირველ რიგში, უსაფრთხოების კომპონენტს ვგულისხმობ: პირველ ეტაპზე რუსეთის ჯარების გასვლა გალიდან და ოჩამჩირიდან, იქ უსაფრთხოების საერთაშორისო ფორმატის შესვლა და დევნილების დაბრუნების პროცესის დაწყება.

რკინიგზის საკითხის განხილვა მხოლოდ ამ ფაქტორების გათვალისწინების შემთხვევაში შეიძლება. ყველა სხვა შემთხვევაში ეს არის პროექტი, რომელიც პოტენციურად ჩვენი ეკონომიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული, სამხედრო თვალსაზრისით საფრთხეს წარმოადგენს და პლუს პრობლემებს შეგვიქმნის ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან – აზერბაიჯანთან და თურქეთთან. ამ ორ ქვეყანასთან ყველაფერთან ერთად დიდი საერთაშორისო პროექტი გვაკავშირებს. ამ დიდი სატრანზიტო და ენერგეტიკული კავშირის, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის კიდევ ერთი დიდი კომპონენტის, სარკინიგზო გზის პროექტი ახლა მიმდინარეობს. ამ პროექტის განხორციელება შენელებულია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყველა მიმართულებით იდგმება ნაბიჯები, რომელიც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ახლა რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული ახალი ხელშეკრულების შესახებ. აქამდე რუსეთი აცხადებდა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი ქვეყნები იყო, ახლა კი კრემლი მეორე ეტაპზე გადადის და უკვე ვხედავთ ფორმალური ანექსიის ხელშესახებ ფაქტებს.

ფორმალური ანექსია ჩვენ ძალიან გაგვირთულებს ამოცანას იმ ისტორიული მომენტისთვის, როდესაც რუსეთი დასუსტდება. ერთია შედეგის მიღწევა,

ბიბლიოთეკა

როდესაც ეს ტერიტორია არ არის ფორმალურად ანექსირებული და შეერთებული; ბევრად უფრო რთულდება ამ პრობლემის გადაჭრა, განსაკუთრებით მშვიდობიანად, მაშინ, როდესაც ეს ტერიტორია ყირიმივით მიერთებულია.

**„ქვეყნის კულისებიდან მართვა“, გრიფით საიდუმლო მასალების ცოდნა და ა.შ. – რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას ქვეყნისთვის?**

2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლების გადაბარება ინსტიტუციონალურ ჩარჩოში მოხდა. ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის არჩევნებში დამარცხება ძალიან მწარე და უსიამოვნოა, მაგრამ ყველას, ვისაც მეტ-ნაკლებად რაღაც შეგნება და პასუხისმგებლობა გააჩნია, მათ შორის დამარცხებულ მხარეს, ანუ ჩვენს პოლიტიკურ ძალასა და მის ლიდერს, გაცნობიერებული გვქონდა, რომ ეს ისტორიული მომენტია. თუკი ლიბერალური დემოკრატია წინ მიდის, ეს გარდაუვალია, ამის გარეშე სრულფასოვანი ლიბერალური დემოკრატია პრაქტიკულად არ არსებობს. თუმცა, სამწუხაროა, რაც ამას მოჰყვა.

ლიბერალური დემოკრატიის მეორე მნიშვნელოვანი ტესტი, რომლის მიხედვითაც გამარჯვებულს უნდა ესმოდეს – დამარცხებული კი არ ქრება ან ციხეში მიდის, არამედ კონკურენციას აგრძელებს, აი ეს ტესტი, ჩვენ, როგორც ქვეყანამ, ამ ხალხისა და ამ პიროვნების გამო ჯერჯერობით ვერ ჩავაბარეთ. ამიტომაც დავდექით იმ ფაქტის წინაშე, რაზეც საჯაროდ კახა ბენდუქიძეც საუბრობდა – საქართველომ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ ზოგჯერ, როდესაც წინ დგამ ნაბიჯს, შეიძლება ფუნაში ჩადგა ფეხი. სამწუხაროდ, ასე მოხდა და ამის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცუდი გამოვლინებაა ის როლი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ასრულებს.

ეს ადამიანი დემონსტრაციულად, ორუელისეული ორმაგი საუბრით თან გვეუბნება, რომ არაფერშუაში არ არის, მაგრამ ამავე დროს ღიად აცხადებს,

**ფორმალური ანექსია ჩვენ ძალიან გაგვირთულებს ამოცანას იმ ისტორიული მომენტისთვის, როდესაც რუსეთი დასუსტდება. ერთია შედეგის მიღწევა, როდესაც ეს ტერიტორია არ არის ფორმალურად ანექსირებული და შეერთებული; ბევრად უფრო რთულდება ამ პრობლემის გადაჭრა, განსაკუთრებით მშვიდობიანად, მაშინ, როდესაც ეს ტერიტორია ყირიმივით მიერთებულია.**

რომ თავადაა უფროსი და უფროსად დარჩენა სურს 2030 წლამდე.

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის მიხედვით, ადამიანი, ვინც ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, ჩვენს ცხოვრებასა და ქვეყანაზე რომ ახდენს გავლენას, ანგარიშვალდებულ თანამდებობას უნდა იკავებდეს და მოსახლეობას მისი გადარჩევის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. თუკი თანამდებობას არ იკავებ და ისე მართავ ქვეყანას, შენ ამ კონტროლის მიღმა რჩები. ეს ერთი პრობლემაა, მეორე კი ისაა, რომ მართვის ამ სისტემით სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტდება.

დღეს ეს ყველაფერი თვალნათლივ ჩანს, ელემენტარულ გადაწყვეტილებასაც კი ვერავინ იღებს, რადგან იციან, რომ ბოლოს იმ კაცთან უნდა მივიდნენ, რომელიც თავის სასახლეში ზის და მას უნდა ჰკითხონ აზრი. გვყავს პრემიერ-მინისტრი, რომელიც, თუკი ეს „სამოქალაქო პატრიარქი“ გააკრიტიკებს და იტყვის, რომ არ მოეწონა მისი სიტყვები, მეორე დღეს იტყვის, რომ თავადაც არ მოსწონს საკუთარი ნათქვამი.

გარდა იმისა, რომ სასაცილოა, სერიოზული პრობლემაა და ქართული დემოკრატიის ამოცანაა, რომ ამას დემოკრატიული გზით, არჩევნების მეშვეობით დაუსვას წერტილი.

**შინაგან საქმეთა მინისტრის ორი „პრევენციული“ ინტერვიუ მიხეილ საკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე, „გაზრდილი კრიმინალი“...**

პრობლემის დემონსტრირებას თავად მინისტრ ჭიკაიძის ფიგურა ახდენს, რომელიც არათუ არ არის პოლიტიკური ფიგურა, არამედ პოზიციის ჩამოყალიბების უნარიც კი არ გააჩნია.

ყველამ იცის, რომ ის არ არის რეალური მმართველი, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროში გვაქვს იმის მიკრომოდელი, რაც მთლიანად ქვეყანაში ხდება – ადამიანი, რომელსაც თანამდებობა უკავია, რეალუარად არ არის მმართველი.

ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ გაკეთებული რამდენიმე განცხადება არის ილუსტრაცია ყველა იმ საზიანო და ძალიან სახიფათო ტენდენციისა, რასაც ბოლო ორი წელია ვხედავთ – პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატის აგრესიული, აქტიური და ანტიდემოკრატიული გამოყენების ყოველგვარი ლეგიტიმური მიზეზის გარეშე.

ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ასეთი ბრალდების ამ ფორმით სროლა, საღი აზრის, დემოკრატიული სტანდარტების, ლოგიკისა და სახელმწიფო ინტერესის აბუჩად აგდებაა. „პრევენციული“ ინტერვიუ დარჩა „პრევენციულ“ ინტერვიუდ, სრული აბსურდის თეატრში ვართ, სხვა ენაზე რომ ვილაპარაკოთ, ამას პოლიტიკური საგიჟეთი ჰქვია.

პოპულიზმის გამო ძალადობრივ დანაშაულში ბრალდებული ხალხის ციხიდან მასობრივი გამოშვება; ნეპოტიზმი შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელიც გირლიანდასავით გრძელდება ყველგან და მუშაობის ეფექტურობაზეც ნეგატიურად აისახება; პოლიტიკური კლიმატი, როდესაც

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მოძალადე ჯგუფები, პირველ რიგში უმცირესობების მიმართ, ან პირდაპირ მთავრობასთან არიან შეკრულები, ან მმართველი პარტიის სტრუქტურას წარმოადგენენ ბევრგან რეგიონში და იციან, რომ დაუსჯელები შეიძლება დარჩნენ; ეს ყველაფერი საერთო კლიმატზე მოქმედებს.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მაგალითი: როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავრობა ორიენტირებულია, რომ სტატისტიკის გაყალბებაზე იმუშაოს, როდესაც პოლიციამ იცის, რომ სტატისტიკის გაყალბება და დანაშაულის დამალვაა ის, რასაც მისგან ხელძღვანელობა ელის – შეუძლებელია, სამართალდამცავი ეფექტურად მუშაობდეს. დანაშაულის დამალვა კატასტროფა უნდა იყოს მისთვის კარიერული, თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ ძველი ტრადიციის აღმოფხვრას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ახლა კი პირიქით, ეს ტრადიცია აღდგა და შეუძლებელია, რომ ეს არ აისახოს პოლიციის მუშაობის ეფექტურობაზე.

დაბოლოს, ორგანიზებული დანაშაულის კომპონენტი. ყველანი ვხედავთ, რომ რიტორიკის, დამოკიდებულების თვალსაზრისით, გარდატეხა, წარსულის დემონიზება მოხდა. ყველამ იცის, რომ დღევანდელი მთავრობა კოორდინაციაშია ორგანიზებულ დანაშაულთან, ქურდულ სამყაროსთან: ციხეში მათი გავლენის დაბრუნება და ციხის გარეთ ის სკანდალური შემთხვევები, როდესაც ექსტრადირებული კანონიერი ქურდი ქრება, მათი ჩამოცილება საქართველოში და ა.შ. როგორ ფიქრობთ, როგორ შეიძლება რიგითმა პოლიციელმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იმოქმედოს, როდესაც ხედავს, რომ ხელისუფლება ამ ხალხს ისე ეპყრობა, როგორც პარტნიორებს?

**ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის ფაქტები, რასაც დღეს სხვადასხვა უმცირესობების წარმომადგენლები აწყდებიან...**

უმცირესობების საკითხი პირდაპირ კავშირშია საერთო ძალადობრივ ფონთან, მაგრამ ამავე დროს ისინი განსაკუთრებით სასტიკი საფრთხის წინაშე არიან. ვერ ვიტყვი, რომ ეს ახალი მთავრობის მიერ შექმნილი პრობლემაა. ასე არ არის. სამწუხაროდ, ეს პრობლემა კარგა ხანია არსებობს, ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელმაც თავისუფლება მიიღო, ამ თავისუფლებას კი მოაქვს გამოწვევები, მათ შორის შენგან ნებისმიერი ნიშნით განსხვავებულის მიღება. ამ კუთხითაც, ივანიშვილის გუნდის მოსვლასთან ერთად მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა.

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც ეს პრობლემა ძალიან მწვავედ იდგა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო სუსტი იყო. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ მიმართულებით პრინციპული გარდატეხა მოხდა. არ ვამბობ, რომ ეს პრობლემები გაქრა, მაგრამ სახელმწიფო იყო ქმედითი, იცავდა მოქალაქეებს ზოგადად ძალადობისგან და მათ შორის, რა თქმა უნდა, უმცირესობების წარმომადგენლებსაც. ამასთან ერთად სპეციფიკურად მოხდა იმ ჯგუფების დაკავება, ვინც ძალადობდა უმცირესობებზე და პოლიტიკური ხელმძღვანელობის გზავნილი, ამ საკითხთან დაკავშირებული პოზიცია ყველასათვის ცალსახა და ნათელი იყო.

სამწუხაროდ, მთავრობაში მოვიდა გუნდი, რომელსაც პრაქტიკულად ლოზუნგიც კი ჰქონდა – მოვიშოროთ მთავრობა, რომელმაც თავზე დაგვასვა უმცირესობები. ეს ტენდენცია ყველა მიმართულებით ვრცელდებოდა. როდესაც პოლიტიკური ძალა თავს უფლებას აძლევს, რომ საარჩევნო ამოცანებისთვის სხვადასხვა ნიშნით დაპირისპირებას შეუწყოს ხელი და ამაში ჩადოს ინვესტიცია, თავისთავად ძალიან ცუდ ფონს ქმნის.

ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური თვალსაზრისით გმირებად გამოაცხადა და საქმის შეუსწავლელად გაათავისუფლა ამ მოძალადე და სიძულვილის მქადაგებელი ჯგუფების ლიდერები. პოლიტიკური მოტივი არა ამ ადამიანების (მათ შორის რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის მსჯავრდებული პირების) დაპატიმრებაში, არამედ მათ გათავისუფლებაში იყო, რადგან ისინი იდეოლოგიურად მათი გამათავისუფლებლების თანამოაზრეები იყვნენ. ეს ხალხი დღეს აქტიურია, ისინი თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან და მაგალითად ერთ-ერთ ბოლო სამარცხვინო შემთხვევაში, როდესაც მედრესის კარზე ღორის თავი მიაჭედეს, ვინც ეს გააკეთა რამდენადაც ვიცი „ქართული ოცნების" ადგილობრივი ახალგაზრდული ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია. ეს ჯგუფები ერთმანეთს კვეთენ და შეუძლებელია, რომ ამას შედეგი არ მოჰყვეს.

თუნდაც ის ფაქტი, რომ 17 მაისის, ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის სამარცხვინო და საგანგაშო დღიდან წელიწადნახევარი გავიდა და დამნაშავეები დასჯილები არ არიან, ძალიან ძლიერი გზავნილია ამ ძალადობის სხვადასხვა ფორმით წასახალისებლად.

უმაღლესი ხელისუფლების პირები არსებულ ვითარებას ხელს სხვადასხვა გზავნილებით უწყობენ: ყოფილი პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ „ასავალ-დასავალი" მისთვის სამაგალითო გაზეთია. არადა, ეს ხომ ის ჯგუფია, ვინც ამ იდეოლოგიას ღიად ქადაგებს?! იგივე კაცი ამბობს, რომ ირმა ინაშვილი და ნინო ბურჯანაძე ის ადამიანები არიან, რომლებიც წინ უნდა წამოიწიონ. ამ ჯგუფებს მაქსიმალურად უწყობენ ხელს, რომ უფრო თამამები იყვნენ.

ამის გარეშეც დღეისათვის ქვეყანაში არსებული საერთო ფონი ძალადობრივია. ეს აისახება ყველაზე და ამ საერთო ძალადობრივ ფონზე, როგორც წესი, ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფები უფრო დიდი საფრთხის ქვეშ არიან. აქ არ უნდა გამოგვრჩეს ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული უმძიმესი ვითარება.

**„ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნა ქვეყანაში ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით დასრულდა. სხვადასხვა**

**მთავარი პრობლემა, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, რომელიც შემდეგ იმ პრობლემებს იწვევდა, რასაც ვაწყდებოდით – იქნებოდა ეს პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარება, თუ რაიმე სხვა, მდგომარეობდა იმაში, რომ ხელისუფლება, მმართველი გუნდი ზედმეტად ძლიერი იყო და მმართველი გუნდის შიგნით და გარეთ რეალური ინსტიტუციონალური მოწყობის თვალსაზრისით არ არსებობდა ეფექტური გამაწონასწორებელი ინსტრუმენტები.**

**კერძო ფაქტებსა თუ ტენდენციებთან, მათ შორის ციხის კადრებთან დაკავშირებით თქვენი პარტიის არაერთი წარმომადგენელი, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტიც აღნიშნავდა, რომ, სამწუხაროდ, დაშვებული იყო შეცდომები. თუკი ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა, 2016 წელს თქვენ, ისევე როგორც სხვა პარტიები, წარმოადგენთ საარჩევნო პროგრამას. წარსულის შეცდომების განმეორების გამოსარიცხად, რა გარანტიები შეგიძლიათ მისცეთ ამომრჩეველს?**

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გვქონდა ძალიან ძლიერი მანდატი იმისა, რომ დისფუნქციური, ჩამოშლილი ქვეყანა, რომელსაც ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია აკონტროლებდა, და ქვეყანა, რომელსაც დეზინტეგრაციის უზარმაზარი საფრთხეები ემუქრებოდა, ფეხზე დამდგარიყო, გამხდარიყო ქმედითი, შეძლებოდა ნაციონალური ამოცანების გადაჭრა. ვთვლი, რომ ეს ამოცანა შესრულდა, ეს ტრანსფორმაცია დაიძრა და სწორ რელსებზე დადგა. თუმცა, მთავარი პრობლემა, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, რომელიც შემდეგ იმ პრობლემებს იწვევდა, რასაც ვაწყდებოდით – იქნებოდა ეს პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარება თუ რაიმე სხვა, მდგომარეობდა იმაში, რომ ხელისუფლება, მმართველი გუნდი ზედმეტად ძლიერი იყო და მმართველი გუნდის შიგნით და გარეთ, რეალური ინსტიტუციონალური მოწყობის თვალსაზრისით, არ არსებობდა ეფექტური გამაწონასწორებელი ინსტრუმენტები.

ჩვენი, როგორც საზოგადოების ამოცანაა, რომ არცერთი პოლიტიკური გუნდი არ მოვიდეს ხელისუფლებაში, თუ არ იარსებებს ეს ინსტრუმენტები.

ამას გარდა, აუცილებელია, რომ დაჩქარდეს რეფორმები სასამართლო სისტემაში. პირადად მე ფუნდამენტური მხარდამჭერი ვარ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სწრაფი გაფართოების. ჩვენ დავიწყეთ ეს პროცესი, მაგრამ, სამწუხაროდ, ნელა ვიმოქმედეთ. ეს პროცესი ახლა საერთოდ გაჩერებულია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკულად ყველა დანაშაულზე, რომელიც სერიოზულ სასჯელს ითვალისწინებს, მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარდგნენ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არა მხოლოდ ხიდია საზოგადოებასთან, არამედ საშუალებას იძლევა დაცული იყოს ყველაზე უფრო ფუნდამენტური რამ – შეჯიბრებითობის პრინციპი სასამართლო პროცესის დროს.

ხშირად აკრიტიკებენ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას. ამ კრიტიკას არ ვიზიარებ და მიმაჩნია, რომ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით ეს სწორი და საჭირო პოლიტიკა იყო. თუმცა შეცდომაა ის, რომ, როდესაც ამ ტიპის ბრძოლას აწარმოებ და ეფექტურ, ქმედით სახელმწიფო აპარატს ქმნი, ამას თან უნდა სდევდეს გამაწონასწორებელი ეფექტის მქონე სასამართლო სისტემის გაძლიერება. სწორედ აქ იყო ჩავარდნა და არა დანაშაულისადმი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკაში.

ჩვენი, მათ შორის იმ არაერთი ადამიანის გზავნილი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობაში“ არჩევნებში ჩვენი პოლიტიკური მარცხის შემდეგ მოვიდა, არის ის, რომ სწორედ ამ გამოცდილების გაზიარებით უნდა მოხდეს საქართველოში რეფორმების გაგრძელება და ვფიქრობ, რომ ამ ხალხის განწყობა მთავარი გარანტიაა იმისა, რომ ეს პრობლემები აღარ განმეორდეს.

**რას ეტყოდით ადამიანთა იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელიც მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური სუბიექტი უნდა „გაქრეს“ და ხელისუფლებაში თქვენი დაბრუნების შემთხვევაში მათ საფრხე დაემუქრება.**

თავისუფალ საზოგადოებაში ასეთი პოზიციის ქონა ამ ადამიანების უფლებაა. მეც მაქვს ძალიან კონკრეტული სურვილები სხვადასხვა ტიპის ძალებთან დაკავშირებით - ვისურვებდი, რომ ისინი არ იყვნენ ან ბევრად ნაკლები გავლენა ჰქონდეთ. ეს ნორმალურია, არანორმალურია ის ძალადობრივი ფაქტები, რომლებსაც ამ ლოზუნგებით დაუსჯელად სჩადიან, და ამ პროცესში მაკოორდინირებელ როლს ხელისუფლება თამაშობს. ყველამ ვიცით, ხელისუფლება აღნიშნულ ჯგუფებს კლიმატის შესამქნელად იყენებს. მათი აქტიური გამოჩენის მთავარი წინაპირობა ხელისუფლების დაკვეთა და დაუსჯელობაა. ასეთი ადამიანები ბევრნი არიან თუ ცოტა, ამას არჩევნები გვიჩვენებს. არანორმალურია, როცა ამ პოზიციას აქტიურად ქადაგებენ უმაღლესი თანამდებობის პირები და ამ ამოცანის მისაღწევად პოლიტიკურ დევნას მიმართავენ.

ასეთი ჯგუფები ალბათ ყოველთვის იარსებებენ. არაფერია იმაში გასაკვირი, ვძულდეთ იმ ადამიანებს, ვინც საქართველოს, თანამოაზრე და ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად, სიძულვილით სავსე ევრაზიული სივრცის ნაწილად ხედავს. გამიკვირდებოდა, პირიქით რომ იყოს. მთავარია, რომ ამ ჯგუფებმა რუსეთთან ერთად ქვეყანა უფსკრულში არ გადაჩეხონ.

*ესაუბრა გიორგი ჭეიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცნების შეუსრულებელი დაპირებები

გაივლის ცუდი, უკეთესი, კარგი და ძალიან კარგი წლები და ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინში, საარჩევნო ყუთთან მდგომი ამომრჩეველი იმ არც თუ შორეულ საღამოს გაიხსენებს, „ქართულმა ოცნებამ" საკუთარი წინასაარჩევნო დაპირებები რომ გააცნო პირველად.

ზურაბ ვარდიაშვილი

დაპირებების სია გრძელია და შთამბეჭდავი. შთამბეჭდავია მათი ასრულების, უფრო ზუსტად კი – აუსრულებლობის მაჩვენებელიც იმდენად, რომ მათი დაწვრილებით განხილვა სტატიის ფორმატში შეუძლებელია. ამიტომ, მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან, გახმაურებულ დაპირებებზე დავსვამ აქცენტს.

„ქართული ოცნება" უზრუნველყოფს პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობას, რისთვისაც დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას, გაათავისუფლებს სასამართლოს და სამართალდამცავ ორგანოებს პოლიტიკური ზეწოლისგან", – ვკითხულობთ საარჩევნო პროგრამის დასაწყისშივე.

საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების, განსაკუთრებით კი მთავარი პროკურატურის დადანაშაულება იმაში, რომ პოლიტიკურ ოპონენტებს სწორედ ამ (პოლიტიკური) ნიშნით დევნის, მას შემდეგ დაიწყო, რაც ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები ერთმანეთის მიყოლებით აღმოჩნდნენ ციხეში.

ექსპრემიერის, თავდაცვის მინისტრისა და დედაქალაქის მერის პატიმრობა თავისთავად საკმარისი იქნებოდა პოლიტიკურ დევნაზე კითხვების დასასმელად. თუმცა „ოცნების" ხელისუფლება ამაზე არ შეჩერებულა, და არამხოლოდ ყოფილი, არამედ საკუთარი მთავრობის წევრების წინააღმდეგ გალაშქრებით არამარტო კითხვები გააჩინა, ზოგ მათგანს გასცა კიდეც პასუხი.

მაგალითად, უკვე ეჭვგარეშეა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ე.წ. „ტრაქტორების საქმეს" წმინდა სამართლებრივი საფუძვლები არ გააჩნდა. საქმე ისე დასრულდა, არავისი ბრალეულობა არ დადასტურებულა; პროკურატურას არც აუხსნია, რას ეფუძნებოდა ფართომასშტაბიანი დაპატიმრებებისა და სასამართლო პროცესების სერია, რომელსაც მაშინდელი მინისტრის, დავით კირვალიძის, გადადგომა მოჰყვა.

პოლიტიკურ გავლენებზე საუბრობს ირაკლი ალასანიაც. თავდაცვის ექსმინისტრი დარწმუნებულია, რომ ბრალდების უკან, რომელთა შედეგადაც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და სახელისუფლებო კოალიციის არაფორმალური ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი დგანან.

„ცუდი, უკეთესი, კარგი და ძალიან კარგი წლების" თეორია ჩვენს მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს. ცხადია, არსებობს საკითხები, რომელთა მოგვარებას ხანგრძლივი ძალისხმევა, წლები სჭირდება, თუმცა სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლება ასეთთა რიგში ნაკლებად ხვდება და უფრო ნებაზეა დამოკიდებული.

„...დაიცავს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მათ ინტეგრირებას";

სამთაწყარო, წინწყარო, ქობულეთი, ნიგვზიანი, ჭელა, მოხე... მხოლოდ ამ გეოგრაფიული დასახელებების ჩამოთვლა კმარა, რომ ვთქვათ – საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები დაცული არ არის, არც მათი წარმომადგენლები არიან სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებულნი.

ცხადია, არატოლერანტულ საზოგადოებებში უმცირესობათა უფლებები ყოველთვის ირღვევა, თუმცა მთავარი სახელმწიფოს რეაქციაა, ჩვენს შემთხვევაში – ურეაქციობა.

სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, 2012 წელს მხოლოდ იეჰოვას მოწმეთა რელიგიურმა ორგანიზაციამ სახალხო დამცველს 11-ჯერ მიმართა, 2013 წელს კი ასეთი მიმართვების რაოდენობა 17-მდე გაიზარდა.

სტატისტიკას თუ გავყვებით, ვნახავთ, რომ 2013 წელს რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მუხლით გამოძიება 6 საქმეზე, სისხლის სამართლებრივი დევნა კი 3 პირის წინააღმდეგ დაიწყო. ამ მუხლით დაკვალიფიცირებულ ერთ საქმეზე გამოძიება შეწყდა. 2014 წელს გამოძიება 7 საქმეზე, სისხლის სამართლებრივი დევნა კი 3 პირის მიმართ დაიწყო. მოგვიანებით 3 საქმეზე ძიება შეწყდა...

ციფრები ამბობენ – სახელმწიფოსთვის რელიგიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება არაპრიორიტეტულია. ისმის კითხვა, როგორ დაიცავ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვინმეს უფლებას, თუკი მის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს არ გამოიძიებ?

…„გაძლიერდება ადვოკატურის ინსტიტუტი, რათა სრულად ამოქმედდეს შეჯიბრებითობის პრინციპი და ბოლო მოეღოს პროკურორის დიქტატს გამოძიების ეტაპზე და სამართალწარმოების პროცესში“;

პროკურატურის დიქტატი სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. იყო დრო, როდესაც ბრლამდებლებს მოსამართლისთვის დარეკვა და განაჩენის კარნახი შეეძლოთ. შემდეგ მოვიდა დრო, როდესაც აღარც დარეკვა იყო საჭირო, მოსამართლემ იცოდა – ბრალდება უნდა დაედასტურებინა. შედეგი გამამართლებელ და გამატყუნებელ განაჩენთა შთამბეჭდავ პროპორციაშია ასახული.

ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად სასამართლოს ტოტალურ კონტროლს ბოლო მოეღო, თუმცა ქართველი პროკურორების ხელში უძლიერესი საპროცესო ბერკეტები დარჩა, რომლის გადახედვაც, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი დაპირება გახლდათ.

ირონიულია, რომ ამ ბერკეტების დაცვასა და ბრალდებას შორის განაწილება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დააკანონა, თუმცა კანონის ამოქმედება გადადო, ხოლო როდესაც განსაზღვრული ვადა მოვიდა, „ქართულმა ოცნებამ“ ის კიდევ გადასწია.

საქმე ეხება ჩხრეკისა და ამოღების უფლებას, ასევე მოწმეთა სასამართლოზე დაკითხვის წესს. ახლანდელი მდგომარეობით პროცესზე მოწმის დაკითხვა ფარსია. ის უკვე წინასწარაა დაკითხული, ჩვენებაზე ხელი აქვს მოწერილი და ერთხელ უკვე (ნებით თუ ძალით) ნათქვამიდან გადახვევის უფლება არ აქვს. სწორედ ამ წესს ცვლიდა კანონი, კანონი, რომლის ამოქმედებასაც ყოველ წელს „ერთი წლით“ ავადებდნენ. გადაავადეს წელსაც.

ამ და არამარტო ამ შემთხვევამ ადვოკატები არათანაბარ პირობებში ჩააყენა. რაზეც ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი მუდმივად აპელირებს.

„…შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან გამოიყოფა სახელმწიფო უშიშროების სამსახურები…“

თითქმის არ დარჩენილა ყოფილი ოპოზიციის, ანუ ახლანდელი ხელისუფლების არცერთი წევრი, რომელსაც

ელექტრონული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა, რომელიც უსაფრთხოებისა და სამართალდამცავ დანაყოფებს აერთიანებს, კრიტიკის ქარცეცხლში არ გაეტარებინოს, გაუმჭვირვალობის, სისტემური დანაშაულების მექანიზმად არ მოენათლოს, „მონსტრად" არ წარმოეჩინოს (რაც სიმართლისგან შორს არ არის) და მისი შეცვლის პირობა არ დაედოს.

ამ რეფორმის აუცილებლობაზე ჩვენთან ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანიაც საუბრობს და სინანულს გამოთქვამს, რომ დაპირება ჯერ კიდევ აუსრულებელია.

და, არათუ „ჯერ კიდევ" აუსრულებელია, არამედ ასრულების არავითარი პერსპექტივა არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოში შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული რეფორმირების სურვილს არ მალავენ, აღმასრულებელ ხელისუფლებას არაფერი ეტყობა, არჩევნებამდელ აზრზე იდგეს.

„...გადაიხედება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის, აგრეთვე პირადი მოხმარებისათვის მისი მცირე ოდენობით შეძენის ან/და შენახვისათვის";

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული რეგულაციების გადახედვის რამდენიმე მცდელობა ჩავარდა.

ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის ინიციატივით 2012 წლის დეკემბერში ახალი მოწვევის პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი, კობა დავითაშვილი, გამოვიდა. მის მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ალტერნატივა ადმინისტრაციური სასჯელი იყო. დავითაშვილის ინიციატივა, დეპუტატებმა საკომიტეტო მოსმენაზე დაიწუნეს და მისი თავიდან მომზადება მოითხოვეს.

შემდეგ პარლამენტში იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მომზადებული კანონპროექტი შევიდა. საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტს 2013 წლის ივლისში გაეგზავნა. ბიუროს სხდომაზე კანონპროექტი მოიწონეს, თუმცა პლენარულ სხდომაზე ის ჩავარდა.

ხელისუფლება არათუ ზოგად ნარკოპოლიტიკაზე, არამედ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის საკითხზეც ვერ თანხმდება. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის აზრით, დანაშაულის მიმართ, რომელიც არ შეიცავს ძალადობას, უფრო ჰუმანური დამოკიდებულება უნდა იყოს.

პრეზიდენტისგან განსხვავებით, დეკრიმინალიზაციის მოწინააღმდეგეა პრემიერ-მინისტრი. ღარიბაშვილის აზრით, სახელმწიფო ამ საკითხის მიმართ ლოიალური ვერ იქნება.

„სანამ ჩვენ ხელისუფლებაში ვართ მარიხუანას დეკრიმინალიზაცია არ მოხდება, ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც ჩვენი ქვეყნის შვილებზე ზრუნავს. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორი თაობა გვინდა? გვინდა ნარკომანი თაობა? მარიხუანა პირველი ეტაპია, შემდეგ არის წამალი, ჰეროინი და სხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები. ჩვენ ამას უნდა შევხედოთ, როგორც ნარკომანიასთან ბრძოლას", – ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი.

პრემიერის პოზიციას განათლების მინისტრიც იზიარებს. თამარ სანიკიძე ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოწინააღმდეგეა და თავის პოზიციას საზოგადოების მოუმზადებლობით ხსნის.

ცალსახად რეპრესიული ნარკოპოლიტიკა კი მოქმედებას განაგრძობს და ყოველდღიურად ათობით მოქალაქე „პრევენციული ღონისძიებების" მსხვერპლი ხდება, რომლებიც ღირსებისა და უფლებების შელახვისგან შორს არ დგას.

„...სახელმწიფო ხელს შეუწყობს ქართული ენის შესწავლის პროცესს – ყველა მსურველს (როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში) ქართული ენის შესწავლის საშუალება მიეცემა";

ის, რომ ეთნიკურად არაქართველი ადგილობრივებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის უცოდინარობა საქართველოს მოქალაქეებისთვის განათლების მიღებას, ეკონომიკურ ინტეგრაციასა თუ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას მნიშვნელოვნად აფერხებს, ცნობილი ფაქტია და ამ ფაქტის მხოლოდ მოქმედი ხელისუფლებისთვის მიწერა არასერიოზული იქნება.

თუმცა, კითხვაზე, რა კეთდება ამჟამად, პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, „ოცნების კოალიციაა".

სახელმწიფო ფულს ხარჯავს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, მაგრამ კავშირი დაფინანსებას, განათლების პოლიტიკასა და ხარისხის გაუმჯობესებას შორის არ ჩანს.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესებისთვის რამდენიმე პროგრამა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის". ორივე პროგრამა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მასწავლებლების გაგზავნას ითვალისწინებდა. „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრში" ფიქრობენ, რომ ამ წლების განმავლობაში მასწავლებლების ადგილზე გადამზადება უკეთესი იქნებოდა. ცენტრის წარმომადგენელთა აზრით, განათლების სამინისტროს არ აქვს ხედვა, არ არსებობს გრძელვადიანი გეგმა. სწორედ ამის შედეგია, რომ ამდენი ფინანსური რესურსის ხარჯზე ნაკლებეფექტური პროგრამები ხორციელდება...

* * *

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დაპირებების სია გრძელია. კიდევ უფრო გრძელი კი ზეპირად, საჯარო გამოსვლებში გაცემული პირობებია. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, ამ პირობებიდან შესრულებულთა და შეუსრულებელთა პროპორცია, როგორც წესი, მომავალ საარჩევნო ციკლს განსაზღვრავს ხოლმე. თუმცა, თუ ქართული დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების დინამიკა უცვლელი დარჩა, როდესაც, ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინში საარჩევნო ყუთთან მდგომი ამომრჩეველი იმ არც თუ შორეულ სალამოს გაიხსენებს, „ქართულმა ოცნებამ" საკუთარი წინასაარჩევნო დაპირებები რომ გააცნო პირველად, შესაძლოა ამას დიდი მნიშვნელობა უკვე აღარც ჰქონდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა



ფოტო ლევან ხერხეულიძე

# "თავისუფალი დემოკრატები" როგორც ალტერნატივა?

საქართველოს „საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება“, „დემოკრატია საფრთხეშია“, ბიძინა ივანიშვილის როლი თავდაცვის ყოფილი მინისტრის პოსტიდან გათავისუფლებაში, თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიება, მთავრობაში ყოფნის დროს დაშვებული შეცდომები და „თავისუფალი დემოკრატების“ მომავალი. ამ და სხვა საკითხებზე „ლიბერალი“ თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ირაკლი ალასანიას ესაუბრა.

**ინტერვიუ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერთან, ირაკლი ალასანიასთან.**

**რა გაფიქრებინებთ, რომ ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანი საფრთხის წინაშეა და საქართველოში დიქტატურა დღეს არც ისე შორს არის?**

ზოგადად, „ქართული ოცნების“ დეკლარირებული ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკა კონკრეტული საკითხებისგან შედგება. პირველი ნიშნული იყო ასოცირების შეთანხმება, ხოლო შემდგომ NATO-ს სამიტი და ალიანსთან დაახლოების ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებითი პაკეტი. ამ ორი მიზნის მიღწევაში „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და ჩვენმა გუნდმა ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. ბუნებრივია, ამ პროცესში მრავლად იყო საკითხები, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

> **დეკლარირებული ნაბიჯებიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის თავდაცვითი საშუალებების შეძენაზე ჩვენი ორმხრივი საუბარი იყო. ამ დროს, პრაქტიკულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმების ხელმოწერისას, პროკურატურის ქმედება ზურგში დანის ჩაცემას ჰგავდა. ამ ყველაფრის ფონზე აბსოლუტურად ლოგიკურია ჩათვალო, რომ ეს არის ნაბიჯი, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და სრულფასოვან ინტეგრაციას NATO-ში.**

ლებიც ჩვენი პირდაპირი ინიციატივით წყდებოდა უფრო თამამი, პროაქტიური ნაბიჯებით, მათ შორის პრემიერ-მინისტრის დარწმუნებით, რომ მეტი, კარგი გაგებით, აგრესიული პროაქტიური ნაბიჯები იყო გადასადგმელი, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში ჩვენს დასავლელ, კონკრეტულად, ალიანსელ პარტნიორებთან.

დეკლარირებული ნაბიჯებიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის თავდაცვითი საშუალებების შეძენაზე ჩვენი ორმხრივი საუბარი იყო. ამ დროს, პრაქტიკულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმების ხელმოწერისას, პროკურატურის ქმედება ზურგში დანის ჩაცემას ჰგავდა. ამ ყველაფრის ფონზე აბსოლუტურად ლოგიკურია ჩათვალო, რომ ეს არის ნაბიჯი, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და სრულფასოვან ინტეგრაციას NATO-ში.

ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თავდაცვის სამინისტრო გამორჩეული სტრუქტურა იყო თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლების, გამჭვირვალობისა და NATO-სთან თავსებადობის კუთხით. ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ.

გამიჩნდა განცდა, რომ უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ ჰქონდა NATO-ს სამიტიდან რეალური შედეგის მოლოდინი. არადა, შედეგი რეალური მივიღეთ – საუბარი დაიწყო პროექტების განხორციელების კონკრეტულ ვადებზე, გეგმებზე, ალიანსთან ერთად ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის აშენებაზე, რეგულარულ წვრთნებზე და ა.შ.

ეს საკმაოდ მოულოდნელი ნაბიჯი ამ პროცესების შენელების მცდელობად აღვიქვი. გამოძიების დაწყებას ბუნებრივია საგანგაშოდ არ ვთვლით, გამოძიება შეიძლება ყველგან იყოს დაწყებული და თან ამ ბიჭების უდანაშაულობაში დარწმუნებული ვარ. ეს არის აშკარა პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც რა თქმა უნდა პროკურატურას საკუთარი ინიციატივით არ გადაუდგამს. ამასთანავე, არსებობს სხვა ფაქტორებიც.

დამატებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს კონკურენტის იმიჯის შელახვა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფაქტორის გათვალისწინებით, იქნებოდა ეს ბიძინა ივანიშვილის თუ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდი, შესაძლოა თვლიდნენ, რომ რეიტინგული და პოლიტიკაში სუფთა ხელებით მოსული პოლიტიკური გუნდი მათთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ჩემი აზრით, ესეც ერთ-ერთი მიზეზია.

**ბიძინა ივანიშვილის როლი თანამდებობიდან თქვენს გათავისუფლებაში და მისი წვდომა გრიფით საიდუმლო მასალებზე...**

ეს სწორედ ის საკითხია, რასაც ალექსანდრე პეტრიაშვილი მისთვის ჩვეული იუმორით შეეხო და ედუარდ შევარდნაძის ცნობილი სიტყვის პერიფრაზი გააკეთა. დემოკრატია მართლაც საფრთხეშია, როდესაც სახელმწიფოში არაფორმალური მართვის სტილი მკვიდრდება და მყარდება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩვენი მთავარი ამოცანა ინსტიტუციების განმტკიცებით სახელმწიფოს გაძლიერება იყო, რადგან არაფორმალური მართვის სტილს სააკაშვილის დროსაც ვხედავდით – რამდენიმე ადამიანი ჯგუფურად წყვეტდა რა იდგა კანონზე მაღლა. ილუზია, რომ ეს პრაქტიკა ერთ თვეში, ან ერთ წელიწადში შეიცვლებოდა, რა თქმა უნდა, არ გვქონდა, მაგრამ სწორი ტენდენცია უნდა გაჩენილიყო. არც მე მიფიქრია, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ერთ თვეში ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკისკენ საერთოდ აღარ მოიხედავდა. იმედი მქონდა, რომ დროთა განმავლობაში ირაკლი ღარიბაშვილი მეტ დამოუკიდებლობას შეიძენდა, ბიძინა ივანიშვილი კი ნელ-ნელა მთლიანად ჩამოსცილდებოდა საჯარო პოლიტიკას, როგორც თავად განაცხადა.

სამწუხაროდ, პირიქით მოხდა, ივანიშვილის გავლენა ყველა სფეროზე, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ სფეროზე გაიზარდა; გადაწყვეტილებებს ვერ და არ იღებენ იმ ტემპითა და სისწრაფით, რაც ჩვენს ქვეყანას, ეკონომიკას, ბიზნესის განვითარებას სჭირდება. გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით ყველაფერი ბიძინა ივანიშვილთან არის შესათანხმებელი. ეს საფრთხეს უქმნის ჩვენს დემოკრატიას, ეკონომიკურ განვითარებას და ბარიერებს ქმნის საქართველოს ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციის გზაზე.

აღნიშნული საფრთხეებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ქართული პოლიტიკის-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**ივანიშვილის გავლენა ყველა სფეროზე, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ სფეროზე გაიზარდა; გადაწყვეტილებებს ვერ და არ იღებენ იმ ტემპითა და სისწრაფით, რაც ჩვენს ქვეყანას, ეკონომიკას, ბიზნესის განვითარებას სჭირდება. გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით ყველაფერი ბიძინა ივანიშვილთან არის შესათანხმებელი. ეს საფრთხეს უქმნის ჩვენს დემოკრატიას, ეკონომიკურ განვითარებას და ბარიერებს ქმნის საქართველოს ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციის გზაზე.**

თვის ჯანსაღი და სწორია ის, რაც მოხდა. როგორც არ უნდა მწყდებოდეს გული თავდაცვის სამინისტროში დაწყებულ და ბოლომდე ვერმიყვანილ ინიციატივებზე, ბუნებით მაინც ოპტიმისტი ვარ. მადლიერი ვარ იმ ადამიანების, ვისთან ერთადაც სამინისტროში ვმუშაობდი და თითოეული მიმართულებით ამ უწყების თვისობრივი გარდატეხა მოვახერხეთ.

ამ ეტაპზე ვთვლი, რომ ქართული პოლიტიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იმ სწორი გზის გადარჩენაა, რისთვისაც 2012 წელს გავერთიანდით და რეჟიმს დავუპირისპირდით. სწორედ აქ ვხედავ „თავისუფალი დემოკრატების“ დიდ შანსს, რომ ჩამოვყალიბდეთ ძლიერ, ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად და ამ შემთხვევაში არა მხოლოდ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს, არამედ ვგრძნობთ კიდეც საზოგადოების გულისცემას, საზოგადოების, რომელსაც პოლიტიკის ძველებურად კეთება აღარ სურს.

**როგორც აღნიშნეთ, ბიძინა ივანიშვილი თითქმის ყველაფრის საქმის კურსშია, რაც ქვეყანაში ხდება. საქართველოს ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევის საფრთხესთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში აქცენტს უშუალოდ პროკურატურაზე აკეთებდით. რატომ აკეთებდით აქცენტს პროკურატურაზე, უბრალოდ მოერიდეთ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის დასახელებას?**

საქმე მარტივადაა. ლოგიკურად, პირველი ინსტრუმენტი და აქტორი ამ შემთხვევაში პროკურატურა იყო; შემდეგ, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა საიდუმლო საქმის მასალების ზედმიწევნით სწორი ცოდნა გამოავლინა, ეს იყო მტკიცებულება, რომ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული ჰქონდა, ბიძინა ივანიშვილი კი პირდაპირ გავლენას ახდენდა პროკურატურაზე. ჩემთვის ეს უკვე ძალიან ნათელია, თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ამ პროცესებში პრემიერ-მინისტრი პროკურორის პოზიციას იკავებდა.

ამას გარდა, საქმეს საიდუმლო გრიფი რამდენიმე დღის წინ მოეხსნა და დაცვის მხარემ მხოლოდ ახლა მოახერხა მასალების გაცნობა. ეს ყველა პროცედურული ნორმის დარღვევაა. ის ხუთი ადამიანი დღესაც პატიმრობაში რჩება. პროკურატურაშიც ხვდებიან, რომ დაკავებულები უდანაშაულონი არიან, მაგრამ ამავდროულად არსებობს დილემა; ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. დარწმუნებული ვარ ეს საქმე ჩაეშლებათ და შემდეგ უკვე პროკურორის, იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, რომლებმაც მონური მორჩილებით დაიწყეს ამ საქმის კერვა. საბოლოო ჯამში პროცესი საქმის პოლიტიკურ დამკვეთამდე მიგვიყვანს.

დაკავებული ადამიანების თავდებით გათავისუფლებაზე უარის თქმა არცერთ ლოგიკაში არ ჯდება გარდა იმისა, რომ მათი მორალურად გატეხვა და გამოძიებისთვის მაკომპრომიტირებელი მონაცემების მიწოდებაზე დათანხმება სურთ. არაფერი გამოუვათ, მე ვიცნობ ამ მებრძოლ ადამიანებს.

ასევე, საზოგადოების თანადგომის დიდი იმედი მაქვს, რადგან თუკი უსამართლობა გაგრძელდა და ისინი წინასწარ პატიმრობაში დატოვეს, ჩვენ ჩვენი სიტყვის თქმა და საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება დაგვჭირდება. ამ თემაზე ვესაუბრე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენს პარტნიორებს. მათ ძალიან კარგად ესმით, რომ ეს პოლიტიკური მოტივით დაწყებული საქმეა.

**როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ფორუმები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხისა და რუსეთთან არსებული პრობლემების წამოსაწევად ინტენსიურად აღარ გამოიყენება. ყოველ შემთხვევაში, უკრაინის მოვლენების ფონზე საქართველოს რეალობა მკვეთრად აღარ ჩანს. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ეს, განსაკუთრებით კი იმ დროს, როდესაც რუსეთი აფხაზეთთან ახალ ხელშეკრულებას აფორმებს?**

ეს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მწვავე ეგზისტენციალური პრობლემაა. ბუნებრივია, ამ საკითხს არ უნდა შევხედოთ ვიწრო ჭრილში იმავე რუსეთის ფედერაციასთან, ჩემი აზრით, სწორი, პრაგმატული პოლიტიკის წარმოებით. ეს ჩვენ ორი რამის გამო გვჭირდება: პირველი – რაც შეიძლება ნაკლები მიზეზი მივცეთ რუსეთს რიტორიკით, რომ მათ ვითარების დაძაბვა მოახერხონ; მეორე – გარკვეულწილად ეს სჭირდება ჩვენს სოფლის მეურნეობას, რომ რუსეთში ბაზარი გაგვეხსნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა, ვინც ჩვენს პრობლემას აფხაზეთსა და ცხინვალში მხოლოდ ამ პრიზმაში ხედავს, რა თქმა უნდა ის არ არის შორსმხედველი ადამიანი. მგონია, რომ არც მე, არც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრს და არც საგარეო უწყების ხელმძღვანელს ხელიდან არ გაუშვია არც ერთი საერთაშორისო ფორუმი, რომ ეს საკითხი მწვავედ არ დაგვეყენებინა. საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდირებული პოზიცია სჭირდება. გასაგებია, რომ ეს დღესვე არ დაგვიბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს, მაგრამ აუცილებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აღნიშნული იყოს საერთაშორისო ფორუმების დოკუმენტებში. იმ დროისათვის, როდესაც ჩვენ რეალურად დავიწყებთ პოლიტიკურ დიალოგს, აღნიშნული დოკუმენტები და მიღებული გადაწყვეტილებები დაგვეხმარება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, არც მე მომწონდა ზედმეტი სიფრთხილე, რომელსაც ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი იჩენდა. ვრჩები იმ აზრზე, რომ რუსეთთან პრაგმატული პოლიტიკა უნდა გვქონდეს, თუმცა ყოველთვის ხაზს ვუსვამდი – არანაირი ილუზია არ უნდა გვქონდეს, თითქოს ეს პრაგმატული პოლიტიკა რუსეთს დღეს აზრს შეაცვლევინებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ან ჩვენს ევროპასთან ინტეგრაციაზე. დღევანდელი რუსეთისთვის მიუღებელია სამეზობლოში დამოუკიდებელი, წელში გამართული, დემოკრატიული ქვეყნის არსებობა. ამის ნათელი მაგალითი იყო საქართველო და ამის ნათელი მაგალითია უკრაინა, ამიტომ უკრაინისადმი სოლიდარობა, უკრაინის მხარდაჭერა, ბუნებრივია, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა.

**ბიძინა ივანიშვილისა და, საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის პიროვნული ფაქტორები. ერთი თავისი პოლიტიკური გავლენით, ხოლო მეორე თავისი ფინანსური შესაძლებლობებით და ასევე პოლიტიკური წონით. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებთ ამ კონკურენციის დაძლევას?**

თუკი, ერთი მხრივ, ეს გამოწვევაა, მეორე მხრივ, „თავისუფალი დემოკრატებისთვის" ეს კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობაა: მიხელ სააკაშვილი წარსულია, მან 9 წლის განმავლობაში მართა ქვეყანა და შეცდომებისთვის პოლიტიკური ფასიც გადაიხადა. ჩემთვის ბიძინა ივანიშვილიც წარსულია; მან დიდი წვლილი შეიტანა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულებაში. ბუნებრივია, ამისთვის მეც მადლიერი ვარ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებები საზოგადოებამ მოამწიფა. აღნიშნული პოლიტიკური ცვლილებები მოწმენდილ ცაზე არ მომხდარა და ამაში ყველამ ერთად შევიტანეთ წვლილი. ბიძინა ივანიშვილმა თავად გადაწყვიტა პოლიტიკიდან წასვლა, თუმცა დე ფაქტოდ მაინც დარჩა და ეს მისი ყველაზე დიდი შეცდომაა, რაც ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ დაუშვა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ფასს ბიძინა ივანიშვილი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გადაიხდის. ეს არჩევნები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება იმით, რომ არა – ყველა ერთის წინააღმდეგ, არამედ ღირებულებათა თანხვედრით შეკრული პოლიტიკური ძალებისა თუ ალიანსების დაპირისპირება იქნება.

ჩვენი აზრით, სწორედ „თავისუფალ დემოკრატებს" მოგვეცა შანსი ჩამოვყალიბდეთ დამოუკიდებელ, ალტერნატიულ, ცენტრისტულ ძალად, რომელიც საზოგადოებას არა მხოლოდ წარსულის ანალიზს, არამედ, პირველ რიგში, მომავლის ხედვას შესთავაზებს. ამაში საზოგადოების მხარდაჭერაც გვარწმუნებს. ასევე, აუცილებელია, რომ სარჩევნო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში გამოყენებული არ იყოს პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბერკეტები, პოლიტიკურ ძალებს კი საფინანსო რესურსის მოზიდვის საშუალება მიეცეს.

არ უნდა გამოვრიცხოთ რუსეთის ფაქტორიც, კრემლის მზარდი აგრესია, რომელმაც ბოლო წლის განმავლობაში პიკს უკრაინაში მიაღწია. ვფიქრობ, რომ არსებული ვითარება გარკვეულ ამაღლებულ რისკებს შეიცავს საქართველოს უსაფრთხოებისთვისაც. დარწმუნებული ვარ, რუსეთი ფიქრობს, რომ საქმე ბოლომდე აქვს მისაყვანი და საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, ევროპული ყაიდის სახელმწიფო მისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

**ვფიქრობ, რომ არსებული ვითარება გარკვეულ ამაღლებულ რისკებს შეიცავს საქართველოს უსაფრთხოებისთვისაც. დარწმუნებული ვარ, რუსეთი ფიქრობს, რომ საქმე ბოლომდე აქვს მისაყვანი და საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, ევროპული ყაიდის სახელმწიფო მისთვის საფრთხეს წარმოადგენს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**■ არის საქმეები, რომლებიც დავიწყეთ და ახლა შუა გზაშია. იმედი მაქვს ახალი ხელმძღვანელობა მათ გააგრძელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დავიბრუნეთ სამხედრო ბაზარი, რომელიც 2008 წლის შემდეგ ჩვენთვის არ არსებობდა. ეს სწორედ იმ ნდობამ განაპირობა, რომელიც ჩვენს პარტნიორებს თავდაცვის უწყებისა და ზოგადად სახელმწიფოს მიმართ გაუჩნდათ.**

საფიქრალია ისიც, თუ როგორ მოვახერხოთ საზოგადოების კონსოლიდირება ევროპული იდეისა და ღირებულების ირგვლივ. ჩვენი ქვეყნის მომავალი სწორედ იმ პერსპექტივებთანაა დაკავშირებული, რაც ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასა და NATO-სთან ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყებას უკავშირდება.

**რას მიიჩნევთ იმ აუცილებელ რეფორმებად, რომელიც გამარჯვებულმა კოალიციამ ვერ გაატარა და რას მიგაჩნიათ უშუალოდ თქვენს მთავარ შეცდომად, როდესაც თავდაცვის მინისტრის პოსტი გეკავათ? რის გაკეთება გსურთ და რა ვერ შესძელით?**

ყალბი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, თავდაცვის სამინისტროში მაქსიმუმს მივაღწიეთ. ბიუჯეტის ხარჯვა 75%-ით გამჭვირვალე გახდა, საიდუმლო შესყიდვები 13%-მდე შემცირდა. წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაიწევს. ისეთი რეფორმები განხორციელდა, რომ ოპერატიულ და ტაქტიკურ საკითხებში პოლიტიკური ჩარევა სრულად გამოირიცხა. გაძლიერდა შეიარაღებულ ძალებზე საპარლამენტო კონტროლი - ბოლო ორ არჩევნებში შეიარაღებული ძალების უდიდესმა ნაწილმა ხმა მისცა იქ, სადაც სურდა, და არა სპეცუბნებზე, როგორც ადრე ხდებოდა.

რა თქმა უნდა, არის საქმეები, რომლებიც დავიწყეთ და ახლა შუა გზაშია. იმედი მაქვს ახალი ხელმძღვანელობა მათ გააგრძელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დავიბრუნეთ სამხედრო ბაზარი, რომელიც 2008 წლის შემდეგ ჩვენთვის არ არსებობდა. ეს სწორედ იმ ნდობამ განაპირობა, რომელიც ჩვენს პარტნიორებს თავდაცვის უწყებისა და ზოგადად სახელმწიფოს მიმართ გაუჩნდათ.

ყველაზე დიდი პრობლემა, გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფეა, რაც არაფორმალური მართვის გამო ძალიან ჭირს. ჩვენნაირ, პატარა, და ასეთი გამოწვევების მქონე ქვეყანას, სწრაფი გადაწყვეტილებების სისტემა სჭირდება. ეს გაფუჭებული ტელეფონის პრინციპი მთავრობის მეთაურს საშუალებას არ აძლევს გადაწყვეტილებები სწრაფად მიიღოს და მინისტრებს დელეგირება გაუკეთოს.

იმან, თუ როგორ და რა ფორმით განხორციელდა შეტევა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და პროექტების წამომწყებ სოფლის მეურნეობის მინისტრზე, ძალიან ცუდი გამოხმაურება ჰპოვა სხვა მინისტრებისა და მათი მოადგილეების მხრიდან. ყველა გაურბოდა პასუხისმგებლობის აღებას, რათა ვილაც არ გამოჰკიდებოდა ივანიშვილის დახმარებით და მისი კომპრომეტირება არ მოეხდინა. ამან პასუხისმგებლობაზე უარის თქმის ძალიან ცუდი ტენდენცია გააჩინა, რაც გადაწყვეტილებებს ჭიმავს, ერთ დღეში მოსაგვარებელ საქმეს ორ-სამ თვეზე წელავს. ეს ბუნებრივია ბიზნესგარემოს ძალიან აზიანებს. ის დადებითი ტენდენცია, რომ ბიზნესზე პირდაპირი ზეწოლა მოიხსნა, ამ გაჭიანურებულმა პოლიტიკამ დაჩრდილა და ქვეყანა ეკონომიკური აქტივობების გაყინვამდე მიიყვანა.

**თქვენ გქონიათ შემთხვევები, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას ცდილობდით და ეს პროცესი გაჭიანურდა?**

როდესაც ვხედავდი, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ფერხდებოდა, საკუთარ თავზე ვიღებდი პასუხისმგებლობას და ვაკეთებდი იმას, რაც საჭირო იყო. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საფრანგეთში მივიღე, როდესაც დავინახე, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შეთანხმების გაფორმება შეიძლება საფრთხის ქვეშ დამდგარიყო. თუ ის არ შესრულდა, მე ვალდებულება მექნება საზოგადოებას ამის შესახებ ვუამბო. შესაძლოა სწორედ ამას მოჰყვა ჩემი იმიჯის შელახვის მცდელობა და პოლიტიკური დევნის დასაწყისი.

**როდის გეცოდინებათ, სრულდება თუ არა საფრანგეთში მიღწეული შეთანხმება?**

გაზაფხულზე.

**თქვენ ხელი გაქვთ მოწერილი იმ საარჩევნო პროგრამაზე, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" წარადგინა. რა იყო ის ყველაზე მნიშვნელოვანი საარჩევნო პირობა, რომელიც ამ დრომდე უნდა შესრულებულიყო და ვერ შესრულდა?**

ასეთი ბევრია. და მეც, როგორც ოცნების კოალიციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ამ პასუხისმგებლობას ვიზიარებ. სწორედ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბს ის ნაბიჯები, რაც ჩვენ, თავისუფალმა დემოკრატებმა გადავდგით. ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა კი სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირება იყო.

მოსმენების კანონი, რომელიც ახლა მიიღო პარლამენტმა, უკან გადადგმული დიდი ნაბიჯია. საზოგადოებას ვპირდები, რომ ცვლილების შემდეგ აუცილებლად შევძლებთ ნდობის მოპოვებას იმ სპეციალური ოპერატიული სამსახურების მიმართ, რომლებიც ამ მოსმენებს, ფარულ მიყურადებას და თვალთვალს ახორციელებენ, მათგან გავიტანთ სერვერსაც და გასაღებსაც, რათა მოსამართლემ და საზოგადოებამ, შეძლოსკონტროლი, თუ როდის და როგორ იყენებს სპეცსამსახური ამ უნიკალურ, ძალიან სპეციფიკურ შესაძლებლობას ისე, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების შესაძლებლობები – ებრძოლოს კრიმინალს, ტერორიზმს, და აწარმოოს კონტრდაზვერვითი სამუშაოები – არ დაზიანდეს.

მეორე შესრულებელი პირობა თვითმმართველობების რეფორმაა. მტკივნეულია, რომ ის პრაქტიკულად დაიბლოკა. დღეს თვითმმართველობა პრაქტიკულად არ გვაქვს. ჩვენ ამ რეფორმას ბოლომდე მივიყვანთ. სამწუხაროდ, თვითმმართველობის ფუნქცია უსაფრთხოების ადგილობრივ ქვედანაყოფებს აქვთ ალებული. ეს აზიანებს დემოკრატიას.

**თავისუფალი დემოკრატების ბოლო ყრილობა რესპუბლიკელების ლიდერმა დავით უსუფაშვილმა გახსნა, რომელმაც განაცხადა, რომ თქვენსა და რესპუბლიკელებს შორის იდეოლოგიის მნიშვნელოვანი თანხვედრაა და 2016 წლის არჩევნებზე, როგორც პროდასავლური პოლიტიკური ძალა შესაძლოა ერთად წარდგეთ. მოსმენების კანონპროექტის განხილვების დროს გამოჩნდა, რომ არც რესპუბლიკელები არიან „კარგ დღეში“. როგორ ხედავთ თქვენი გაერთიანების შანსს?**

პირველ რიგში იმას გეტყვით, რომ ჩვენს შეხედულებებში მართლაც ბევრი თანხვედრაა. ეს ურთიერთობები არა მხოლოდ პირადი, არამედ ღირებულებითია.

რესპუბლიკური პარტია მმართველი კოალიციის ნაწილია და მათი სახელით მე ვერ ვისაუბრებ. თუმცა შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენ კარგი სამუშაო რეჟიმი გვაქვს.

რაც შეეხება არჩევნებს, ძალიან ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ რა ფორმით შედგება კოალიციები. როდესაც 2016 წლის არჩევნებს მივუახლოვდებით და ჩვენს ძალებს დემონსტრირებას გავუკეთებთ, პარტნიორების ძიების საფუძველი და სურვილი მერე გაჩნდება. ორი ვარიანტია: ან კოალიციურად, მონაწილეობ არჩევნებში, ან როგორც ევროპული ქვეყნების უმეტესობაში ხდება, გადიხარ არჩევნებზე, შემდეგ რა ძალებითაც პარლამენტში ხართ, ერთიანდებით, ქმნით კოალიციურ მთავრობას და ა.შ. არცერთ ვარიანტს არ გამოვრიცხავ. არჩევნებამდე არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ იდეური, და პოლიტიკური შეთავაზების კუთხით ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად უნდა წარმოვჩინდეთ.

**დაბოლოს, რა იქნება თქვენი მესიჯი მათთვის ვისაც უკვირს, რომ ალასანიამ მას შემდეგ დაიწყო ხელისუფლების კრიტიკა, როდესაც მათგან წამოვიდა?**

მე არ ვსაუბრობ იმის მეათასედს, რაც შიგნით, კოალიციაში განგვიხილავს. ეს სწორი არ იქნებოდა. მე ვსაუბრობ იმ ფუნდამენტურ პრობლემებზე, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია, რათა ქვეყანამ მართლაც გადადგას ნაბიჯები და ერთი ადგილი არ ტკეპნოს.

ყველა იმ თემაზე, რაზეც ახლა ვისაუბრეთ, უფრო ღრმად და დეტალურად მქონია განხილვები კოალიციის ლიდერთან, პრემიერთან. არ მოვერიდებივარ ჩემი აზრის მისთვის თქმას. არ ვეკუთვნი იმ პოლიტიკოსების რიგს, რომლებიც სათქმელს მალავენ. არაფერი მაქვს დასაკარგი, გარდა იმ ღირსებისა, რაც გამაჩნია. არასდროს მქონია დიდი ფინანსური შესაძლებლობები, არც არავისზე ვყოფილვარ დამოკიდებული. სიმართლე, რომლითაც „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებაში მოვედით და ახლა ისევ ვაპირებთ ამას, საზოგადოებისთვის უფრო მომხიბვლელი და მიმზიდველი იქნება, ვიდრე სხვა ნებისმიერი პოლიტიკური თუ ფინანსური წონა.

*ესაუბრა გიორგი ჭეიშვილი*

■ როდესაც ვხედავდი, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ფერხდებოდა, საკუთარ თავზე ვიღებდი პასუხისმგებლობას და ვაკეთებდი იმას, რაც საჭირო იყო. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საფრანგეთში მივიღე, როდესაც დავინახე, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შეთანხმების გაფორმება შეიძლებოდა საფრთხის ქვეშ დამდგარიყო. თუ ის არ შესრულდა, მე ვალდებულება მექნება საზოგადოებას ამის შესახებ ვუამბო. შესაძლოა სწორედ ამას მოჰყვა ჩემი იმიჯის შელახვის მცდელობა და პოლიტიკური დევნის დასაწყისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# დაუცველი პირადი

ეკა მაღალდაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იციან და რისი გაგება შეუძლიათ თქვენზე სხვებს? რამდენად დაცული ხართ, თუკი თქვენი პერსონალური მონაცემები სხვებისთვისაც ხელმისაწვდომია? გიფიქრიათ, რამდენჯერ და სად მიგითითებიათ თქვენი სახელი და გვარი, მისამართი, ტელეფონი, პირადი ნომერი, ინფორმაცია ჯანმრთელობისა თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ? რა ხდება მაშინ, როდესაც საჯარო თუ კერძო დაწესებულებები ამ მონაცემებს კონფიდენციალურად არ ინახავენ და მას სხვებისთვის სულ მარტივად ხელმისაწვდომს ხდიან? დაბოლოს, სად გადის ზღვარი გამჭვირვალობასა და პირადი მონაცემების დაცულობას შორის?

მარიამ უგრეხელიძე მაგისტრატურის სტუდენტია. ცოტა ხნის წინ „გუგლის" საძიებო სისტემაში საკუთარი პირადი ნომერი ჩაწერა და აღმოაჩინა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე მის შესახებ იმაზე მეტი რამ მოიძებნება, ვიდრე წარმოიდგენდა.

„რამდენიმე თვის წინ მაგისტრატურის კურსზე აპლიკაცია შევავსე, გასაუბრებაზეც დამიბარეს. თუმცა საბოლოოდ სხვა უნივერსიტეტში ჩავერიცხე. როგორც გაირკვა, თსუ-ს ადმინისტრაციამ ვებგვერდზე ატვირთა დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ჩემი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი და ტელეფონის ნომერიც კი. აქვეა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ რა ქულა მიიღო წერისა და უცხო ენის გამოცდაში. ვინ გამოცხადდა ან არ გამოცხადდა გასაუბრებაზე. გაუგებარია, რატომ გახდა აუცილებელი ჩემი პირადი მონაცემების ასე გასაჯაროება", – ამბობს მარიამი.

### პერსონალური მონაცემების დაცულობის გარანტიები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი საქართველომ 2011 წლის ბოლოს მიიღო. კანონის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი კი 2013 წლის ივლისში შეიქმნა. ინსპექტორი ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას ზედამხედველობს და კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების კანონიერებას აკონტროლებს. ინსპექტორის აპარატის ძირითადი ამოცანა სწორედ პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაა.

2014 წლის ნოემბრიდან კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები კერძო სექტორის მიმართაც ზუსტად ისევე ვრცელდება, როგორც საჯარო სექტორის მიმართ.

### ინსპექტორი – პერსონალური მონაცემების დასაცავად

როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი ამბობს, წელიწადნახევრის განმავლობაში ინსპექტორის აპარატმა 20 საჯარო დაწესებულების, სამინისტროსა თუ სსიპ-ის ინსპექტირება მოახდინა. ინსპექტირების ნაწილი მოქალაქის განცხადების საფუძველზე დაიწყო, ნაწილი კი – ინსპექტორის ინიციატივით. აქცენტს მონაცემთა მსხვილ დამმუშავებლებზე აკეთებდნენ: პროკურატურა, ჯანდაცვის, განათლების, სასჯელაღსრულების სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო და ა.შ.

ინსპექტორი განმარტავს, რომ ადამიანთა ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება რამდენიმე მიმართულებით განსაკუთრებით ხშირად ირღვევა.

მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლების არარსებობა, სუბიექტების თანხმობა, სენსიტიური, განსაკუ-

### რა არის პერსონალური მონაცემი

პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან; აგრეთვე, ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

*საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ*

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## მეტრო LIVE

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ვებგვერდზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელი იყო მეტროსადგურების შესასვლელის, ვესტიბიულისა და ბაქნის მიმდებარედ დაყენებული ვიდეოკამერების ჩანაწერების ონლაინრეჟიმში ყურება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ამბობს, რომ ასეთი პროექტი შესაძლოა კარგი იყოს, თუ მეტროპოლიტენი ამას უსაფრთხოების მიზნით გამოიყენებს, მოაგროვებს და შეინახავს ამ ჩანაწერებს. მაგრამ სხვა საქმეა, როდესაც ნებისმიერს შეუძლია, აკონტროლოს სხვა ადამიანი – როდის, სად და ვისთან ერთად გადაადგილდება. ინსპექტორის მიმართვის შემდეგ, დღეს ეს სერვისი ვებგვერდზე არ მუშაობს.

თრებულ კატეგორიას მიკუთვნებული ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამჟღავნება, ვიდეოთვალთვალის მიზნები და კანონიერება, ამა თუ იმ მონაცემის სხვა ორგანიზაციებისთვის გადაცემა, პირდაპირი მარკეტინგი – ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც ინსპექტორმა 2014 წლის მარტში მთავრობისა და საზოგადოებისთვის წარდგენილ ანგარიშშიც გამოყო და „ლიბერალთან“ საუბრისასაც გაუსვა ხაზი.

„კანონის მიხედვით, ყველა სტრუქტურას, ვინც მონაცემებს ამუშავებს, ამისათვის ძალიან ნათელი, მკაფიო და კანონიერი საფუძველი სჭირდება. შემდგომ კი მან უნდა დააკმაყოფილოს ადეკვატურობისა და პროპორციულობის კრიტერიუმები. შეაგროვოს, შეინახოს და დაამუშაოს მონაცემების მხოლოდ ის ნაწილი, რაც ამ უწყების მიზნებისთვისაა აუცილებელი, მხოლოდ იმ ვადით, რაც საჭიროა და ა.შ.“ – განმარტავს თამარ ქალდანი.

როგორც ინსპექტორი ამბობს, ერთი ადამიანის პერსონალური მონაცემები აქტიურობის მიხედვით, დაახლოებით 150-დან 1500-მდე მონაცემთა ბაზაშია ასახული.

## როგორ იცავენ პერსონალურ მონაცემებს ქვეყანაში?

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს 2011 წლიდან აკვირდება. 2013 წელს ორგანიზაციამ კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ სამინისტროებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე ცნობადობა ძალიან დაბალია, ზოგან კი უბრალოდ არ არსებობს. უმრავლესობას არ აქვს გააზრებული კანონის იმპლემენტაციისთვის გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობა. არ არსებობს კანონის იმპლემენტაციის კონკრეტული ხედვები და გეგმები ; არავის გადაუდგამს ამისთვის ქმედითი ნაბიჯები, არ არსებობს მტკიცებულებები, რომ სამინისტროებში არსებობს მკაფიო ნება და სერიოზული განზრახვა მონაცემთა დაცვის მოსაწესრიგებლად.

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორი გიორგი გაბრიელაშვილი მიიჩნევს, რომ მიუხედავად მცირედი წინსვლისა, მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. მოქალაქეებსა და საჯარო დაწესებულებებს საკითხის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ აქვთ გააზრებული. პერსონალური მონაცემები კვლავ დაუცველი და ადვილად ხელმისაწვდომია.

„საჯარო დაწესებულებებში შეიძლება ჩამოთვალონ ღონისძიებები, რაც გაატარეს, მაგრამ დღემდე მოქმედებს ძალიან ბევრი ელექტრონული ბაზა, რომელზე წვდომაც ძალიან ბევრ თანამშრომელს აქვს. ზოგჯერ ერთი ელექტრონული ბაზიდან სხვა ბაზასთან დაკავშირებაა შესაძლებელი. ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სამედიცინო დაწესებულებები – მათ ხელში უამრავი პერსონალური მონაცემია. ბევრი სპეციფიკური ტექნიკური საკითხი იჩენს თავს. ამიტომ მხოლოდ ტრენინგები, განცხადებები და მოწოდებები პერსონალურ მონაცემთა დაცვისკენ, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ეს, პრობლემას ვერ მოაგვარებს“, – ამბობს გაბრიელაშვილი.

გიორგი გაბრიელაშვილი განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაში არ იგულისხმება მათი მხოლოდ ჟურნალისტებისთვის ან სხვა პირებისთვის არმიწოდება, ან ის, თუ ამ ინფორმაციას ვებგვერდზე არ განათავსებენ, პრობლემა ხშირად იმ თანამშრომლებისგან მოდის, რომლებსაც ელექტრონულ ბაზებზე ხელი მიუწვდებათ.

**„კანონის მიხედვით, ყველა სტრუქტურას, ვინც მონაცემებს ამუშავებს, ამისათვის ძალიან ნათელი, მკაფიო და კანონიერი საფუძველი სჭირდება. შემდგომ კი მან უნდა დააკმაყოფილოს ადეკვატურობისა და პროპორციულობის კრიტერიუმები. შეაგროვოს, შეინახოს და დაამუშაოს მონაცემების მხოლოდ ის ნაწილი, რაც ამ უწყების მიზნებისთვისაა აუცილებელი, მხოლოდ იმ ვადით, რაც საჭიროა და ა.შ.“ – განმარტავს თამარ ქალდანი.**

„ძალიან ცოტა დაწესებულებაში აქვთ გააზრებული, რომ კანონი დაცული უნდა იყოს მონაცემთა დამუშავების ყველა ეტაპზე. უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია: კრიტიკულად შეფასდეს რა ელექტრონული ბაზები მოქმედებს, რა ტიპის ინფორმაცია რა ვადითაა შენახული და როგორაა დაცული. ხომ არ მიუწვდებათ ამ მონაცემებზე ხელი იმ თანამშრომლებსაც, რომელთა საქმიანობისთვისაც ეს აუცილებელი არ არის?“ – ამბობს გაბრიელაშვილი.

მისი აზრით, ის, რომ რიგით თანამშრომელს, მიუხედავად მისი ფუნქციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„ძალიან ცოტა დაწესებულებაში აქვთ გააზრებული, რომ კანონი დაცული უნდა იყოს მონაცემთა დამუშავების ყველა ეტაპზე. უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია: კრიტიკულად შეფასდეს რა ელექტრონული ბაზები მოქმედებს, რა ტიპის ინფორმაცია რა ვადითაა შენახული და როგორაა დაცული. ხომ არ მიუწვდებათ ამ მონაცემებზე ხელი იმ თანამშრომლებსაც, რომელთა საქმიანობისთვისაც ეს აუცილებელი არ არის?“**

ბისა, დაწესებულებაში მოქმედ ყველა სისტემაზე მიუწვდება ხელი, ისეთივე დაუშვებელია, როგორც ამ ინფორმაციის გარეთ გატანა და სხვისთვის გადაცემა, რისგანაც არ ვართ დაზღვეულები მაშინ, როდესაც ქმედებების „არანაირი კვალი არ რჩება“.

„კვალი“, რომელზეც გაბრიელაშვილი საუბრობს, პერსონალურ მონაცემებზე ჩატარებულ ყველა ქმედებას გულისხმობს, მათ შორის ნახვას. ყველა უწყება ვალდებულია ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემებზე განხორციელებული ქმედებები, ნახვაც კი აღრიცხოს. თუმცა გაბრიელაშვილის თქმით, ეს ვალდებულება პრაქტიკულად არ სრულდება და პერსონალურ მონაცემებზე განხორციელებული ქმედებები „კვალს არ ტოვებს“. შესაბამისად, შეუძლებელია გაიგო, ვინ ნახა და ვისგან გამჟღავნდა შენი პირადი ინფორმაცია, ამაში გასარკვევი არანაირი ინსტრუმენტი არ არსებობს.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრობლემებზე საუბრისას ინსპექტორი განმარტავს, რომ სირთულეებს ლოგიკური საფუძველი აქვს: „ტექნოლოგიების განვითარება და მონაცემთა დამუშავება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი და შესაბამისი სტანდარტები დადგინდებოდა. ამიტომ, პროცესები წლების განმავლობაში რეგულაციის გარეშე მიმდინარეობდა. მაგრამ ეს ორი პროცესი როგორმე ერთმანეთს უნდა დავამთხვიოთ. დავიწყოთ ინფორმაციის დამუშავება სტანდარტებისა და კანონის შესაბამისად“, – ამბობს თამარ ქალდანი.

ინსპექტორის თქმით, მოქალაქეებისთვის უმთავრესი პრობლემა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაა, თანამედროვე ელექტრონული სისტემების გამოყენებით ერთხელ გასაჯაროებული ინფორმაციის შემდგომი მართვა და შეზღუდვა კი განსაკუთრებით რთულია – „კერძო და, განსაკუთრებით, საჯარო სტრუქტურები მონაცემთა დამუშავებას და გასაჯაროებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ეს ინფორმაცია მონაცემთა შემდგომი, განსხვავებული მიზნებით დამუშავების წყარო შეიძლება გახდეს“.

მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევის, კანონიერი საფუძვლების გარეშე დამუშავებისა თუ სხვა ქმედებებისთვის უწყებები, გაფრთხილების გარდა, შეიძლება 500-დან 10 000 ლარამდე ფინანსური ჯარიმითაც კი დაისაჯონ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის დარღვევისთვის ფინანსური სანქცია ამ დრომდე ორ საჯარო უწყებას დაეკისრა – სასჯელაღსრულების სამინისტრომ 1000 ლარი ბიუჯეტში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაჯაროებისთვის გადაიხადა. ეს ინფორმაცია ამჟამად ხელმისაწვდომი აღარ არის. საქართველოს პროკურატურამ კი ინსპექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

ინსპექტორის აპარატს არა მხოლოდ რეკომენდაციის თუ სანქციის გამოყენება შეუძლია, არამედ აქვს კიდეც სამართლებრივი ბერკეტი, დაავალდებულოს უწყება შეწყვიტოს კონკრეტული მონაცემის დამუშავება, გასაჯაროება ან ნებისმიერი ქმედება, რაც კანონს ეწინააღმდეგება.

### რიჩარდ ტომასი,
**დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის კომისარი**

ვიდეოთვალთვალის სისტემების გამოყენება საშუალებას იძლევა, მრავალი კანონმორჩილი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება დაუქვემდებაროს კონტროლს. ის, რომ ვიდეოთვალთვალის განხორციელება ნებადართული და იაფია, ავტომატურად არ ნიშნავს, მისი გამოყენების მიზანშეწონილობას.

### ვივიანა რედინგი
**ევროპის კომისიის ვიცეპრეზიდენტი**

ევროპელთა 92%-ს აწუხებს მობილური აპლიკაციების გამოყენებისას მათი თანხმობის გარეშე პერსონალური მონაცემების შეგროვების საკითხი, ხოლო 89%-ს აინტერესებს, ვის მიუწვდება ხელი ტელეფონში შენახულ ინფორმაციაზე. ხშირად ტექნოლოგიური ცვლილებები ადამიანს არჩევნის უფლებას უზღუდავს, რაც იწვევს მათ უნდობლობას. სწორედ ამიტომაა მნიშნელოვანი, მოქალაქეებისთვის მათსავე პერსონალურ მონაცემებზე კონტროლის დაბრუნება.

## საჯარო პირადი ნომერი – სად გადის ზღვარი გამჭვირვალობასა და დაცულობას შორის

პირადი ნომერი პერსონალური მონაცემის კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა მისი გაგება ინტერნეტის მეშვეობითაც კი არ არის რთული. ამისთვის საკმარისია საჯარო რეესტრის ვებგვერდზე იმ ადამიანის სახელი და გვარი ჩავწეროთ, ვინც გვაინტერესებს. თუკი მას ოდესმე ქონება დაურეგისტრირებია ან რაიმე შეხება ჰქონია რეესტრთან, მისი პირადი ნომერი ჩვენთვისაც ცნობილი გახდება. პირადი ნომრითა და გვარით კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე შეგვიძლია გავარკვიოთ, სად ცხოვრობს (ოფიციალური მისამართი) ეს ადამიანი და ვინაა მასთან ერთად ამავე მისამართზე რეგისტრირებული.

პირადი ნომრით შეიძლება ადამიანის

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## კერძო სექტორი და პერსონალური მონაცემები

2014 წლის 1 ნოემბრიდან "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონი სრულად ვრცელდება კერძო სექტორზეც. რაც იმას ნიშნავს, რომ ინსპექტორს უკვე შეუძლია მოქალაქის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს რამდენად კანონიერად ამუშავებს მონაცემებს ნებისმიერი კერძო ორგანიზაცია და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, გამოიყენოს შესაბამისი სანქციები.

ინსპექტორის განცხადებით, კერძო სექტორში სერიოზულ პრობლემად რჩება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას კანონით განსაზღვრული საფუძვლების ფართოდ ინტერპრეტაცია.

მაგალითად, ინსპექტორის გასული წლის ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთი დამსაქმებელი კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატისგან განათლებისა და სამუშაო გამოცდილების, სახელფასო ისტორიისა და შემოსავლის შესახებ ინფორმაციის გარდა, სავალდებულო წესით ითხოვდა მისი და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის, სისხლის სამართლის საქმეში ნებისმიერი სტატუსით მონაწილეობის, ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური შეხედულებების შესახებ ინფორმაციას. დასაქმების კანდიდატი იძულებული გახდა წარედგინა ეს მონაცემები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მიღებაზე უარს ეტყოდნენ.

მოძებნა სხვადასხვა აბსოლუტურად ღია და ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზაშიც, იქნება ეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა, გრანტირებულთა, სტიპენდიანტთა თუ სხვა სიები.

ინოვაციებისა და რესურსების ცენტრის წარმომადგენელი განმარტავს, რომ საჯარო რეესტრის ვებგვერდზე პირადი ნომრის გასაჯაროება ფორმალურად კანონიერია, რადგან სახელმწიფომ თავის დროზე გამჭვირვალობის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. მაგრამ ამ მხრივ უზრუნველყოფილი საჯაროობა შესაძლოა სხვა სფეროებში ჩვენს უფლებებს არღვევდეს.

„პირადი ნომრის ამ წესით გასაჯაროება და ამ დონის ხელმისაწვდომობა, ვფიქრობ, არაპროპორციულია და საკანონმდებლო დონეზე ზოგი რამ შესაცვლელია. პრობლემას ის ამწვავებს, რომ ძალიან ბევრი დაწესებულების ონლაინსერვისები სწორედ პირად ნომერზეა დაშენებული. ჩვენთან პირადი ნომერი იმდენად დაუცველი და ყველასთვის ხელმისაწვდომია, რომ დაუშვებელია სხვა რომელიმე სერვისი ამავე პირადი ნომრით იყოს ძიებაზე დამოკიდებული. მით უმეტეს, ისეთი სენსიტიური საკითხები, როგორიც შეიძლება იყოს ჯანმრთელობის, ფინანსური თუ სხვა მდგომარეობა“, – ამბობს გიორგი გაბრიელაშვილი.

მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს მიდგომა, რომ სხვადასხვა სერვისით სარგებლობისთვის მოქალაქეებს განსხვავებული საიდენტიფიკაციო ნომრები ჰქონდეთ. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ეს ნომერი უნიკალურია და ბევრ სხვადასხვა სექტორში გამოიყენება, გაბრიელაშვილის თქმით, აუცილებელია არსებობდეს დაცვის მეტი გარანტია.

„ზედმეტად ხომ არ გააკეთა კანონმა არჩევანი საჯაროობის სასარგებლოდ? თუკი ეს აუცილებელია გამჭვირვალობისთვის, მაშინ სხვა საჯარო უწყებებმა არ უნდა მიაბან პირად ნომერს სხვა მონაცემებზე წვდომა. ამ საჯარო ინფორმაციით არ უნდა იძებნებოდეს ის, რაც საჯარო არ არის“, – განმარტავს ექსპერტი.

თამარ ქალდანი ფიქრობს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა გამჭვირვალობას არ ეწინააღმდეგება და მონაცემთა დასაცავად ის ზედმეტ შეზღუდვებს სულაც არ ითხოვს, მაგრამ ბალანსი საჯაროობასა და კონკრეტული ადამიანების დაცულობას შორის აუცილებლად დაცვის მაღალი გარანტიებით უნდა შენარჩუნდეს.

### საჯარო პირების პირადი

მიუხედავად თმენის ვალდებულებისა და მაღალი საჯარო ინტერესისა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიებით საჯარო პირებიც უნდა სარგებლობდნენ. თამარ ქალდანი ამბობს, რომ ამ შემთხვევაშიც არსებობს ზღვარი, რა შეიძლება იყოს საჯარო და რა – არა. ყველაფერი, რაც საჯარო პირის საქმიანობას არ ეხება, უნდა იყოს დაცული, ჯანმრთელობის მდგომარეობა იქნება ეს თუ იმ ბინის ნომერი, რომელშიც ის ცხოვრობს.

„ამას ჩვენ არჩევანის უფლებას ვუწოდებთ. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, გადაწყვიტოს, რა დოზით გახდეს საჯარო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზღვარი საჯაროობასა და დაცულობას შორის ლოგიკური იყოს. კანონი ზოგ შემთხვევაში ძალიან მოქნილია, და ასეთ დროს კონკრეტულმა უწყებებმა უნდა შეაფასონ, გაასაჯაროონ თუ არა ესა

**„პირადი ნომრის ამ წესით გასაჯაროება და ამ დონის ხელმისაწვდომობა, ვფიქრობ, არაპროპორციულია და საკანონმდებლო დონეზე ზოგი რამ შესაცვლელია. პრობლემას ის ამწვავებს, რომ ძალიან ბევრი დაწესებულების ონლაინსერვისები სწორედ პირად ნომერზეა დაშენებული. ჩვენთან პირადი ნომერი იმდენად დაუცველი და ყველასთვის ხელმისაწვდომია, რომ დაუშვებელია სხვა რომელიმე სერვისი ამავე პირადი ნომრით იყოს ძიებაზე დამოკიდებული. მით უმეტეს, ისეთი სენსიტიური საკითხები, როგორიც შეიძლება იყოს ჯანმრთელობის, ფინანსური თუ სხვა მდგომარეობა“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„ზედმეტად ხომ არ გააკეთა კანონმა არჩევანი საჯაროობის სასარგებლოდ? თუკი ეს აუცილებელია გამჭვირვალობისთვის, მაშინ სხვა საჯარო უწყებებმა არ უნდა მიაბან პირად ნომერს სხვა მონაცემებზე წვდომა. ამ საჯარო ინფორმაციით არ უნდა იძებნებოდეს ის, რაც საჯარო არ არის“.**

თუ ის მონაცემი. შეაფასონ ის კრიტიკულად და, რაც მთავარია, მიიღონ სუბიექტების თანხმობა“.

## პერსონალური მონაცემების დაცვის ფასი

პერსონალური მონაცემების მაღალი სტანდარტით დაცვა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, საჭიროებს ადამიანურ რესურსს, ცვლილებებს პროგრამებში და ა.შ. თუმცა, გიორგი გაბრიელაშვილის აზრით, ხარჯებზე საუბარი არასერიოზული არგუმენტია მაშინ, როდესაც საჯარო დაწესებულებების შტატები ისედაც ძალიან გაბერილია. პრობლემას კი ისევ თემის არასერიოზულად აღქმა იწვევს – პერსონალური მონაცემების გასაჯაროება ზოგს უმნიშვნელოდ მიაჩნია და ნაკლებად აცნობიერებს სხვადასხვა ტიპის ზიანს, რაც ამან შეიძლება მოუტანოს.

„პერსონალური მონაცემები თავისთავადი ღირებულებაა და მათი გამჟღავნება ადამიანს მორალურ დისკომფორტს უქმნის. ყველას აქვს უფლება, რომ არავინ იცოდეს ინფორმაცია მათი ოჯახური, ფინანსური, ჯანმრთელობისა თუ სოციალური მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, არსებობს ფინანსური და ფიზიკური რისკებიც, მაგრამ დაცულობაზე მოთხოვნა კვლავ დაბალია. პერსონალური მონაცემების დაუცველობის გამო, ორგანიზაციებს არ უფუჭდებათ რეპუტაცია, არ კარგავენ კლიენტებს და ა.შ. სანამ ეს შეიცვლება, ადამიანების ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება ყოველდღიურად ირღვევა“, – ამბობს გაბრიელაშვილი.

საქართველოსთვის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხმა ბოლო პერიოდში ახალი – საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. ჩანაწერები მონაცემთა დაცვის შესახებ თავდაპირველად, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტსა და მის სამოქმედო გეგმაში გაჩნდა, შემდეგ კი, 2013 წლის დასაწყისში, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გადმოცემულ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში ცალკე ადგილი სწორედ მონაცემთა დაცვას დაეთმო.

მონაცემთა დამმუშავებლების პასუხისმგებლობის გაზრდასთან ერთად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოქალაქეთა აქტიურობის მნიშვნელობაზეც საუბრობს და ამბობს, რომ თუკი მოქალაქეები საკუთარი, ძალიან მნიშვნელოვანი უფლებების დაცვას მოითხოვენ, ამით პროცესი გაჯანსაღებას შეუწყობენ ხელს.

„ჩვენ გვჭირდება აქტიური მოქალაქე, რომელიც აღშფოთებასთან ერთად, მიმართავს დამმუშავებელს და მოითხოვს ახსნას, რა მიზნითაა გასაჯაროებული მისი პერსონალური მონაცემები. ან თუ ეს ინფორმაცია მცდარია ან დისკომფორტს უქმნის მოქალაქეს, მას ასევე შეუძლია მოითხოვოს ამ ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა ან მინიმუმ ჩასწორება მაინც. ეს მოქალაქის ძალიან მნიშვნელოვანი უფლებებია. ჩათვალეთ, რომ თქვენი სახელი და გვარი ისეთივე საკუთრებაა, როგორიც ფული, რომელიც საფულეში გიდევთ“, – განმარტავს ინსპექტორი.

ასე რომ, მარიამმა, რომლის პერსონალური მონაცემებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე მისი თანხმობის გარეშე განთავსებული, უნდა გადაწყვიტოს, მიმართავს თუ არა უნივერსიტეტს ამ მონაცემების აღების თაობაზე თხოვნით, თუ ბევრის მსგავსად, იფიქრებს, რომ ეს მას არასდროს არანაირ პრობლემას არ შეუქმნის.

## უფლება იყო დავიწყებული

16 წლის წინ ესპანელ ადვოკატს, მარიო კოსტეხა გონსალესს ვალების გამო სახლი აუქციონზე გაუყიდეს. გონსალესმა წლების შემდეგ **Google**-ს საძიებო სისტემაში ამ თემაზე დაწერილი სტატია შედეგების პირველივე გვერდზე აღმოაჩინა. ადვოკატმა მიიჩნია, რომ ეს ფაქტი მის რეპუტაციასა და კონფიდენციალურობის უფლებას ზიანს აყენებდა, სტატიას კი აქტუალობა უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა. გონსალესმა დასახმარებლად ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტოს მიმართა.

გაზეთმა **„La Vanguardia“**-მ, რომლის საიტზეც ინფორმაცია იყო განთავსებული, მოთხოვნის მიუხედავად, სტატია დატოვა, ამიტომ უწყებამ **Google**-ს სთხოვა იმ ბმულების წაშლა, რომლებსაც მომხმარებელი გაზეთის ვებგვერდზე გადაჰყავდა.

ინტერნეტგიგანტმა სასამართლოში იჩივლა, ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ კი დავა ევროპის სასამართლოს გადასცა. ევროპის სასამართლომ **Google** ოფიციალურად დაავალდებულა, ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნის საფუძველზე წაეშალა მის შესახებ არსებული საძიებო შედეგები, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ადამიანის აზრით, ბმულები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა ან უბრალოდ მოძველებულ ინფორმაციას შეიცავდა.

ამ გადაწყვეტილებით თავად სტატია არ იშლება და ხელმისაწვდომი რჩება, მაგრამ ის საძიებო შედეგებიდან ქრება და მისი ნახვის საშუალება იზღუდება. მომხმარებლებს ვირტუალურ სივრცეში პირველად მიეცათ „დავიწყების უფლება“. მართალია, მხოლოდ ევროპის ქვეყნებში, თუმცა მაინც ცალსახად ითქვა, რომ „დავიწყების უფლება“ ადამიანის პირადი მონაცემების დაცვის ნაწილია.

**Google**-მა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას ცენზურისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა თუმცა **Google**-ს ახალი სერვისი მაინც დაემატა: ონლაინპლატფორმა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია კომპანიაში არასასურველი ბმულების წაშლის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა. სასამართლოს დადგენილების გამოტანიდან პირველივე დღეს Google-ს ბმულების წაშლის მოთხოვნით 12 000-მა ადამიანმა მიმართა.

საზოგადოება

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# მიწისქვეშა ქალაქის ბუშაბები

ახლადგაღვიძებული ქალაქი დილაობით მიწის ქვეშ ჩადის. გაივლის უცნაურ, ბნელ გზას, გაძვრება მტკვრის ქვეშ და დღეს მიწის ზემოთ აგრძელებს. მივდივართ სამსახურებში, სკოლებში, ბაღებში, ყავის დასალევად, მეგობრის სანახავად ან უბრალოდ სასეირნოდ. საღამოს კი, გვიან, იმავე გზით, სახლებში ვბრუნდებით. ბევრისთვის ქალაქში ცხოვრება ამ მიწისქვეშა მოგზაურობის გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა ეს ის ადგილია, რომლის შესახებაც ალბათ ყველაზე ცოტა რამ ვიცით, განსაკუთრებით უცნობია იმ ადამიანთა ამბები, რომლებიც მიწის ქვეშ გვხვდებიან. ისინი ცხოვრების დიდ ნაწილს მეტროში ატარებენ.

თათია ხალიანი

### მარინა სონიშვილი, კონტროლიორი

ესკალატორის ბოლოში პატარა ჯიხურში ზის, ფეხებთან გამათბობელი უდგას, იქვეა ტელეფონი, ხმის გამაძლიერებელი და სამღილაკიანი გამომრთველი. ამვლელ-ჩამვლელებს აკვირდება. თუკი ესკალატორზე წაქცეულ ადამიანს, დედას გამოქცეულ ბავშვს ან არასწორი მიმართულებით შესულ მგზავრს შენიშნავს, ესკალატორს მაშინვე აჩერებს. ამის გაკეთება დღის განმავლობაში ხშირად უწევს.

მარინა სონიშვილი მეტროპოლიტენის კონტროლიორია. რვა წელია, დღე-ღამის 12 საათს მიწის ქვეშ ატარებს. მონაცვლეობით, ხან დღე უწევს მუშაობა, ხან ღამე. შესვენება ნახევარი საათი აქვს.

ღამის პირველის ოც წუთზე, როცა მეტრო ბოლო მგზავრს გაისტუმრებს, კარები იკეტება, შუქი ქრება, მარინა კი მიწის ქვეშ, თანამშრომლებისთვის გამოყოფილ ოთახში დასაძინებლად მიდის.

ერთი დღე-ღამის მუშაობის შემდეგ ორ დღეს ისვენებს. სახლში ორი შვილი და მეუღლე ელოდება.

მარინა უნივერსიტეტში, უცხო ენების ფაკულტეტზე სწავლობდა. მერე გათხოვდა. ათი წელი სახლში იყო, შვილებს ზრდიდა. როცა მუშაობის დაწყება გადაწყვიტა, ახლობელმა მეტროში მოსვლა ურჩია.

ყოველ ორ საათში ადგილს იცვლის – ხან ჯიხურში ზის, ხან ესკალატორის ზემოთ მგზავრების გასატარებელ აპარატებთან დგას. ამბობს, რომ შემოსასვლელში ყოფნა უფრო



მარინა სონიშვილი ამვლელ-ჩამვლელებს აკვირდება. თუკი ესკალატორზე წაქცეულ ადამიანს, დედას გამოქცეულ ბავშვს, ან არასწორი მიმართულებით შესულ მგზავრს შენიშნავს, ესკალატორს მაშინვე აჩერებს.

რთულია, ხშირად მგზავრები უფასოდ გატარებას სთხოვენ: „სკოლიდან მომავალ, ზურგჩანთამოკიდებულ მოსწავლეს, რომელიც დარცხვენით მეუბნება, რომ სამგზავრო ბარათი დარჩა, ვატარებ".

მარინასთვის მგზავრებთან ურთიერთობა საინტერესოა. მუდმივად რალაცას ეკითხებიან, ხან გზებს, ხან ტელეფონზე დარეკვას ან „მესიჯის" გაგზავნას სთხოვენ. ხშირად იმითაც ინტერესდებიან, თუ რას აკეთებს ჯიხურში. ერთხელ ერთმა მგზავრმა საჩუქრად საზამთრო მოუტანა.

„მეტრო ყველაზე მეტად ბავშვებს უყვართ, მათთვის საინტერესო ადგილია. სულ საპირისპირო მიმართულებით გარბიან ხოლმე. ამ დროს ძალიან საშიშია, თუ ყურადღებით არ ვიქნები და ესკალატორს დროულად არ გავაჩერებ, შეიძლება დაშავდნენ. ხშირად სახელურში ქურთუკი ჩაჰყვებათ ხოლმე", – ამბობს მარინა.

მუდმივი ხმაურის, გამონაბოლქვის, რყევების გამო მეტროში მუშაობა თანამშრომლებისთვის მძიმე და ჯანმრთელობისთვის საზიანოა, ამიტომ მარინას ერთი წლის წინ ხელფასი 50 ლარით, შვებულება კი ათი დღით გაეზარდა. თავიდან ხელფასი 180 ლარი ჰქონდა, მერე ნელ-ნელა მოემატა და ახლა ხუთას ლარამდე აქვს. თუკი მისი ცვლა რომელიმე დღესასწაულს დაემთხვევა, შრომა ორმაგად უნაზღაურდება.

ამბობს, რომ მიწის ქვეშ მუშაობა რთულია, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეჩვია, თანამშრომლებს დაუმეგობრდა, სტაბილური სამსახურია და ახლა სხვაგან ვერსად წავა.

ემზარ ბარბაქაძე, მემანქანე

განრიგს ამოწმებს: ხვალ, დილის 3:45-ზე, მეტროსადგურ „დიდუბეში" უნდა გამოცხადდეს.

სამუშაოს დაწყების წინ სამედიცინო შემოწმებას გადის – სიცხე, წნევა, ალკოჰოლი. ექვსის ნახევრისთვის მზადაა. მატარებლის კაბინაში ჯდება და ადამიანებით სავსე ვაგონები სხვადასხვა სადგურში მიჰყავს. ვარკეთილი-ახმეტელი, ახმეტელი- ვარკეთილი – ამ გზის გავლა რვასაათიან სამუშაო პერიოდში დაახლოებით ექვსჯერ უწევს.

ემზარ ბარბაქაძე 15 წელია მემანქანედ მუშაობს. კომპანიაში ერთწლიანი სასწავლო კურსი გაიარა. მას შემდეგ თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომელია.

ემზარის საქმე რთული და საპასუხისმგებლოა. მუდმივად დაძაბულია, განსაკუთრებით სადგურში შესვლის წინ: „ათასი ყური და თვალი უნდა გქონდეს, რომ ყველა მგზავრს ყურადღება მიაქციო. ვინმე ნასვამი არ იყოს, ლიანდაგთან ახლოს არ იდგეს, მგზავრი ვაგონში უსაფრთხოდ შევიდეს. ამიტომ უფრო სულიერად ვილლები, ვიდრე ფიზიკურად. ყურადღებას ერთი წუთით ვერ მოადუნებ".

მემანქანე სადგურში არაუმეტეს 40კმ.სთ. სიჩქარით უნდა შევიდეს, რომ მგაზვრის გადმოვარდნის შემთხვევაში დამუხრუჭება მოასწროს.

თუკი მატარებელი მოულოდნელად გვირაბში გაჩერდება, მემანქანეს მდგომარეობის გამოსასწორებლად 5 წუთი აქვს. თუ ამ დროში მატარებლის ამოძრავებას ვერ მოახერხებს, დამხმარე სამსახურს ატყობინებს. ერთ ვაგონში მაქსიმუმ 280 ადამიანი ეტევა.

მემანქანეები ყველაზე მეტ სირთულეს მაშინ აწყდებიან, როდესაც მეტროში შუქი ითიშება. მგზავრები ვაგონებიდან სათითაოდ უნდა გადმოიყვანონ და გვირაბში გაუშვან. ასეთი შემთხვევა ემზარს სამჯერ ჰქონდა.

ამას წინათ ერთ-ერთმა მგზავრმა მადლობა გადაუხადა. უცნაური იყო. ამბობს, რომ ძირითადად მემანქანის კაბინაში შეშვებას სთხოვენ ხოლმე.

## თბილისის მეტროს ისტორია



1951 წლის 29 სექტემბერს ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მომდევნო წელს თბილისის მეტრომშენის სამმართველოც ჩამოყალიბდა. 1953 წელს გადასარბენი გვირაბებისა და პირველი შახტების მშენებლობა დაიწყო. მშენებლობას სათავეში მოსკოვის მეტროს ერთ-ერთი მშენებელი, ინჟინერი შალვა დანელია ჩაუდგა.

თბილისის მეტრო 1966 წლის 11 იანვარს გაიხსნა და 6 სადგურისგან შედგებოდა (დიდუბე, ელექტროდეპო, ოქტომბერი (შემდეგ ნაძალადევი), ვაგზლის მოედანი, მარჯანიშვილი, რუსთაველი). მისი სიგრძე 6.5 კილომეტრს შეადგენდა. 1967 წლის 7 ნოემბერს მეტროპოლიტენის სამი სადგური გაიხსნა: „თავისუფლების მოედანი" (ძველი „ლენინის მოედანი"), „ავლაბარი" (ძველი „26 კომისარი") და „300 არაგველი". სამი წლის შემდეგ კი ორი სადგური – „ისანი" და „სამგორი" – დაემატა.

მეტროპოლიტენის მეორე ხაზი, 5.8 კილომეტრი სიგრძით, რომელმაც სადგურის მოედანი საბურთალოს რაიონს დააკავშირა, 1979 წლის სექტემბერში გაიხსნა.

1985 წელს სადგური „ღრმაღელე", „გურამიშვილი" და „ვარკეთილი"; 1989 წლის 15 იანვარს სადგურები: „სარაჯიშვილი" და „ახმეტელის თეატრი"; ყველაზე გვიან კი 2000 წლის 3 აპრილს სადგური „ვაჟა-ფშაველა" გაიხსნა.

## მეტროპოლიტენი




ამჟამად თბილისში 22 მეტროსადგურია. I ხაზის სიგრძე (ახმეტელის თეატრი – ვარკეთილი) 40კმ-ს შეადგენს, საბურთალოს ხაზის სიგრძე კი 13,6 კმ-ს. პირველ ხაზზე მატარებელს მთლიანი მარშრუტის გასავლელად 60 წუთი სჭირდება (30 წუთი ერთი მიმართულებით), ხოლო საბურთალოს ხაზზე – 30 წუთი (15 წუთი ერთი მიმართულებით).

საშუალოდ დღეში პირველ ხაზზე მომუშავე მატარებლები 400 კმ-ს გადიან, საბურთალოს ხაზზე კი – 311 კმ-ს.

მეტროს სადგურებში არსებული ყველა ესკალატორის საერთო სიგრძე 10 კმ-ს შეადგენს. ყველაზე ღრმა რუსთაველის სადგურია, რომელიც 60 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს.

გვირაბების საერთო სიგრძე (დამხმარე გვირაბებისა და ჩიხების ჩათვლით) 53,7 კმ-ს შეადგენს.

მეტრო წელიწადში საშუალოდ 65 მილიონ კვტ.სთ. ელექტროენერგიას ხარჯავს.

## მეტროპოლიტენი

თბილისის სატრანსპორტო კომპანია (ყოფილი შპს თბილისის მეტრო), 1966 წლიდან მუშაობს, როდესაც გაიხსნა მეტროპოლიტენის პირველი მონაკვეთი დიდუბე-რუსთაველის მიმართულებით. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი თბილისის მთავრობაა.

2009 წელს კომპანიას საკუთრებაში მუნიციპალური ავტობუსები და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონება გადაეცა. 2012 წლიდან კი ახლადაშენებული რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა დაემატა.

კომპანიაში 5600-ამდე ადამიანია დასაქმებული. 2013 წლის მონაცემებით, კომპანიაში დასაქმებული ქალების რაოდენობა 20%-ს შეადგენს. დასაქმებულთა 11% (626 თანამშრომელი) კი საპენსიო ასაკისაა.

კომპანიაში ტექნიკური სკოლა ფუნქციონირებს, სადაც კვალიფიკაციის ამაღლებისა და შენარჩუნების მიზნით, სამუშაო პროცესიდან მოუწყვეტლად, მეტროპოლიტენის კუთხით პერიოდულ ტექნიკურ სწავლებას სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლები (ელექტრომატარებლის და ესკალატორის მემანქანეები, შემდუღებლები, მჭრიხნავები და სხვ.) გადიან.

გასულ წელს მეტროპოლიტენში, მავნე და მძიმე სამუშაო პირობებში დასაქმებულთათვის, 50 და 70 ლარის ოდენობით ყოველთვიური ფულადი დანამატი დაწესდა. ასევე, მეტროპოლიტენში დასაქმებულ ადამიანებს დამატებით დაენიშნათ ანაზღაურებადი შვებულება, წელიწადში 10 კალენდარული დღე;



მემანქანეები ყველაზე მეტ სირთულეს მაშინ აწყდებიან, როდესაც მეტროში შუქი ითიშება. მგზავრები ვაგონებიდან სათითაოდ უნდა გადმოიყვანონ და გვირაბში გაუშვან. ასეთი შემთხვევა ემზარ ბარბაქაძეს სამჯერ ჰქონდა.

ქალები, კაცები, ბავშვები, მსგავსი რამ ყველას უთხოვია: „აინტერესებთ გვირაბების ახლოდან ნახვა, როგორ იმართება მატარებელი, მაგრამ ამის უფლება არ გვაქვს, კაბინაში უცხო ადამიანების შესვლა არ შეიძლება".

მემანქანის საქმიანობას მემანქანე-ინსტრუქტორი აკონტროლებს. ყველა სადგურს კი თავისი მორიგე ჰყავს, რომელიც მატარებლებსაც და მგზავრებსაც თვალყურს ადევნებს. ბოლო მატარებლის მოსვლისას კი ამოწმებს, რომ ვაგონებში არავინ დარჩეს.

ემზარს მეუღლე და სამი ბიჭი ჰყავს. ორი სკოლის მოსწავლე, ყველაზე პატარა კი ხუთი წლისაა. შვილებს მისი პროფესია მოსწონთ.

„მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ძალიან მძიმეა, რთულია სხვაგან ვცადო ბედი. სამი ბავშვი, ამხელა ოჯახი, ვერ გავრისკავ. რომც წავიდე, არც არის არჩევანი. თან მიჩვეული ხარ. მემანქანეობა ისეთი პროფესია არ არის, რომ ორ დღეში ისწავლოს ადამიანმა", – ამბობს ემზარი.

### ამირან ხოშტარია, სალიანდაგო და გვირაბ-ნაგებობათა სამსახური

ბოლო მატარებელი ღამის პირველის 15 წუთზე გადის, მეტრო იკეტება, ლიანდაგებზე ძაბვა ითიშება, მხოლოდ გვირაბის შუქნიშნები ანათებენ. ამ დროს კი მეტროს ოთხასამდე „ღამის" თანამშრომელი სამუშაოდ გამოდის.

22 სადგურის, გვირაბების, საესკალატორო განყოფილებების მოვლა, წყლის ამოტუმბვა, ელექტროგაყვანილობის შემოწმება, სადგურის დალაგება, მარმარილოს გაპრიალება, ვიტრაჟების გარეცხვა, მგზავრების მიერ დაყრილი ნაგვისგან სალიანდაგო ხაზების გასუფთავება – ამ ყველაფერს მუშები მაშინ აკეთებენ, როცა დანარჩენ ქალაქს სძინავს.

ყოველ ღამით, დავალებების მიღების შემდეგ, სამუშაო ტანსაცმელს იცვამენ და ოსტატთან ერთად სპეციალური მატარებლებით გვირაბებში შედიან. საქმე დილის 5 საათამდე უნდა მოასწრონ.

ამირან ხოშტარია სალიანდაგო და გვირაბ-ნაგებობათა სამსახურში მუშაობს. ამბობს, რომ ყველაზე დიდი პრობლემა წყალთან გამკლავებაა. გარდა იმისა, რომ მეტრო რამდენიმე ადგილას მტკვრის ქვეშ გადის, მიწისქვეშა მდინარეების გამო სხვა გვირაბებიც არანაკლებ წყლიანია. ყოველდღიურად სპეციალური წყალსაქაჩებით დაახლოებით 50 ათასი ტონა წყლის ამოტუმბვა უწევთ, რომ წყალი გვირაბში არ ჩაიღვაროს.

„დილისთვის ყველა თანამშრომელმა დისპეჩერს შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია უნდა გადასცეს. თუ ერთმა მაინც არ გადასცა მეტრო არ გაიხსნება. ყველა უბანს შემომვლელი ჰყავს, რომელიც მუშების შესრულებულ სამუშაოს ამოწმებს. ეს ყველაფერი კი უბნის უფროსთან იყრის თავს. მაგალითად, ეუბნება, რომ სამგორი-ვარკეთილამდე პირველი და მეორე ხაზი შემოწმებულია და სადგური მზად არის მატარებლის მისაღებად. ეს სადისპეჩეროში იწერება და ინახება", – ამბობს ამირანი.

34 წელია მეტროში მუშაობს. „გეპეი" დაამთავრა, ხიდებისა და გვირაბების სპეციალობა. პრაქტიკებზე მეტროში მოვიდა, მას მერე შემორჩა. ამბობს, რომ საინტერესო საქმეა, მაგრამ ამის სწავლა ახლა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან უნივერსიტეტში ეს ფაკულტეტი გაუქმებულია.

სანამ ქალაქს სძინავს, მეტროს თანამშრომლები გვირაბებში დადიან, მიწისქვეშა გზებს ამოწმებენ და ახალი დღისთვის ამზადებენ.

„დილით, როცა სამუშაოს ვამთავრებ, მეტრო იხსნება და მე სახლში მივდივარ, შიში არ მაქვს – ვიცი, რომ ადამიანები მეტროში უსაფრთხოდ გადაადგილდებიან".

როცა მუშები მიწიდან ამოდიან, თენდება.

თუმცა მეტრო სხვა ბევრი ადამიანის, საქმის, ამბის, შემთხვევის ადგილია, რომელიც მიწისქვეშ პარალელურ ქალაქს ქმნის.

## დაკონსერვებული სადგური „უნივერსიტეტი"

სადგური „უნივერსიტეტი" დაგეგმილი იყო როგორც საბურთალოს ხაზის ბოლო გაჩერება. მასში სამატარებლო ჩიხების ინფრასტრუქტურაცაა გაერთიანებული. სადგურის მშენებლობა ათწლეულების წინ დაიწყო, მალევე შეჩერდა და კონსერვაციის რეჟიმში გადავიდა. საჭირო ფინანსური რესურსების არარსებობის გამო საკითხი დღემდე გადაუჭრელი იყო. აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებითა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით შერჩეული ესპანური კომპანია (ეუროესტუდიოს) 2013 წლის განმავლობაში ახალი სადგურის სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილის დეტალურ პროექტზე მუშაობდა.

კომპანიის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, 80-იან წლებში დაკონსერვებული საბურთალოს ხაზის ბოლო გაჩერების – სადგურ „უნივერსიტეტის" – მშენებლობა 2014 წლის მეორე ნახევარში იყო დაგეგმილი.

დეტალური სამშენებლო-სამონტაჟო პროექტის მიხედვით, სადგურის ექსპლუატაციაში გაშვება სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან 21 თვეშია დაგეგმილი. სადგურ „უნივერსიტეტის" კომპლექსის დასრულებით საბურთალოს ხაზი სრული დატვირთვით ამუშავდება. სადგური „ვაჟა-ფშაველა", რომელიც ამჟამად მგზავრებს მხოლოდ ერთი გვირაბით ემსახურება და ინტერვალიც შესაბამისად დიდია, ჩაერთვება ხაზზე მოქმედ განრიგში და მგზავრებს სრულყოფილი მომსახურებით სარგებლობა შეეძლებათ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# „კურთხეულია თავისუფლების მომტანი"
## (ინკარნაციის მისტერია და ჩვენი დროება)

მალხაზ სონღულაშვილი

ერაყში ვიზიტს დიდი მოუთმენლობით ველოდი. როგორც იქნა ამის შანსი გამოჩნდა და შიიტი მეგობრების თავაზიანი მოწვევით ჩემს თბილისელ მეგობრებთან – მეუფე ილიასთან, ჰაჯ-ფაილთან და გელა გუნიავასთან ერთად – წმიდა ქალაქ ნაჯაფში აღმოვჩნდი. აქ ჩვენ ჩამოვედით ირანის სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, რომელიც ნაჯაფისა და ქარბალას შიიტური სიწმინდეების მოსალოცად და ალ-ღადირის დღესასწაულზე დასასწრებად იყვნენ ჩამოსული. (ალ-ღადირის დღესასწაული აღნიშნავს ალის არჩევის დღეს მუჰამედ წინასწარმეტყველის საქმის გამგრძელებლად). დელეგაციაში იყვნენ პოლიტიკური მოღვაწეები და სასულიერო პირები (ირანში, როგორც წესი, ეს ორი რამ ერთმანეთისგან არ განირჩევა), ჭარმაგი აიათოლები, მათ შორის ისინი, ვინც აიათოლა ჰომეინის თანამესანგრეები და მეგობრები იყვნენ ისლამური რევოლუციის დროს.



ჯოტო. შობა

უკვე ჩამოღამებული იყო, როცა ჩვენი თვითმფრინავი კომფორტულად დაეშვა ნაჯაფის გარეუბანში. საგანგებოდ მომზადებულ დარბაზში მიგვიყვანეს, უზარმაზარ მოოქროვილ სავარძლებში ჩაგვსხეს, წყალი და ყავა შემოგვთავაზეს...

აეროპორტიდან რომ გამოვედით, კბილებამდე შეიარაღებული ჯარი დაგვხვდა და ნაჯაფის ცენტრისკენ ესკორტით გამოგვაცილა. თითოეულ მანქანას წინ და უკან თეთრტყვიამფრქვევიან პიკაპებზე ამხედრებული, ღამის ხილვის მოწყობილობებით აღჭურვილი ჯარისკაცები მოაცილებდა.

უსაფრთხოების დაუჯერებელი ზომები იყო მიღებული, გვითხრეს 10 000 ჯარისკაცი გვყავსო მობილიზებული. მაგრამ კიდევ უფრო დაუჯერებელი ის იყო, რომ ამ ესკორტმა მეც და ჩემი თბილისელი მეგობრებიც დაგვკარგა! ჩვენთვის სრულებით მოულოდნელად, პომპეზური VIP დახვედრის შემდეგ, ძალიან უცნაურ სასტუმროში აღმოვჩნდით. აქ ჩვენ არავინ გველოდა. ჩვენთვის ოთახები არ იყო დაჯავშნული. თავი ვინუგეშე, ეს არაფერი, არც იოსებისა და მარიამისთვის იყო-მეთქი ადგილი ბეთლემის სასტუმროში.

კარგა ხნის ლოდინისა და ჯაჯღანის შემდეგ, ოთახები მოგვცეს. ჩვენი ტვირთი ჯერ კიდევ არსად ჩანდა. ცხელოდა. ოთახში ფანჯარა გამოვალე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფანჯრები აგურით იყო ამოშენებული, ცხადია, უსაფრთხოების გამო. ვიფიქრე შხაპს მაინც მივიღებ გასაგრილებლად-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა რომ პირსახოცი არ იყო სასტუმროში. წავედი პირსახოცის საძებრად, ხან ვის ვკითხე, ხან ვის. ყველა დაბნეული მიყურებდა ხელებს ასავსავებდა, არავინ იცოდა, სად უნდა ყოფილიყო პირსახოცი. ბოდიალ-ბოდიალში ჩემს თანამგზავრებს გადავაწყდი. ისინიც ჩემს დღეში იყვნენ.

პირსახოცი არ არის ჩემს ოთახში, – ვეუბნები მეუფე ილიას.

არც ჩემთან არის! – მპასუხობს მეუფე.

ჩანთები მოიტანეს? – ვეკითხები ჰაჯ-ფაილს.

არა, არსადა ჩანს, – მპასუხობს შეწუხებული ხმით ჰაჯ-ფაილი. გელა ჩუმად არის, ეშმაკურად იღიმება. ოთხივენი დაბოღმილები ვართ, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხთ. ვცდილობთ ერთმანეთი ოხუნჯობით გავამხნევოთ... საჭმელი არაფერია ირგვლივ. ქუჩაში გასვლა არ შეიძლება უსაფრთხოების გამო... რამდენიმე საათის შემდეგ, ჩვენმა მასპინძლებმა მოგვაგნეს დაკარგულებს, თუმცა ჩვენ არ ვიცოდით რომ დაკარგულები ვიყავით. გადაგვიყვანეს ჩვენს სასტუმროში, სადაც უკვე მიტანილი ჰქონდათ ჩვენი ჩანთები და შეწუხებული მასპინძლები გველოდებოდნენ.

ჩვენი ვიზიტი ცუდად კი დავიწყეთ, მაგრამ მერე ძალიან კარგად გაგრძელდა. სადაც მივდიოდით ყველგან ავტომატებით შეიარაღებული ორი-სამი ჯარისკაცი დაგვდევდა თან. იმამ ალის საფლავზე მივიდოდით ნაჯაფში თუ იმამ ჰუსეინის საფლავზე კარბალაში, ყველგან მოწიწებით გვღებულობდნენ. ხოლო, როცა ხედავდნენ, რომ მათ სალოცავში ვლოცულობდი, ლოცვის დამთავრებისთანავე გარს გვერტყმოდნენ და კითხვას კითხვაზე გვესროდნენ: „ქრისტიანები ხართ?“ „აქ შეიძლება თქვენთვის ლოცვა?“ „თქვენ პატივსა სცემთ იმამ ალის?“

ქარბალაში, სადაც იმამ ჰუსეინის საფლავია, დაუვიწყარი თავგადასავალი გადაგვხდა. არსად და არასდროს მენახა მანამდე ათასობით ქვითინით მტირალი ადამიანი: ქალები, კაცები, მოხუცები და ჯეელები – ყველანი იმამ ჰუსეინის მხეცურად მოკვლას გლოვობდნენ. როდესაც ჩვენი დაკუნთული დაცვა გზას საფლავისკენ მიგვიკვლევდა, ყურში მესმოდა „მასიჰი, მასიჰი!!“ (არაბულად „ქრისტიანი, ქრისტიანი!“). ეს საკმაოდ თვალშისაცემი იყო, მე და მეუფე ილია ანაფორებში ვიყავით შემოსილი, მე კიდევ კუნკულ-ბარტყული მეხურა თავზე. შიიტების ერთ-ერთ ყველზე წმიდა ადგილზე, სადაც გაცილებით მეტი მლოცველი ჩადის, ვიდრე მექაში, ჩვენ მიგვიღეს, როგორც თავისიანები. არა მარტო მიგვიღეს, არამედ ამ წმიდა ადგილას, მლოცველებმა ჩვენგან დალოცვა ითხოვეს. ერთხანს ვყოყმანობდი, ვფიქრობდი, როგორ გავკადნიერდე და მე როგორ დავლოცო ეს ხალხი, როცა ირგვლივ ამდენი აიათოლლა და მოლაა-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ უარის თქმა არ შემეძლო. ჩემი და ყველა იქ მყოფის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დასალოცად მოსულ ხალხს ქალებიც შეუერთდნენ. არადა, ამ ჰარამში, სადაც ათასობით მომლოცველი ტრიალებს, საგანგებოდ გამორჩეული ხალხი ჰყავთ, რომელთაც ხელში ბუმბულებიანი ჯოხები უჭირავთ და ხალხს აფრთხილებენ, რომ ქალები და კაცები უნებლიეთ ერთმანეთს არ შეეხონ ტანსაცმლით. ჩემთან კიდევ ქალები ხელდასმით ლოცვას ითხოვდნენ.

ნაჯაფში იმამ ალის ჰარამის ახლოს მდებარე დარბაზში ვსადილობდით ხოლმე. გრძელი მაგიდები იყო გაშლილი უზარმაზარი დარბაზის მთელ სიგრძეზე. დარბაზი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული შიიტი მომლოცველებით იყო ხოლმე ყოველთვის სავსე. მომლოცველებს ეხალისებოდათ ქრისტიანების ნახვა თავიანთ წმიდა ადგილას. მოდიოდნენ, ხელს გვართმევდნენ, პატივისცემის ნიშნად გულზე ხელს იდებდნენ. ერთხელ ამ დარბაზში შიიტი მომლოცველების გუნდი შემოგვეხვია. ჩვენი სალამ-ქალმის გაცვლა ხალისიან საუბარში გადაიზარდა. შუა საუბარში ვართ მე და მეუფე ილია და ვხედავთ ამ ხალხის წრე შუაზე იპობა და ჩვენკენ ერთი შავგვრემანი ერაყელი კაცი მოდის.

სალამ ალეიქუმ, – გვითხრა ათლეტური აღნაგობის შავგვრემანმა თმაშეთხელებულმა კაცმა და ხელი ჩამოგვართვა.

ალეიქუმ ას-სალამ, – ჩვენც თავაზიანად დავუბრუნეთ მოკითხვა.

მე ვარ ისა ბინ მარიამ, – ამაყად გვითხრა ერაყელმა შიიტმა და გულზე დაიდო ხელი. მე და მეუფე ილიამ თვალები დავაჭყიტეთ.

ბოდიშით, თქვენი სახელი? – გაკვირვებით ვკითხე კაცს.

ისა ბინ მარიამი, – გაიმეორა კაცმა. ანუ ეს კაცი გვეუბნება, მე იესო მარიამის ძე ვარო და მოდი და ნუ გაგიკვირდება!

მე და მეუფე ილია ოდნავ დავიბენით, არ ვიცოდით რა გვეთქვა. ქრისტიანობაში მიღებული არ არის, რომ ბავშვს იესო დაარქვა. ისლამში იესო ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველია. ბავშვისთვის წინასწარმეტყველის სახელის დარქმევა ჩვეულებრივი ამბავია.

დაბნეულობის განცდა რომ გაგვეფანტა, მეუფე ილიამ მოიფიქრა და იკითხა:

- კი მაგრამ მამათქვენს რა ქვია?

- არ, გინდა, მეუფე მაგას ნუ ეკითხები. – ქართულად ვეუბნები მეუფეს, – დედამიწის ამ მხარეში უმამოდაც ხდება ხოლმე ეგეთი ამბები.

ორივეს სიცილი წაგვსკდა ჩემს „მკრეხელურ“ ხუმრობაზე. იესო მარიამის ძე გაკვირვებული გვიყურებდა, ალბათ, ფიქრობდა, ნეტა რას იცინიან ეს ქრისტიანები ან რას ხედავენო ჩემს სახელში სასაცილოსო.

ამ საშობაო წერილში ნამდვილ ისა ბინ მარიამზე უნდა ვისაუბროთ. იესოს შობას ქრისტიანულ თეოლოგიაში ინკარნაცია ჰქვია. ქართულში მისი შესატყვისი ტერმინია „განკაცება“, მაგრამ მე მირჩევნია ამ წერილის ფარგლებში „განკაცების“ ნაცვლად მაინც ტერმინი „ინკარნაცია“ (ხორცშესხმა) გამოვიყენო და არა ქართულში დამკვიდრებული „განკაცება“, რომელიც არც ინკლუზიურია და არც თეოლოგიურად გამართლებული. ინკარნაციის მთავარი აზრი ის არის, რომ ღვთის სიტყვა გახდა ადამიანი. აქცენტი მის ადამიანობაზე უნდა გაკეთდეს და არა მის გენდერზე (როგორც ეს გან-კაც-ებაშია).

ინკარნაციის მისტერიის შესახებ ოთხი სახარებიდან ყველაზე ვრცლად და გამოწვლილვით მოგვითხრობს ლუკა მახარობელი. ლუკას მონათხრობი უკვე საუკუნეების განმავლობაში შთააგონებს მხატვრებს, მოქანდაკეებს, დრამატურგებს, საკვირაო სკოლის ბავშვებსა და მასწავლებლებს.

ერთ ძველ სირიულ ხელნაწერში შემონახულია აზრი, რომ მღვდელი უნდა იყოს „მხატვარი“, რომელიც მსმენელს სიტყვით დაუხატავს მაცხოვრის სახარებას. ლუკა მახარებელი სწორედ ასეთი მხატვარია, იგი დიდი ოსტატობით გადმოგვცემს იესო ქრისტეს შობის ამბავს. გასაკვირი სულაც არ არის, რომ ქრისტიანული ტრადიცია ლუკას პირველ იკონოგრაფად მიიჩნევს.

ლუკა „გვიხატავს“, როგორ აღმოჩნდა ქალწული მარიამი სულიწმიდის მოქმედების შედეგად დაფეხმძიმებული; როგორ მიიღო იგი იოსებმა, მისმა საქმრომ; როგორ აღმოჩნდნენ ფეხმძიმე მარიამი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

და იოსები ქალაქ ბეთლემში იმისათვის, რომ აღწერაში მიელოთ მონაწილეობა; როგორ დარჩნენ ისინი უცხო ქალაქში, სადაც მათთვის სასტუმროში ადგილი არ აღმოჩნდა და იძულებული გახდნენ თავი გომურისთვის შეეფარებინათ; როგორ დაიბადება სამყაროს მაცხოვარი გომურში; როგორ იზეიმებს ანგელოზთა დასი მის შობას და როგორ ახარებენ ანგელოზები უბრალო მწყემსებს იესოს შობის ამბავს. ეს უბრალო ამბავი, ბრალიანი ხდება, როდესაც ჩვენ გავიაზრებთ, თუ რა სახის მოვლენასთან გვაქვს საქმე.

რეფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეოლოგი, ჟან კალვინი წერდა, რომ ინკარნაციის ნარატივში ღმერთი ჩვენ „ბავშვის ენით“ გველაპარაკება, რათა ჩვენი ადამიანური ლიმიტაციების გამო, შევიმეცნოთ ის, ვისი შემეცნებაც შეუძლებელია.

ინკარნაციის საიდუმლო ძალიან ჰგავს კაზიმირ მალევიჩის „ყვითელ მართკუთხედს“, რომელიც სუპრატივიზმის პრინციპებზეა შექმნილი. მართკუთხედის ერთ მხარეზე კარგადა ჩანს მისი კონტურები, ხოლო მეორე მხარეზე მართკუთხედის კონტურები იკარგება და უკიდეგანო კოსმიური სივრცის ნაწილი ხდება.

ზუსტად ასევეა შობის ნარატივის საქმეც. ლუკას სახარებაში ჩვენ ვხედავთ ინკარნაციის კონტურებს, რომელიც „ბავშვის ენაზე“ გადმოგვცემს იმ ამბავს, რომლის სრული საზრისის გადმოცემაც შეუძლებელია და მისი უფრო ღრმად წვდომა, მხოლოდ კონტურების მიღმა არსებულ სივრცეშია შესაძლებელი.

იესო ნაზარეველი დაახლოებით ორიათასი წლის წინათ განადამიანდა, მისი ისტორია ამ ორი ათასი წლის განმავლობაში წარმოადგენს იმ კონტურებს, რომელზედაც ჩვენ შეგვიძლია შედარებით გაბედულად ვილაპარაკოთ. მაგრამ იესო, როგორც ღვთის ძე, მარადიული ლოგოსი ჩვენთვის ცნობილი ისტორიული კონტურების ფარგლებს სცილდება. ქრისტე არის კოსმიური მოვლენა, რომელიც ინკარნაციამდე, ანუ განადამიანებამდე არსებობდა ღმერთში.

კოსმიური ქრისტეს ხატება ახლადაღმოჩენილი მოვლენა არ არის. უბრალოდ მოდერნიზმისა და გვიანდელი მოდერნიზმის (პოსტმოდერნიზმის) გამოწვევებმა და ინტერელიგიური დიალოგის მძაფრმა აუცილებლობამ აიძულა ქრისტიანული თეოლოგია უფრო მკაფიოდ დაენახა ის, რაც ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ეპოქაში იქნა დანახული.



კაზიმირ მალევიჩი. სუპრემატიული ფერწერა (1918).

მარკოზის სახარება, რომელიც ოთხი სახარებიდან ყველაზე ადრე დაიწერა, თავის თხრობას იესოს ნათლობით იწყებს, სადაც გამომჟღავნდება, რომ იესო ღმერთის „საყვარელი ძეა“. მათეს სახარება იწყება იესოს გენიალოგიისა და იოსების ეჭვების გადმოცემით. ლუკა სახარებას იმის თხრობით იწყებს, თუ როგორ გამოეცხადება ანგელოზი ჯერ ზაქარიას, იოანე ნათლისმცემლის მამას, მერე მარიამს და მერე ბეთლემელ მწყესებს.

იოანეს სახარება განსხვავდება ამ სამი სინოპტიკური სახარებისაგან. იგი სახარების დასაწყისში პოეტური ენით მოგვითხრობს ქრისტეზე, როგორც ღმერთის მარადიული სიტყვის (ლოგოსის) ინკარნაციაზე.

„დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი...სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე“ (იოანე 1:1,14).

ქრისტე კოსმიური მოვლენაა, გვეუბნება იოანე მახარებელი, და ვიდრე ხილული სამყარო შეიქმნებოდა, ქრისტე მანამდე არსებობდა ღმერთში, როგორც ლოგოსი.

ქრისტეს კოსმიური განზომილება ყურადღების მიღმა არ დარჩენია მოციქულ პავლესაც. პავლე ქრისტეში ხედავს დემიურგს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ხილული სამყაროს შექმნაში:

„[ქრისტე] არის უხილავი ღმერთის ხატება, პირმშო ყოველი ქმნილებისა, ვინაიდან მისით [ქრისტეთი]შეიქმნა ყოველი, რაც ცაში და მიწაზეა, ხილული და უხილავი... ყველაფერი მის მიერ [ანუ ქრისტეს მიერ] და მისთვის [ანუ ქრისტესთვის] არის შექმნილი“ (კოლას. 1:15-16).

მოციქულთა ეპოქიდან ქრონოლოგიურად ოდნავ დაშორებული დიდი მოღვაწე, იუსტინე მარტირი (100 — 165 წწ.), მიიჩნევდა, რომ ღმერთის სიტყვა, ვიდრე ის ხორცს შეისხამდა იესო ქრისტეში, მოქმედებდა სამყაროს მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც მარადიული ლოგოსი. მისი აზრით, მთელ ადამიანურ ცივილიზაციაში რაც კი რამ სიკეთე ყოფილა, რაც კი რამ კარგი თქმულა და გაკეთებულა, ყველაფერი ღვთის მარადიული სიტყვის დამსახურებაა, რომელიც მოქმედებდა ქრისტეს განადამიანებამდე.

ამიტომ არის, რომ იგი გაბედულად აცხადებს: „რაც კი რამ სწორედა თქმულა მთელ კაცობრიობაში, ყველაფერი არის ჩვენი, ქრისტიანობის, კუთვნილება“. ასე კოხტად დაუსაკუთრა იუსტინემ ქრისტიანობას მთელი ანტიკური ფილოსოფიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა, პლატონისა და სოკრატეს ჩათვლით. მისი აზრით, პლატონი და სოკრატე ქრისტიანები იყვნენ მანამდე, ვიდრე ქრისტე დაიბადებოდა.

იუსტინე კიდევ შორს მიდის და სოკრატეს აღსასრულში, რომელსაც ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლის გამო სიკვდილი მიუსაჯეს ათენში, ქრისტემდე 400 წლით ადრე, რაღაცნაირად ქრისტეს სიკვდილის ალუზიას ხედავს. წარმართებთან პოლემიკისას იგი ამბობს:

„ვისაც თქვენ თაყვანსა სცემთ, სინამდვილეში ღმერთები კი არ არიან, არამედ ავი სულები. სოკრატე, ჭეშმარიტი სიტყვის (ლოგოსის) მეშვეობით ცდილობდა ადამიანები ავი სულებისაგან ღმერთისაკენ შემოებრუნებინა, მაგრამ ავმა სულებმა შეიპყრეს იგი და მოკლეს, როგორც უღმერთო და ღვთისმგმობელი. ახლა ისინი ჩვენც იმავეს გვიკეთებენ, ქრისტიანებს. თუ ეს სიტყვა (ლოგოსი) მოქმედებდა ბერძნებს შორის და სოკრატეში, იმავე სიტყვამ ფორმა შეიძინა და განადამიანდა ებრაელებს შორის და ეწოდა იესო ქრისტე“.

იუსტინეს თეოლოგიური კონცეფციის გამზიარებელთა შორის იყო ჟან კალვინიც, რომელიც მიიჩნევს, რომ აბრაამი, რომელიც ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით ადრე ცხოვრობდა, გამოსყიდული იქნა იმავე სიტყვის მეოხებით, რომელიც ქრისტიანებსა სწამთ, მიუხედავად იმისა, რომ აბრაამმა არც იცოდა და ვერც ეცოდინებოდა იესოს სახელი.

ინკარნაციის თეოლოგიის საფუძვლიანი განვითარება დაკავშირებულია ათანასე ალექსანდრიელის სახელთან. იგი ცხოვრობდა იმ ეპოქაში, როდესაც თეოლოგიური დებატები პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა – მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში.

გრიგოლ ნაზიანზელი ათანასე ალექსანდრიელს დამსახურებულად უწოდებს „ეკლესიის ბურჯს“. ათანასეს ყველაზე ცნობილი თეოლოგიური ოპუსია De Incarnacione, ანუ „სიტყვის ინკარნაციისათვის, რომელიც არის ღვთაებრივი ლოგოსი, რომელმაც შეისხა ხორცი და გახდა ჩვენი მსგავსი ჩვენს სახსნელად“.

ამ ნაწარმოებში იგი ავითარებს აზრს, რომ ღვთის სიტყვა „გახდა ადამიანი, რათა ჩვენ, ადამიანები, ღმერთი გავმხდარიყავით. მან თავი გაგვიმჟღავნა სხეულში, რათა ჩვენ უხილავი მამის საზრისი გაგვეგო... მან ადამიანებისგან აბუჩად აგდება დაითმინა, რათა ჩვენ უკვდავება დაგვემკვიდრებინა“.

ათანასე ალექსანდრიელის ეს აზრი უფრო მარტივად აქვს გადმოცემული მეოცე საუკუნის ბრიტანელ მწერალს კლაივ ლუისს, რომლის მიხედვითაც „ღვთის შვილი გახდა ადამიანი, რათა ადამიანები ღვთის შვილები გამხდარიყვნენ“.



მარიამის და იესოს უძველესი, მეორე საუკუნის ფრესკა. პრისჩილას კატაკომბები. რომი.

ჩვენ ზუსტად არასოდეს გვეცოდინება რა გააკეთა ქრისტემ ადამიანისთვის თავისი შობით და სიკვდილზე გამარჯვებით, ისევე როგორც ჩვენთვის ძნელია ზუსტად წარმოვიდგინოთ რა არის მალევიჩის ზღუდემორღვეული ყვითელი მართკუთხედის მიღმა. როგორც ათანასე ალექსანდრიელი ამბობს, „გინდა იმის დანახვა გიცდია სრულად, რაც ქრისტემ გააკეთა და გინდა ზღვის ტალღების დაგითვლია. ეს იგივეა“.

მართალია, ათანასე დიდი მიიჩნევს, რომ ინკარნაციის მთელი საიდუმლოს დანახვა შეუძლებელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთი ადამიანისთვის მიუწვდომელია. ღმერთი ადამიანისთვის მიწვდომადია ქრისტესთან თანაზიარების მეშვეობით. ეს არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელია, რომ ადამიანი შეხვდეს თავის კოსმიურ მეუფეს.

სიმონე ვეილი, მეოცე საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი და მისტიკოსი, მიიჩნევდა და რომ კოსმიური ქრისტე, იმის გამო, რომ ის სიყვარულია, თავად ცდილობს, რომ ადამიანი ღმერთს შეახვედროს და მასთან დაახლოვდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ, ადამიანები, ღვთის სიყვარულზე უარს ვამბობთ, მაშინ „ღმერთი მათხოვარივით არ იშლის ჩვენთან მოსვლას [ჩვენ ვაგდებთ და ის მაინც მოდის]“.

ბუნებრივია იბადება კითხვა, როგორ შეიძლება შეხვედრა კოსმიურ ქრისტესთან? შარდენ დე ტეიარის, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი თეოლოგის აზრით, ქრისტესთან შეხვედრა შესაძლებელია ევქარისტიის საკრამენტის მეშვეობით. როდესაც მორწმუნე ეზიარება ევქარისტიულ პურსა და ღვინოს იგი ქრისტეს ინკარნაციის „გაგრძელება“ ხდება. ანუ ადამიანი მოზიარე ხდება იმ მისიისა, რომელიც ქრისტეს განადამიანებას, ანუ ინკარნაციას ჰქონდა.

გარდა ევქარისტიისა ადამიანს შეუძლია შეხვდეს ქრისტეს არა მარტო საკრამენტებში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ეს იმის გამო, რომ ინკარნაციის გამო ყველაფერი უბრალო ბრალიანი გახდა. სიმონე ველს სჯეროდა, რომ ღმერთის სიყვარულის ინკარნაცია ხდება თითოეულ ჩვენგანში, როდესაც ჩვენ სხვებს ვუთმობთ ყურადღებას, როცა ჩვენს სიყვარულს სხვას ვუზიარებთ.

შესაბამისად ქრისტესთან შეხვედრა შეიძლება ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, რომელსაც ჩვენ „უბრალოდ“ ვთვლით. განკაცებული ლოგოსი სწორედაც რომ უბრალო ცხოვრებაში არის

„დამალული“. უბრალოებაში შეიძლება ვიპოვოთ დამალული ღმერთი.

მისი პოვნა კი ფასეულია, რადგან ღვთის განადამიანებულ სიტყვასთან შეხვედრა ადამიანს ათავისუფლებს სულიერი, კულტურული და მენტალური ტვირთისაგან, რომელიც მას თრგუნავს და ანადგურებს. ამიტომ ამბობს ეფრემ ასური თავისი საშობაო საგალობლის ანტიფონში: „კურთხეულია თავისუფლების მომტანი!“ (15:5). ეფრემისთვის, რომელიც მეოთხე საუკუნის უაღრესად მნიშვნელოვანი ჰიმნოგრაფი და თეოლოგია, ინკარნაცია ადამიანის თავისუფლების წყაროა.

ინკარნაცია ადამიანს ათავისუფლებს ნაციონალური, ეთნიკური, კულტურული, სუბკულტურული და გენდერული ბორკილებისგან. ადამიანს ენიჭება თავისუფლება - მიიღოს და შეიწყნაროს მისგან განსხვავებული. სწორედ ამიტომ არის, რომ შობის მისტერიას არასდროს გასვლია ყავლი და, ვფიქრობ, არც არასდროს გაუვა, ვიდრე ამქვეყნად საჭირო იქნება სიყვარული, შენდობა, მშვიდობა და სამართალი.

ინკარნაცია მარტო ლამაზი იდეა არ არის ღვთის მიერ ადამიანის უპირობო სიყვარულის შესახებ. მას აქვს მკაფიოდ გამოხატული პრაქტიკული ხედვა და დანიშნულება. ინკარნაციული თეოლოგია (Incarnational Theology), ერთი მხრივ, იმას ადასტურებს, რომ იესო ქრისტე განკაცებული ღვთის ძე და მარადიული ლოგოსია, მეორე მხრივ კი, გულისხმობს, რომ ის, ვინც იესო ქრისტეს მიმდევარია, იგი განკაცებული ღვთის სიტყვის წარმომადგენელია როგორც ადამიანების, ასევე მთელი სამყაროს წინაშე.

ღმერთის განკაცებული სიტყვის ნამდვილი წარმომადგენლობა შეუძლია იკისროს ისეთმა ადამიანმა, რომელიც პირადად შეხვედრია განკაცებულ ლოგოსს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ადამიანს იზრუნოს მოყვასზე და იზრუნოს მტერზე, დახმარების ხელი გაუწოდოს შინაურსა და გარეულს, თანაგრძნობა და ემპათია გამოხატოს არა მარტო ადამიანების, არამედ ღვთის მიერ შექმნილი მთელი სამყაროს მიმართ.

განკაცებულ ლოგოსთან შეხვედრაზე ერთი იგავი არსებობს მეუდაბნოე ბერების ტრადიციიდან. ერთ მოხუც ბერს ახალგაზრდა მორჩილი ეწვია და ჰკითხა, რატომ იყო, რომ ვინც ღვთის გზას ადგებოდა, მათგან ზოგი რჩებოდა ამ გზაზე და ზოგი ტოვებდა.

ამის პასუხად მოხუცმა ბერმა მორჩილს ასეთი ამბავი უამბო:

- გუშინ დილას ჩემმა ძაღლმა კურდღელი დაინახა და ყეფით გაეკიდა. ჩემი ძაღლის ხმაზე ირგვლივ ძაღლები აწკავწკავდნენ და კარში გამოცვივდნენ. ძაღლებმა მთელი დღე ყეფით აიკლეს არემარე. თანდათანობით ძაღლებს მობეზრდათ და დაანებეს დევნას თავი. ჩემი ძაღლის გარდა, ყველა შინ დაბრუნდა, ჩემმა კი გააგრძელა დევნა და ძებნა. ახლა მიხვდი, რატომ ტოვებს ადამიანი ღვთის გზას?! – იკითხა მოხუცმა და ყმაწვილკაცს თვალი თვალში გაუყარა.

- ვერაფერისაც ვერ მივხვდი! – ალალად თქვა ყმაწვილმა.

ჩემმა ძაღლმა კურდღელი თვითონ დაინახა, დანარჩენი ძაღლები მის ხმას აჰყვნენ. რაკი თვითონ არ დაენახათ კურდღელი, ამიტომაც მობეზრდათ დევნა. ჩემმა ძაღლმა კი თავი არ დაანება ძებნას.

არაფერი ისე საშიში არ არის, როგორც მოდას აყოლილი რელიგიურობა. არ ღირს ადამიანმა რელიგიურობა და მორწმუნეობა დაიბრალოს, სხვისა ფეხის ხმას აჰყვეს მაშინ, როცა თავად არასდროს განუცდია განკაცებულ ლოგოსთან შეხვედრის ძალა.

დღევანდელ საქართველოში რელიგიის ფეხის ხმას უამრავი ადამიანია აყოლილი, მაგრამ ისინი, ვინც მართლა დაინახეს განადამიანებული ღვთის ძე, ძალიან ცოტანი ჩანან. ეს საიდანა ჩანს? ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანობას იბრალებს. მაგრამ მოდით დავაკვირდეთ, როგორი შურისძიებისა და უმეცრების სულისკვეთება ბობოქრობს პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორ უსაზღვროდ გაიზარდა სოციალური სტრესი, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებს წამლავს და ანგრევს, როგორ მასშტაბებს მიაღწია საშინაო ძალადობამ, როგორ შეუწყნარებლობას ვიჩენთ განსხვავებულების მიმართ, რელიგიური, ეთნიკური, კულტურული და სექსუალური უმცირესობების მიმართ... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?!

განადამიანებულ ლოგოსთან შეხვედრამ ადამიანს ხელი უნდა შეუწყოს ისწავლოს არა მარტო განსხვავებული ადამიანის, არამედ მთელი სამყაროს სიყვარული. სამყაროსი, რომლის შემოქმედიც თავად ღმერთის სიტყვაა, რომლის გარეშეც „არაფერი შექმნილა, რაც შექმნილა“ (იოანე 1:3). ყველაფერი, რაც ამ სამყაროშია შექმნილი მისი შემოქმედების ნაყოფია. და თუ ეს ასეა ამქვეყნად ყველაფერი მოწიწებულ დამოკიდებულებას იმსახურებს ადამიანისგან.

უკვე თხუთმეტი წელი მისრულდება, რაც ფრანცისკანელთა ორდენის წევრი ვარ. ფრანცისკანული დამოკიდებულება სამყაროს მიმართ იყო ის, რამაც თავიდანვე მომხიბლა და აღტაცებაში მომიყვანა. ჩემი უფროსი ძმა, ფრანცისკე ასიზელი, სამყაროს ელემენტებს ლამის ადამიანის თანასწორ მოვლენად მოიაზრებდა. მისთვის მანათობელი მზე ძმაა; მოლივლივე და მოციმციმე მთვარე და ვარსკვლავები – დები; ონავარი ქარი – ძმა; დინჯი და თავმდაბალი წყალი – და; ცეცხლი – ძმა; ჩვენი მარჩენალი დედამიწა – და; სიკვდილი, რომლისგანაც თავს ვერა სულიერი ვერ დაიძვრენს – და.


ბრაიან კერშისნიკი. შობა (2006).

ინკარნაციის თეოლოგია ადამიანს ეხმარება, დაინახოს ღმერთი ყველასა და ყველაფერში – ყველა ადამიანში, მიუხედავად მისი რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობისა, მიუხედავად რელიგიური, კონფესიური ან თუნდაც ათეისტური მსოფლმხედველობისა, გენდერული განსხვავებულობისა და სექსუალური ორიენტაციისა. ეს იმიტომ, რომ განკაცებულ ლოგოსთან შეხვედრის წყალობით ადამიანი ლოგოსის ელჩი ხდება ცისქვეშეთში, თუ ადამიანებთან, თუ ბუნებასთან, თუ ცხოველ-ფრინველთა სამყაროსთან მიმართებაში. თუ ადამიანს არ შეუძლია ყველა სხვა მისგან განსხვავებულ და თუნდაც ყველასგან ათვალწუნებულ ადამიანში დაინახოს ღმერთი, ის ღმერთს ვერასდროს დაინახავს.

გასულ კვირაში ერთი დიდი საეკლესიო მოღვაწე გვყავდა სტუმრად თბილისში. შევხვდი, ძველ თბილისში გავატარ-გამოვატარე, მერე სადილზე დავპატიჟე კოპალაში, საიდანაც თბილისის უმშვენიერესი ხედი იშლება. კარგად ვისაუბრეთ თეოლოგიაზე, რელიგიურ საკითხებზე, პოლიტიკაზე. პარასკევი დღე იყო და საღამოს წირვაზე მოვიწვიე. პროტესტანტებში ქადაგება ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ლიტურგიისა. პატივისცემით ნიშნად ქადაგებაც ვთხოვე. წირვაზე დაესწრო, საღმრთო წერილის საკითხავები მოისმინა, მერე იქადაგა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე ევქარისტიულ ანაფორას (პურისა და ღვინის კონსაკრაციის ლოცვის ტექსტს) არ მივადექით. აქ სტუმარი ელდანაკრავივით წამოხტა სკამიდან და ტაძრიდან გავარდა. მე შუა წირვაში ვიყავი და ამიტომ ვერ გავეკიდებოდი თან, ვერც ვერავის დავადევნებდი.

წირვა რომ გავასრულე, სტუმრის საძებრად გავიქეცი. სადიაკვნეში დამიხვდა, ხელში აიპადი ეჭირა და რაღაცას წერდა.

- რა მოხდა, ცუდად ხომ არა ხართ? – შეწუხებულმა ვკითხე სტუმარს.

- ცუდად არა ვარ, ძალიან კარგად ვარ, – მიპასუხა აშკარად გაღიზიანებულმა სტუმარმა ისე, რომ აიპადიდან თავია არ აუღია.

- აბა, რა მოხდა რატომ გამოვარდით ტაძრიდან? – ახლა მე ვუთხარი გაღიზიანებულმა.

- მე ვერ მივიღებ ისეთ ზიარებაში მონაწილეობას, სადაც სხვა რელიგიის ადამიანებთან ერთობაზე ლოცულობენ! – მითხრა ახლა უკვე გაკაპასებულმა სტუმარმა და თავისი აიპადი განზე გადადო.

ჩვენ არა მარტო სხვა ადამიანებთან ერთობისთვის, არამედ მთელი სამყაროს ერთობაზე გვავალია ლოცვა, – აღარც მე დავუთმე.

- ერთობა მხოლოდ ქრისტეს წინამძღოლობით ვიცი მე, – მომიგო აღშფოთებულმა სტუმარმა. გული დამწყდა. მივხვდი მასთან კოსმიურ ქრისტეზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. არც საერთოდ ლაპარაკს ჰქონდა აზრი.

გასული პარასკევის ინციდენტმა კიდევ ერთხელ დამანახა, რომ საშობაო წირვის დაყენება (გინდა 25 დეკემბერი იყოს და გინდა 7 იანვარი), ნაძვის ხის ლამაზად მორთვა, საშობაო სუფრის გაშლა ადვილია, მაგრამ კოსმიური ქრისტეს დანახვა, რომელიც ყველგან და ყველაფერშია, ძნელია. ამ დროს მინდა ვიყვირო: ამ შობას მაინც მოდი „თავისუფლების მომტანო“ და ყველანი გვაზიარე ნამდვილ თავისუფლებას. ■

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სანამ შეიმოსებოდნენ

## (სასულიერო პირების ბავშვობის ოცნებები)

დათო ქორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დიონისე ბორძიკული**

ილუმენი

ღრმა ბავშვობის ოცნება შინაური ფრინველების ფერმას უკავშირდება. ბებია წარმატებული ვეტერინარი მყავდა და პატარაობიდანვე შემიყვარდა ცხოველები და ფრინველები. ვეცნობოდი და ვათვალიერებდი ბებიის სამუშაო ლიტერატურას.

ცოტა მოგვიანებით ხატვამაც გამიტაცა. ვხატავდი პორტრეტებს, პეიზაჟებს. ვფიქრობდი, რომ აუცილებლად მხატვარი გამოვიდოდი. ვეცნობოდი სხვადასხვა ჟანრის მხატვრებს. დღემდე მომწონს გუსტავ კლიმტისა და ამადეო მოდილიანის შემოქმედება. მათი ფერწერა შესანიშნავად გადმოსცემს ადამიანების შინაგან მდგომარეობებს. ამ გატაცების შესახებ მხოლოდ ოჯახის წევრებმა იცოდნენ. ჩემთან ერთად თითქოს ეს სურვილიც იზრდებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე, ინტერიერის დიზაინის განხრით ჩამებარებინა. მაგრამ შემდეგ ჩემ გარშემო ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, ინტერესთა სფეროებიც. ეს ერთგვარი შინაგანი ძიების პროცესი იყო.

დღეს ვფიქრობ, რომ თითოეულმა ჩემმა ოცნებამ გარკვეული ადაპტაცია განიცადა, ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. მონასტერში ვუვლიდი შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს. რაც შეეხება მხატვრობას, დღეს კალიგრაფიულ ნიმუშებსა და სხვადასხვა ესკიზებს ვაკეთებ. ვცდილობ, ჩემი წვლილი შევიტანო კალიგრაფიის პოპულარიზაციაში.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**ჯუზეპე პაზოტო**

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი

ბავშვობაში ორი ოცნება მქონდა – გავმხდარიყავი ფეხბურთელი ან ზესწრაფი თვითმფრინავის პილოტი. რა თქმა უნდა, ბურთი უფრო იოლი საშოვნელია! კმაყოფილება ვიგრძენი, როცა 17 წლისამ უარი ვთქვი ერთ კონტრაქტზე, მაღალი კლასის გუნდში თამაშს რომ მთავაზობდა. მიზანი მიღწეული მქონდა და ამგვარად ფეხბურთი სასიამოვნო ჰობად იქცა. ბიჭებს თამაშს დიდი ხალისით ვასწავლიდი. მეტიც, ეს გატაცება გამომადგა მღვდლობის არჩევანისას. ამჟამად სრულებით არ ვნანობ მაშინდელ უარს, მახარებს კარგი თამაშის ყურება. თუმცა ბედნიერია ის ადამიანი, ვინც აღმოაჩენს, რომ ცხოვრებაში ფეხბურთის კარში გასატან გოლებზე მნიშვნელოვანი „გოლებია“ გასატანი. და არსებობს მრავალი „მოედანი“, რომლებზეც „პასის“ გადაცემით შესაძლოა უდიდესი კმაყოფილება განიცადო.



**ირინა სოლეი**
ევანგელიურ-ლუთერული ეკლესიის პასტორი

ბავშობაში ექიმობაზე ვოცნებობდი. დედა პედიატრი მყავდა და პატარაობიდანვე ვხედავდი, რამდენად საპასუხიმგებლო საქმე ებარა მას. ეს ოცნებაც იმის შედეგია, რომ თავიდანვე ვისწრაფოდი ადამიანებზე ზრუნვისა და მათი სიცოცხლის გადარჩენისკენ.

შემდეგ ჩავაბარე უნივერსიტეტში ბიოფიზიკის ფაკულტეტზე. ვმუშაობდი ლაბორატორიაშიც.

ვფიქრობ, რომ ჩემი ოცნება ნაწილობრივ ავისრულე კიდეც. დღეს ადამიანთა სულებს ვმკურნალობ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**იასინ ალიევი**
აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი

ალბათ მეექვსე კლასში ვიქნებოდი, როდესაც მამამ მითხრა, რომ სოფლის მოლასთან არაბული უნდა მესწავლა. მე დავთანხმდი (როგორც ჩანს, მამას უკვე ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ მოლა უნდა გავმხდარიყავი). ისიც მახსოვს, რომ ბავშვობაში მილიციელობა მინდოდა. ათი კლასის დამთავრების შემდეგ წავედი ბაქოში და ჩავირიცხე ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამასობაში ჯარმაც მომისწრო და გერმანიაში აღმოვჩნდი. პირველად სწორედ იქ გავეცანი ყურანს. ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ ბაქოში რელიგიური სკოლა გახსნილიყო. ჩამოვედი და ჩავაბარე კიდეც. მოგვიანებით უკვე, როგორც მოლა, ერაყში გამიშვეს; შემდეგ უკვე საქართველოში როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი.



**ავმელეხ როზენბლანტი**

რაბინი

ზუსტად არ მახსოვს ბავშვობაში რა მინდოდა გამოვსულიყავი. ასაკთან ერთად იცვლებოდა სურვილებიც. მაგრამ სულ მინდოდა მეპოვა „ის“, რასაც ცხოვრებას მივუძღვნიდი, რაც ჩემი გზა იქნებოდა.

ცუდი სმენის მიუხედავად, ბავშობაში უპირატესობას ყველაზე მეტად კლასიკურ მუსიკას ვანიჭებდი, თუმცა საესტრადო და პოპმუსიკაც მომწონდა. მუსიკას ხასიათების მიხედვით ვარჩევდი. კარგ ხასიათზე ყოფნისას თანამედროვე ებრაულ მუსიკას ვუსმენდი, მუსიკას სიტყვების გარეშე. მას დღემდე ვუსმენ. ყველა ბავშვის მსგავსად, მეც ბევრი სხვადასხვა ჰობი მქონდა: ვაგროვებდი საფოსტო მარკებს, ღია ბარათებს, კალენდრებს... უცნაურობებით გამორჩეულ საინტერესო ისტორიებს. ყველაფრის დიდი კოლექცია დამიგროვდა.



**რუსიკ არუთინიანი**
მღვდელი

ბავშვობაში ყველაზე მეტად სპორტზე ვოცნებობდი. ეს ოცნება მალე გაქრა. 1987 წელს სასულიერო სასწავლებელში ჩავაბარე. ჩემი წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ. მე ჩვენი ოჯახიდან სასულიერო პირების მეხუთე თაობა ვარ. თავიდანვე იმ განწყობით ვიზრდებოდი, რომ მღვდელმსახური უნდა გავმხდარიყავი. სასულიერო აკადემიაში სწავლისას გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. მადლობა ღმერთს, რომ ამას არ ვნანობ და აგერ უკვე 20 წელია ეკლესიაში ვმსახურობ.



**რუსუდან გოცირიძე**
ბაპტისტურ-ევანგელური ეკლესიის ეპისკოპოსი

სახლში სამი დედმამიშვილი ვიზრდებოდით. მე უფროსი ვიყავი, პატარა დაიკო და სულ პატარა ძმა. ღრმა ბავშობიდან მინდოდა მსახიობობა. მახსენდება „ვერის უბნის მელოდების" ბავშვებივით (ორ დას ვგულისხმობ) მე და ჩემი და ჩავიცვამდით დედას მორჩენილ ნაჭრებს (დედა სულ კერავდა) და სხვადასხვა წარმოდგენებს ვაწყობდით. მაგრამ ვიცოდი, რომ მსახიობი ვერასდროს გავხდებოდი. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: მკაცრ პროტესტანტულ ოჯახში ვიზრდებოდი; პაპა ხუცესი მყავდა. მსახიობობა კი ჩვენს ეკლესიაში ნეგატიურ მოვლენად ალიქმებოდა. ეს იყო ჩემს გულში ჩაბუდებული პატარა ოცნება. 12 წლის ვიყავი, როცა მე და დედამ ოქროს შუალედს მივაგენით – რადგან სცენაზე ვერ დავგდებოდი, დედამ თოჯინების თეატრში შემიყვანა. აქაური სასწავლო კურსი სამსახიობო კურსებს წააგავდა. სკოლიდან მოსული დედასთან ერთად რადიოსპექტაკლებს ვისმენდი. ალბათ მსახიობობის სურვილი ამანაც გამიჩინა.

თუმცა ახლა, ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ ყველა ჩემი ოცნება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით მაინც ხორციელდება. ეკლესიაში ვდგამთ საშობაო და სააღდგომო სპექტაკლებს. მათში ადრე თუ მე ვიღებდი მონაწილეობას, დღეს ჩემი შვილი თამაშობს.

# რეალური ბრძოლის ვირტუალური ველი

ვირტუალურ რეალობაზე გადაღებულია უამრავი ფილმი და დაწერილია კიდევ უფრო მეტი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოები.

სანდრო ასათიანი

დღეს უკვე რეალური მოწყობილობებიც არსებობს, რომლებიც ადამიანს ვირტუალურ რეალობაში მოგზაურობის საშუალებას აძლევს. მაგალითად „Oculus Rift"-ი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ Facebook-მა 2 მილიარდ დოლარად შეიძინა. ეს მოწყობილობა დიდი ზომის სათვალეს მოგვაგონებს და რეალობაში არარსებულ, პროგრამისტებისა და 3D გრაფიკის სპეციალისტების მიერ შექმნილ „სამყაროებში" მოგზაურობის საშუალებას გვაძლევს. კომპიუტერის მონიტორისგან განსხვავებით „Oculus Rift"-ში გამოსახულება ადამიანის თავის მოძრაობის შესაბამისად იცვლება. ანუ, თუკი ადამიანი ზევით აიხედავს, იგი ცას დაინახავს, თუ ძირს დაიხედავს – მიწას და ა. შ. ამ მოწყობილობის გამოყენებისას ადამიანს იმ სამყაროში ყოფნის სრული ილუზია ექმნება, რომელიც „Oculus Rift"-ის ოკულარში მოჩანს.

ერთი მხრივ, მიუხედავად ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა ვირტუალური რეალობა თითქოს მხოლოდ შორეული პერსპექტივაა. მეორე მხრივ კი, ირგვლივ თუ მიმოვიხედავთ, დავინახავთ, რომ დღეს ჩვენს რეალობასა და ვირტუალურ, ჩვენ მიერ ხელოვნურად შექმნილ რეალობას შორის, ზღვარი პირობითია.

## ვირტუალური რეალობა ტერორისტების სამსახურში

„ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფოს" (ISIS) შესახებ უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ის მეთოდები იწვევს, რომლითაც მსოფლიო რუკაზე ამ არარსებული სახელმწიფოს მომხრეები თანამოაზრეებს იზიდავენ. ის ფაქტი, რომ მათ რიგებში ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეებიც იბრძვიან, ბევრ რამეზე მეტყველებს.

ამა წლის სექტემბერში ინტერნეტში, კერძოდ კი Youtube-ზე, გამოჩნდა ვიდეორგოლი (https://www.youtube.com/watch?v=QhbX0Kt9s_I), რომელსაც შემდეგი შინაარსის მოწოდება ჰქონდა წამძღვარებული: „იმას, რასაც თქვენ თამაშებში აკეთებთ, ჩვენ რეალურ ცხოვრებაში, რეალურ ბრძოლის ველზე ვასრულებთ". თავად ვიდეორგოლში ერთ-ერთი პოპულარული თამაშიდან, Grand Theft Auto 5-დან, აღებული ანიმაცია იყო გამოყენებული. ეს კომპიუტერული თამაში საკმაოდ პოპულარულია და დღესდღეობით მისი მილიონობით კოპიოა გაყიდული. Grand Theft Auto ევროპაშია შექმნილი ბრიტანული კომპანია Rockstar North-ის მიერ. გამოსახულება, რომელიც ISIS-ის მიერ სააგიტაციო მასალად არის გამოყენებული, განვითარებული დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისათვის ნაცნობი და გასაგებია.



> ISIS აგიტატორები რეალობასა და ვირტუალურ რეალობას, რეალურ ცხოვრებასა და კომპიუტერულ თამაშებს შორის ზღვრის წაშლას ცდილობენ – ახალგაზრდებს სთავაზობენ იმას, რაც მათთვის ასეთი ნაცნობია ვირტუალურ რეალობაში.

ვიდეოში გამოყენებული კადრების ძირითადი ნაწილი ძალადობის ამსახველ სცენებს შეიცავს. მაგალითად: პოლიციელის დაცხრილვა, სამხედროების სატვირთო მანქანის აფეთქება, სნაიპერის იარაღით მოკლული მოწინააღმდეგე და სხვა. ვიდეორგოლში ამ კადრებს დროდადრო ISIS-ის ლოგოტიპი ცვლის. ამ კონკრეტული ვიდეორგოლის გარდა ინტერნეტში სააგიტაციო პლაკატებიც გამოჩნდა, რომელთა გამოსახულება და სლოგანები ზემოხსენებული ვიდეოს შინაარსს იმეორებს.




იქმნება შთაბეჭდილება, რომ ISIS-ის სააგიტაციო კამპანიაში ისეთი გამოცდილი PR ტექნოლოგები არიან ჩართულები, რომლებსაც მშვენივრად ესმით, როგორ შეიძლება იმ ადამიანების ყურადღების მიპყრობა, ვინც თავს კომპიუტერული თამაშებით ირთობს. თუმცა ამ ყველაფერში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ISIS აგიტატორები რეალობასა და ვირტუალურ რეალობას, რეალურ ცხოვრებასა და კომპიუტერულ თამაშებს შორის ზღვრის წაშლას ცდილობენ – ახალგაზრდებს სთავაზობენ იმას, რაც მათთვის ასეთი ნაცნობია ვირტუალურ რეალობაში, კერძოდ კი კომპიუტერულ თამაშებში.

## ვირტუალური თავდასხმა თეთრ სახლზე

ეს ამბავი 2013 წლის 23 აპრილს მოხდა. ამ დღეს Associated Press-ის ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე, რომელსაც იმ დროისათვის 2 მილიონამდე ფოლოუერი ჰყავდა, განთავსდა მოკლე შეტყობინება იმის თაობაზე, რომ თეთრ სახლზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა, რომლის შედეგადაც დაიჭრა ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა („Breaking: Two Explosions in the White House and Barack Obama is injured").

ამ ყალბი შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში ამერიკის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ნამდვილი პანიკა დაიწყო. წამყვანი ამერიკული კომპანიების ინდექსები საგრძნობლად დაეცა. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს ინფორმაცია გადამოწმების გარეშე აიტაცა, რუსული საინფორმაციო სააგენტო, Russia Today იყო. თეთრმა სახლმა ტვიტერში გამოჩენილი შეტყობინებიდან დაახლოებით ათ წუთში გააკეთა კომენტარი იმის თაობაზე, რომ Associated Press-ის ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე პანიკაც მალევე ჩაწყნარდა და ინდექსებიც მალევე დაუბრუნდა ჩვეულ მაჩვენებლებს. თავის მხრივ, Russia Today-საც მალევე მოუწია ინტერნეტიდან დეზინფორმაციის შემცველი ამბის წაშლა.

თეთრი სახლის კომენტარის შემდეგ თავად კიბერტერორისტებმაც არ დააყოვნეს და მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღეს. ეს ვირტუალური თავდასხმა სირიის ელექტრონულმა არმიამ მოაწყო (The Syrian Electronic Army). ამ ორგანიზაციის მსხვერპლი წარსულში, Associated Press-ის გარდა,


ლიბერალი · დეკემბერი 2014 / იანვარი 2015 · № 157

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მედია ორგანიზაციებიც გამხდარან, მაგალითად ისეთები როგორებიც არიან: Reuters, CBS და BBC.

ამ მასალაზე მუშაობისას, სირიის ელექტრონული არმიის მეომრებმა კვლავ ისახელეს თავი და რამდენიმე წამყვანი მედიასაშუალების ელექტრონულ რესურსებზე მიიტანეს იერიში...

## ვირტუალური სივრცის უხილავი მეომრები

2010 წელს ირანის ატომურ ობიექტებზე თავდასხმა განხორციელდა. ჯაშუშური ისტორიები სხვა დროსაც გვსმენია, უბრალოდ, ამჯერად დაპირისპირების არენა კიბერსივრცე იყო. საქმე იმ კომპიუტერულ ვირუსს ეხებოდა, რომლითაც ირანში განლაგებული ატომური ობიექტები იყო „დაავადებული". სპეციალისტებმა ვირუსს სტუქსნეტი (Stuxnet) შეარქვეს.

თუკი ადრე ვირუსების შემქმნელებად ჰაკერები მოიაზრებოდნენ, ამჯერად ყველა ექსპერტი აღნიშნავდა, რომ სტუქსნეტის პროგრამული კოდი იმდენად პროფესიულად იყო დაწერილი, რომ ამას ვერც მარტოხელა ჰაკერი და ვერც თვითორგანიზებულ ჰაკერთა ჯგუფი ვერ შეძლებდა. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ თავად ამ ვირუსის კოდში ისეთი მიდგომებია გამოყენებული, რომ მხოლოდ მათი გაყიდვა ჰაკერების შავ ბაზარზე დაახლოებით $200 000 დოლარად შეიძლებოდა.

ბუშერის ატომური ელექტროსადგური ირანში რუსებმა ააშენეს. მათ SIEMENS-ის მართვის სისტემები გამოიყენეს. თავად კომპიუტერების გამართულ მუშაობას კი ბელორუსული, ნაკლებად ცნობილი ფირმა უზრუნველყოფდა. ამ კომპიუტერული ვირუსის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ატომური ელექტროსადგურის ერთ-ერთმა ინჟინერმა მისი კომპიუტერის გაუმართაობის გამო დახმარებისთვის ბელორუსულ კომპანიას მიმართა. ატომურ ობიექტზე ტექნიკური პრობლემები მანამდეც შეინიშნებოდა. მიზეზი გაუგებარი იყო. ბელორუსმა სპეციალისტებმა კომპიუტერს ანალიზი ჩაუტარეს და მასში კომპიუტერული ვირუსი – სტუქსნეტი აღმოაჩინეს.

საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ მავნე პროგრამის მინიმუმ ოთხი ვერსია იყო შექმნილი. ვერსიები ერთმანეთს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ცვლიდნენ. პირველი 2009 წლის ზაფხულით თარიღდებოდა. ვირუსის სხვადასხვა ვერსიების არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ პირველი ვერსიის საშუალებით დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული და ვირუსის მოდიფიცირების აუცილებლობა გაჩნდა. ბოლო ვერსია კი 2010 წლის მარტით თარიღდებოდა. ამის შემდეგ მოდიფიკაცია აღარ მომხდარა. როგორც ჩანს, მარტში დასახული მიზანი მიღწეული იყო და სტუქსნეტის მოდიფიცირების აუცილებლობა აღარ არსებობდა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო მსგავსი თავდასხმის მიზანი? ალბათ, მონაცემების კოპირება.

ვირტუალური სივრცის სულ უფრო და უფრო აქტიური ბრძოლის ველად გადაქცევაზე საუბრობს რენდოლ დიპერტი (Randall R. Dipert), სამხედრო ეთიკის სპეციალისტი ბუფალოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. დიპერტი დღევანდელ სიტუაციას ცივი ომის პერიოდს ადარებს, როდესაც დიდი სახელმწიფოები აქტიურად მუშაობდნენ ახალი ტიპის იარაღის განვითარებაზე, ხოლო ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა ამ იარაღის მავნე ზეგავლენაზე თითქმის არაფერი იცოდნენ. შესაბამისად, კიბერთავდასხმებიც, მისი აზრით, იმავე სცენარით განვითარდება: მცირე ზომის დივერსიები, ინფორმაციული დაპირისპირებები მიმართული ახალი ტიპის იარაღის „საველე" პირობებში გამოსაცდელად... მაგრამ ეს ყველაფერი ფართომასშტაბიან დაპირისპირებამდე არ მივა, ვინაიდან, ისევე როგორც ატომური ომის შემთხვევაში, შეუძლებელია რომელიმე მხარე დარჩეს გამარჯვებული, – ფართომასშტაბიანმა დაპირისპირებამ, მაგალითად, ინტერნეტში ამ ვირტუალური სივრცის სრულ განადგურებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

## ვირტუალური ველი

ადამიანების მიერ შექმნილი პარალელური რეალობა უკვე არსებობს და საკუთარი კანონებით ვითარდება. იქნებ დღეს ის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ადამიანის მიერ შექმნილი ვირტუალური სივრცე, სადაც ადამიანი დღეს ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს. ჟურნალი WIRED-ი სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ჩვენს კულტურაზე მათ ზეგავლენას ეძღვნება. ამ ჟურნალის ერთ-ერთი დამფუძნებელი კევინ კელი (Kevin Kelly) თავის გამოსვლაში ჯერ კიდევ 2008 წელს ამბობდა, რომ ინტერნეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საიმედო მანქანაა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ოდესმე შექმნილა. იგი მოიხმარს მსოფლიო ელექტროენერგიის 5% (2008 წლის მონაცემების მიხედვით). მის შეუფერხებელ მუშაობას მილიარდობით კომპიუტერი უზრუნველყოფს. ამ მასიური ორგანიზმის შიგნით ყოველ წამს ორი მილიონი იმეილი და 8 ტერაბაიტის მოცულობის ინფორმაცია მოძრაობს. იგი 255 ექსაბაიტი მოცულობის მეხსიერებას მოიხმარს. ის ერთ დიდ ტვინს მოგვაგონებს ნეირონების რთული ქსელით, უბრალოდ მასში ნეირონების მაგივრობას მთელ მსოფლიოში გაბნეული სერვერები ასრულებენ. ინტერნეტში, ისევე როგორც ცოცხალი ორგანიზმის ტვინში, სხვადასხვა იდეები ერთმანეთს ლინკების რთული სისტემით უკავშირდება.

ადამიანები ვფიქრობთ, რომ კომპიუტერების, მობილური ტელეფონების, პლანშეტური კომპიუტერებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით ვიყურებით ინტერნეტში, ვათვალიერებთ, ვმოგზაურობთ ვირტუალურ სამყაროში, მაგრამ იქნებ საქმე პირიქითაა, იქნებ ამ ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით ინტერნეტი გვიყურებს, გვაკვირდება, ჩვენგან სწავლობს ან სულაც ჩვენ გვასწავლის?!

საახალწლო აქცია | 31 დეკემბრამდე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სამომხმარებლო სესხი




ბანკი „რესპუბლიკა“ გთავაზობთ სამომხმარებლო სესხს 7 %-დან (ეფექტური 12.32%-დან). ისარგებლეთ საუკეთესო პირობებით და მიიღეთ 100 ლარამდე ღირებულების საჩუქრები საახალწლოდ. იჩქარეთ, აქცია ძალაშია 31 დეკემბრამდე!

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

SOCIETE GENERALE 150 წლის

290 90 90 | *90 90 | BR.GE

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

# "დოსტოევსკის დაურტყამს, იდიოტს"

ლევან ბერძენიშვილი




**■ მოულოდნელად თვალებს ხუჭავს და ამბობს, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: „გაივლის კიდევ მრავალი წელი და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გაიხსენებს იმ კვირა დღეს, მამამ ყინულის სანახავად რომ წაიყვანა“. შედეგი გარანტირებულია – ფოკუსჯგუფი აღფრთოვანებულია.**

მეგობარი მყავს ერთი, დიდი აღმოჩენის ავტორი: ქალთა საზოგადოებაში (მის მთავარ ფოკუს ჯგუფში), როცა ირგვლივ ყველა თავისებურად ცდილობს ყურადღების მიპყრობას, მოულოდნელად თვალებს ხუჭავს და ამბობს, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: „გაივლის კიდევ მრავალი წელი და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გაიხსენებს იმ კვირა დღეს, მამამ ყინულის სანახავად რომ წაიყვანა“. შედეგი გარანტირებულია – ფოკუსჯგუფი აღფრთოვანებულია.

ასეთ ხერხს ლიტერატურაშიც ვხვდებით, როცა ბრწყინვალე ნაწარმოების პერსონაჟი ვიოლინოზე უკრავს. ნაგელმა მხოლოდ ერთი, მოკლე პასაჟის შესრულება იცის, მაგრამ ამით კარგად სარგებლობს.

ნაწარმოების დასაწყისი ბევრ რამეს ამბობს თავად ნაწარმოებზეც და ჩვენზეც. რა დასამალია და კარგი დასაწყისის გარეშე მიჭირს წიგნებთან ურთიერთობა. შეიძლება შემდეგ, ძალისძალად, ძლივძლივობით ჩავიკითხო. თუ კარგად იწყება, ისეთ წიგნსაც წავიკითხავ, რომელზეც ამბობენ, მისი წაკითხვა შეუძლებელიაო. ასე მიყოლებით, ისე, რომ ერთი წამითაც არ შევჩერებულვარ (ძილს თუ არ ჩავთვლით) წავიკითხე თომას მანის ყველა ტომი, აი ის, ყავისფერი წიგნები, საბჭოთა გამოცემა – გადასარევად იწყებოდა და იმიტომ.

თომას მანი დასაწყისების დიდოსტატია, თუმცა არიან სხვებიც:

„ეტყობა, ვილაცამ ცილი დასწამა იოსეფ კ-ს, რადგან არაფერი დაუშავებია და ერთ მშვენიერ დილას მაინც დააპატიმრეს“. ეს ფანტასტიკური ნაწარმოების დასაწყისია. ესაა „პროცესი“, რომელშიც ვერაფერს ვიგებთ. მგონი იოსებ კ. უდანაშაულოა, მაგრამ როგორ გავიგოთ მართლა ასეა თუ არა, როცა ავტორი არაფერს ამბობს? სამაგიეროდ, დასაწყისი სრულიად ნათელი და გასაგებია – კაცი დააპატიმრეს, თანაც ეს ხომ მთლად პირველი სიტყვები არაა? წიგნის სათაურიც დასაწყისია. როდესაც წიგნს „პროცესი“ ჰქვია, ეს უკვე მაგარია.

კაფკამ ყველა შეაშინა, წიგნს სარომანე სათაური არ დაარქვა, მაგრამ თქვა, მაინც წაგაკითხებთო და გადაშლისთანავე კითხულობ: თავი I, დაპატიმრება, საუბარი ფრაუ გურბახთან – სწორედ ეს გაწყებინებს კითხვას. „ეტყობა ვილაცამ ცილი დასწამა“ – ჩვენ უკვე ვღელავთ, გვგონია, რომ „პროცესს“ გავიგებთ, მაგრამ არაფერიც არ გვესმის. იშვიათია ასეთი მატყუარა მწერალი – ფრანც კაფკა – კარგი ადამიანი, რომელიც გამუდმებით გვატყუებს და მუდმივად ახერხებს ვიკითხოთ მისი წიგნები, რომელთა წაკითხვაც პრაქტიკულად შეუძლებელია. დასაწყისებით გვაბამს. ეს მისი დიდი ოსტატობის დიდი ნაწილია.

ასეთი ტალანტი ყველას არ აქვს, მაგრამ ისეთებიც ვიცით, ეს ნიჭი მოჭარბებულად რომ ჰქონდათ. შეუძლებელია ნაწარმოები ან-

დაზით ან სიბრძნით იწყებოდეს. მწერლების მასწავლებელი რომ ვიყო და მკითხონ, როგორ არ უნდა დავიწყოთ წერა, ვეტყოდი, ნურასდროს დაიწყებთ ბრძნული აზრით-მეტქი. დარწმუნებულიც ვარ, რომ ნაწარმოები ასე არ უნდა იწყებოდეს, ამ დროს კი პირდაპირ გამაოგნებელია, რომ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შედევრი ზუსტად ასეთი სიბრძნით იწყება:

„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს და ყველა უბედური ოჯახი უბედურია თავისებურად“ – მოდი და ამის შემდეგ ამოდენა წიგნი არ წაიკითხო.

ნახეთ რა ცბიერი ავტორია ტოლსტოი: წინ დაგვიდო დიდი წიგნი, რომლის წაუკითხაობაც შეუძლებელია, მაგრამ ისეთ ნაწილებსაც მოიცავს, რომლის წაკითხვაც რთულია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იდეოლოგიზებულია. შეუძლებელია არ წაიკითხო ყველაფერი, რაც ანა კარენინას ეხება. თუმცა ცბიერი ტოლსტოი არც იმის საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ტექსტი და არ წავიკითხოთ ყველაფერი, რაც თავად ლევ ნიკოლაევიჩსა და მის იდეებს ეხება. ტოლსტოიმ საკუთარი იდეოლოგია გვაკითხა – რედაქტორის მაკრატელმა აქ ვერ გაჭრა.

ლევ ტოლსტოიმ თქვა, რომ ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, აქ იგულისხმა, რომ ყველა წიგნი, რომელიც წაგიკითხავთ სისულელეა და აი ახლა წაიკითხავთ სხვა წიგნს, სხვა ამბავსო. ეს შესავალი განაცხადია – მსოფლიო ლიტერატურაში ახალ ნაბიჯს ვდგამ, წამიკითხეთო. მივხვდი, რომ ძალიან ბევრი მწერალი, ტოლსტოის მსგავსად, საკუთარ წიგნებს იწყებს რეკლამით – წამიკითხე მე!

ცბიერი კაცია ტოლსტოი, მარტივი, ნათელი რამით შეგვკრა, ამდენი ადამიანი ერთი პატარა კამფეტით დაგვაბა. ასეთი დასაწყისებით დამწყები კაცია ლევ ნიკოლაევიჩი.

ახლა მის კოლეგებსაც გადავხედოთ, მაგალითად, როგორ იწყებს სოფოკლე ძველ ტრაგედიას, რომლის სახელიც ყველამ იცის: „შვილებო, ძველი კადმოსის ახალო მოდგმავ, რა გაგჭირვებიათ, რისთვის მოსულხართ?“

არადა, ირკვევა, რომ ოიდიპოსმა მშვენივრად იცის, რისთვის მოადგა ეს ხალხი. მეტიც, პრობლემის აღმოსაფხვრელად მას უკვე გადადგმული აქვს ნაბიჯები. პრობლემა კი სერიოზულზე სერიოზულია, საშინელება ხდება: შავი ჭირი მძვინვარებს, მოსავალი არ მოდის, აღარ მრავლდებიან ცხოველები, არ ორსულდებიან ქალები, სიკვდილი ზეიმობს!

ყველაფერი ეს მშვენივრად იცის ოიდიპოსმა, თან დიდი ხანია, მაგრამ მაინც ასე იწყებს – შვილებო, რისთვის მოსულხართ, რა გაგჭირვებიათო? ანუ მომენტალურად ამბობს მთავარ სათქმელს და იმწუთას ჩვენ ვერ ვხვდებით, სად გვატყუებს. მოგვმართავს – შვილებო, და გასაგებია, რომ მამა გველაპარაკება. თუმცა – ვინაა ბიჭო შენი შვილი, შე ... (თან ზუსტად არც ვიცით, რა ვუწოდოთ). ესე იგი, გვეუბნება, თქვენ ხართ ჩემი შვილებიო. წარმოგიდგენიათ რა ცუდად გვეპყრობიან, როგორ გვატყუებენ?! რისი თქმა მინდა იცით? ხომ შეეძლო სოფოკლეს სხვა სიტყვა დაეწერა? რა თქმა უნდა, შეეძლო. უამრავი წიგნია სხვაგვარად დაწყებული, უამრავ წიგნში შევასწორებდით ბევრ რამეს, მაგრამ არსებობენ სოფოკლეს მსგავსი მწერლები, რომლებიც ზუსტად საჭირო სიტყვებს ამბობენ.

„ილიადა“? ილიადაც ხომ ასე იწყება – მრისხანებით! შემდგომში აღმოვაჩენთ, რომ აქილევსი გულჩვილია, უყვარს დედა, ტირის, თუმცა მისი მთავარი თვისება სისასტიკე და მძვინვარებაა - მრისხანებაზე მიმღერე, მუზავ!

ასევეა ჰომეროსის მეორე ნაწარმოებიც, „ოდისეასაც“ ასევე იწყებს, იქ მთავარი მრისხანებაა აქ კი კაცი, მისი ბედი – კაცზე მიამბე, მუზავ!

ამ მხრივ, ბერძნები ნამდვილი ოსტატები არიან. აიღეთ ნებისმიერი ნაწარმოები, მისი პირველი სიტყვა. თავი უნდა ვურტყათ კედელს – რატომ ჩვენ არ ვართ ასეთი მაგრები? თუმცა არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ სადაც მაგრები ვართ, ჩვენც მაგარი დაწყება ვიცით:












■ მთელი მსოფლიო ნონ-ფინიტოთი, დაუმთავრებლობით ერთობა, ხოლო ჩვენ დაუწყებლობის დიდოსტატები ვართ! ჩვენ ვიწყებთ ისე, როგორც სხვები ამთავრებენ.

ნაცვალსახელით დაწყება, რომელსაც წინ წინადადება და მძიმე სჭირდება – არც წინადადებაა, არც მძიმე, პირდაპირ ასე – „რომელმან შექმნა სამყარო...“ ეს წარმოუდგენელია, ასე არ შეიძლება! მთელი მსოფლიო ნონ-ფინიტოთი, დაუმთავრებლობით ერთობა, ხოლო ჩვენ დაუწყებლობის დიდოსტატები ვართ! ჩვენ ვიწყებთ ისე, როგორც სხვები ამთავრებენ – რუსთაველის დასაწყისი ფანტასტიკაა!

ხომ შეეძლო კაცურად დაეწყო და დაეწერა – „ჰე, ღმერთო ერთო“ და ჩვენ მშვიდად დავიწყებდით კითხვას. მაგრამ არა, მან თქვა – „რომელმან“ და იმწუთას ჩნდება კითხვა, რაღაც ხომ არ მოაკლეს ტექსტს. გრძნობა, რომ რაღაც გაკლია, ყველაზე დიდი გრძნობაა, რაც მწერალმა შეიძლება გაჩუქოს.

განსაკუთრებულად იწყებს ფოლკნერიც, დიდი, ძალიან დიდი მწერალი და მომენტალურად შემოაქვს In medias res. გონებრივად დაკარგული კაცის სიტყვებით იწყება ნაწარმოები, რომელიც პირველივე სიტყვებით გვგზავნის სხვა წიგნთან. ფოლკნერი ამას ორი გზით ახერხებს: წიგნის მთავარი დასაწყისი სათაური – „ხმაური და მძვინვარება“, რომელიც შექსპირის მაკბეტთან გვამისამართებს, სადაც ვკითხულობთ, რომ ცხოვრება იდიოტის მოთხრობილი ზღაპარია და ეს წიგნიც სულიერად, თუ გონებრივად აშლილი ადამიანის ტექსტით იწყება!

ასეთ ამბებში შემჩნეულია მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი შედევრის „ძმები კარამაზოვების“ ავტორიც. ტექსტი იწყება არა მისი სიტყვებით, არამედ ციტატით:

პირველი – ეძღვნება ანა გრიგორევნა დოსტოევსკაიას, ანუ მეუღლეს; მეორე – „ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ, თუკი მიწაზე დავარდნილი მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება, ხოლო თუ მოკვდა, მრავალ ნაყოფს გამოიღებს“, – სახარება იოანესი, თავი XII.

ამ ეპიგრაფით დოსტოევსკი ამბობს, რომ თუ არა სიკვდილი, არ იქნება სიცოცხლე. გვიხსნის, ჩემი ნაწარმოები სიკვდილზეაო. ავტორი აქ ერთი კაცის სიკვდილზე საუბრობს; თუკი მასში მხოლოდ სიკვდილი დავინახეთ, ამ წიგნიდან სიცოცხლეს ვერ წამოვიღებთ.

დოსტოევსკი სასაკლაოზე გვეპატიჟება, თქვენც მოკალით, ერთი დანა თქვენც დაარტყით ამ ჩემს პერსონაჟსო და ისეთ კაცს გვიხატავს, არცერთი მკითხველი რომ არ დაამადლიდა ამ მკვლელობაში მონაწილეობას.

ამბობენ მწერლებს უყვართ თავიანთი პერსონაჟებიო. კი ბატონო! დოსტოევსკისაც უყვარს, უყვარს, მაგრამ დანას მაინც დაგარტყმევინებს. როგორ შეიძლება ფიოდორ კარამაზოვი არ მოკლა, აბა რისთვის კითხულობ ამ წიგნს?!

პირველივე სიტყვებით ავტორი ძალიან შორს წაგვიყვანს – „ჩემი გმირის, ალექსეი ფიოდორივიჩ კარამაზოვის ცხოვრების აღწერას ვიწყებ“. ნახეთ, წიგნს ჰქვია „ძმები კარამაზოვები“ და იგი პირდაპირ იწყება უმცროსი კარამაზოვის აღწერით. მანამდე ნათქვამია, რომ თუ არ მოკვდა, ანუ თუ არ დაეცა, არ გაირყვნა, არ დალპა – არაფერიც არ იქნება. დოსტოევსკი ნაწარმოების პირველივე ფრაზით გვეუბნება – ამ ბიჭზე ვამბობ, ალიოშა კარამაზოვი თუ ისეთი დარჩა, როგორიც არის, დარჩება ერთი და თუ მოკვდა, იქნება მრავალი, იქნება ისტორია. პირველსავე სიტყვებში შეგვიძლია მისი გზავნილის ამოკითხვა – ხალხო, მეორე წიგნსაც ვწერ, რომელშიც ალიოშა კარამაზოვი კაცის მკვლელი და რევოლუციონერი გახდება, ანუ მოკვდება, დალპება ისე, როგორც პურის მარცვალი, რადგან ლპობის გარეშე სიცოცხლე არ იბადება.

არადა, გვინდა, რომ ალიოშა კარამაზოვის სახით წიგნში ერთი ნათელი წერტილი მაინც დავტოვოთ. ავტორი კი პირველსავე წინადადებაში გვიმხელს, რომ სწორედ ალიოშა კარამაზოვია ის მკვლელი, რომელსაც ვეძებთ.

კი ბატონო, ვიცით, რომ დიმიტრის არ მოუკლავს, მოკლა სმერდიაკოვმა, კარამაზოვების ნახევარძმამ, ცუდმა კაცმა, თუმცა ყველა დამნაშავეა. ესენი მკვლელობაში მოვარჯიშე ბიჭები არიან და ყველაზე დიდი დამნაშავე ალიოშაა; მთავარი დამნაშავე რომანისა, რომელიც არ დაიწერა. ეს არის ის გამორჩეული და უცნაური დასაწყისი, რომლითაც ავტორმა ნაწარმოების დასასრული არ დამალა.

ავტორებმა იციან – წიგნის პირველი გვერდი, პირველი ფურცელი ის შანსია, რომლითაც შეუძლიათ მკითხველს ხელი ჩაავლონ. ეს შანსი მეორედ არ ექნებათ. პირველი გვერდის გამო ბევრ კარგ წიგნს გაქცევია მკითხველი, თუმცა ისეთი მწერლებიც არსებობენ, დასაწყისშივე რომ გეუბნებიან – არ წამიკითხოო.

ფრანგულ ლიტერატურას ჰყავს ერთი მწერალი და აქვს მისი წიგნი (დასაწყისის ქართულ ციტირებას ვერ ვახდენ, ჯერ არ გვაქვს თარგმანი), რომელსაც „დაკარგული დროის ძიებაში“ ჰქვია.

ეს წიგნი ისე იწყება, რომ ის ჩემი მეგობარი, რომანების დასაწყისების ციტირება რომ ახასიათებს, ვერ ეკარება. გასაგებიცაა, ვკითხულობთ წინადადებას, რომელიც მე-6 გვერდზე სრულდება. სახიფათო წიგნია, მეექვსე გვერდამდე თუ მიხვედი, ხელიდან ველარ გაუშვებ, მაგრამ როგორ გინდა, ერთ წინადადებას მეექვსე გვერდამდე მიჰყვე?

ქვეყნის სახელი – სახელი, ანუ სათაური, რომ ქვეყანას სახელად ჰქვია სახელი; როგორ იძინებს ბავშვი და როგორ იღებს მისი ტვინი იმ ოთახის ფორმას, სადაც სძინავს. ეს შესანიშნავი, დიდი წიგნი ასე ზღაპრულად იწყება. აბა, რა ვთქვათ?!

დაბოლოს, არიან მწერლები, რომელთათვისაც დასაწყისი უმნიშვნელო კი არაა, არამედ სპეციალურად იწყებენ სხვა ამბებიდან, რომლებიც ეფერებიან დასაწყისს, რომელთაც ეშინიათ მკითხველთა იქ მიყვანა, სადაც უნდა მიგვიყვანონ. ესენიც მაგარი დასაწყისებია, მაგრამ სულ სხვანაირი, დაახლოებით ასეთი: „ამ წიგნის ხელში ამღებმა იცოდეს, რომ შემთხვევით ჩაუვარდა ხელში“, ეს ჩემი დაწერილი არ არის, მეგობრებო და სხვ. ასე, მკითხველისადმი მიმართვით იწყება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული წიგნი, რომელზეც დოსტოევსკიმ თქვა, რომ როდესაც ღმერთი მოვა და გვკითხავს რა გაგიკეთებიათ და ჩვენ არაფერი გვექნება სათქმელი, ვეტყვით, რომ აი ეს წიგნი დავწერეთ, ხელში კი „დონ კიხოტს“ დავიკავებთ და შემოქმედი მიხვდება, რომ სწორად გვიცხოვრიაო.

ეს ცბიერი ადამიანები, ეს მწერლები რომანების დასაწყისით მუდმივად ერთ სიბრძნეს გვიმეორებენ – მკითხველო, სერიოზულად მოგვიდექი, შენ წინაშე ნამდვილი ლიტერატურაა! ასე გვაფრთხილებს ნებისმიერი დიდი ლიტერატურა. ეს მწერლები კარგი, პატიოსანი ადამიანები არიან. მწერლობა, რომელიც არ გვაფრთხილებს, რომ დიდია, შეიძლება ზედმეტად მძიმე აღმოჩნდეს და მოხდეს ის, რაც ერთმა კარგმა ქართველმა მწერალმა, ედიშერ ყიფიანმა, სახუმაროდ აღწერა:

კაცი ცუდადაა, გონება დაკარგა. მოდის სასწრაფო, ექიმი ამ სნეულების გამომწვევ წიგნს იღებს ხელში და ამბობს – „დასტაევსკის დაურტყამს, იდიოტს“. ნებისმიერი შესავალი გაფრთხილებაა, რომ შენ წინაშე მძიმე წიგნია, ფრთხილად იყავი, არ დაგარტყას, ამ „იდიოტმა“!

თუკი შექსპირს უშანგი ჩხეიძის მსგავსად ითამაშებ, შეიძლება ჰამლეტის როლიდან ვერასდროს გამოხვიდე და ეს შენი ინდივიდუალური მითი, ანუ სიგიჟე გახდეს.

მწერლობა საშიში რამაა, ამიტომ, დიდი მწერლები, განსაკუთრებით დიდი წიგნების დასაწყისები გვაფრთხილებენ – შენ წინაშე დიდი ლიტერატურაა, მომზადე მკითხველო, და თუ ატყობ, რომ საქმე ცუდადაა 23-ე გვერდიდან წამიკითხე. მე კი ყველას ვურჩევ მეჩვიდმეტე გვერდამდე მაინც მივიდეს, ბიბლიოთეკები აქ ბეჭედს არტყამენ და იმას მაინც გავიგებთ, მოპარულია ეს წიგნი თუ არა.







ესენი მკვლელობაში მოვარჯიშე ბიჭები არიან და ყველაზე დიდი დამნაშავე ალიოშაა; მთავარი დამნაშავე რომანისა, რომელიც არ დაიწერა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# საახალწლო

## პლაკატ-კალენდარითა საქმე

გიორგი კეკელიძე




იმ დროის დალამებაც ეგეთია: სხვანაირი. გაგანია ოთხმოცდაათიანებია. ვისაც დამიწება აქვს, ის ცას უნდა ეწიოს. დამიწება ეგ არის, რასაც რომ ალქიმიას უწოდებდნენ ძველნი მეცნიერნი. ანუ ფაზა ნულიდან უნდა გამოადნო დენი, რომელიც კარიკატურას უფრო ჰგავს, ვიდრე მის რეალურ არქეტიპს. უბრალოდ იმედი უფროა – ოდესღაც ელექტროენერგია არსებობდა. ძირითადი საქმე ლამფაა და მისი ჩრდილები: თამაშობ კედელზე ხელის ლანდების მოძრაობით: ციყვი იხატება ადვილად, ძაღლი ხომ ლამის ყეფს, აქლემი გამოდის ძნელად.

ახალი წლის მზადების ღამეები სხვა მაგიაა. იგივენი და უფრო მძლავრად დანთებული ღუმელი. მოკონწიწებული ფულით შეგროვებული მასალით ნამცხვრის ცხობის პროლოგი. სიკვდიმისჯილთა საკნიდან ქათმის შეგუებული დუმილი. და კედელზე შარშანდელი, შარშანწინდელი, იმისწინდელი საახალწლო პლაკატები დიდებული კოლაჟებით (ახალი წლის კალენდარი მოიპოვებოდა ცოტა გვიან): BMW, კლაუდია შიფერი და მამალი, თუ მამლის წელია; შერონ სტოუნი, სახლი ალპებში რომანტიკული, ბაცი ყვითელი ნათებით და დრაკონი; ლეტიცია კასტა, სანტა-კლაუსი და ვირთხა; ნაომი კემპბელი არ მახსენდება. მოკლედ ახალი წელი მოდის და...

სხვა ამბავია ეს ახალი წლის პლაკატ-კალენდრები. კედელზე გაყინული დრო და განწყობები. ახლაც სოფელში 1987 წლის კალენდარს გადავაწყდი, დედაჩემს მიუწერია 10 აპრილზე – გიორგი გახდა სამი წლის. მე აბა რა მახსოვს ეს ღირშესანიშნავი საქმე. მაგრამ მაინც დავიძაბე – ყველა დრო მნიშვნელოვანია, სადაც მყოფობდი, თუნდაც მეხსიერება ვერ წვდებოდეს. მსგავსი სენტიმენტალურ-მოფილოსოფიურო ამბავი. მე ეგეთი პლაკატებიც მახსოვს, ქვეყნის მეთაური გვიღიმოდა და მისი კბილები უკეთეს წელს გვპირდებოდა. იმედი კი ცრუვდებოდა, მაგრამ ახალი წელი, რაღაც ამბავში, იმთავითვე გულისმხობს წინასწარგანზრახულ სიცრუეს – თვალის არ და თავის მოტყუებას. ჰოდა, პლაკატებიც ეგეთი უნდა იყოს – ხომ გახსოვთ სიმღერაცაა ,,მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება“. მოკლედ..

ახლა ბიბლიოთეკის არქივები. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ საქმეში ჩართული ხალხი ეტყობა დიდი ენთუზიაზმით არ უდგებოდა აღნიშნულ საკითხს ან ახალი წლის დადგომა არ იყო მათი ,,პრიორიტეტი“. მეორეცაა – ფონდები კიდევ საკვლევია და შეიძლება მოულოდნელი განძიც ამოვაყოლოთ ანკესს.

საბჭოთა პერიოდის პირველი ნახევრის საახალწლო პლაკატების სტილი მოწოდებებს უფრო მოიცავს. რიგ შემთხვევაში – ამა და ამ წელს საბოლოოდ დავამარცხოთ კულაკები და აღმოვფხვრათ ბურჟუაზია ან ავაშენოთ მეტი ელექტროსადგური და სილოსი (თივის დამამწნილებელი მანქანა). მოკლედ ახალი წლის პლაკატებისა არაფერი ეცხო – სადღაც მიხატული უღიმღამო თოვლის ფიფქის გარდა.

ომის დროს, ცხადია, საბჭოთა ჯარისკაცი გვილოცავდა ახალ წელს შაშხანის ლულაზე შეყინული ლოლოთი და გამარჯვების მოწადინე სახით. 1945 წელს ეს სახე უკვე მოზეიმედ იქცა!

ამის შემდეგ პლაკატები ჰეროიკულობას იფერებს – წელში გამართული ქალი და კაცი, საბჭოთა დროშით და გაჩახჩახებული ფონი – როგორც წესი, მოსკოვი ან ლენინგრადი. ამგვარი განწყობა შეგნებული განზრახვითაა – მართალია, რეალურ ცხოვრებაში კომუნიზმი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ განწყობა, რომ ის კარზეა და შეიძლება, თუნდაც ამ წელს ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდეს, გადამდებია. ასეთი პლაკატები, როგორც წესი, რუსულ ენაზე იბეჭდებოდა და ყველა დაწესებულებაში რიგდებოდა. ვარიაციებს იშვიათად შენიშნავთ – შემართება თანაბარი უნდა ყოფილიყო ლიმონათის ჩამომსხმელი ქარხნის მუშის ოთახსა და ცეკას რომელიმე მდივნის პრიალა კაბინეტში. სხვა საქმეა, რამდენად მართალ ექოს სთავაზობდა რეალური ცხოვრება ამ ამბავს.

დგებოდა, თემატური ახალი წლებით. მაგალითად თუ წინა წელს რომელიმე ატომურ სადგურს გახსნიდნენ, ეს განწყობა ირიბად მაინც შეეპარებოდა სურათს. როგორ გამოგვრჩებოდა კოსმოსში გაფრენის საქმე? ახალი წლის პლაკატები გაგარინის პოსტერებად იქცა. ოღონდ იურის ,,როლში“ შეიძლება სათნოსახიანი ბავშვიც ყოფილიყო – მთავარია რაკეტაზე ამხედრებული.

ვიზუალი ოთხმოციანებში იცვლება. უფრო გრაფიკული და ინტელექტუალური ხდება. გამარჯვების პათეტიკური მუხტი თითქოს სადღაც ქრება. ცდილობენ ყველა ძირითადი სიმბოლო ერთად დაატიონ, ქვეყნის საფირმო ამბები და ბრენდები. ერთგან რაღაც მოწყენილი საბეჭდი მანქანაც კი გვხვდება – შავი და უღიმღამო. თითქოს საბჭოთა კავშირის ნეკროლოგს წერს წინასწარ...




ახალი წლის მზადების ღამეები სხვა მაგიაა. იგივენი და უფრო მძლავრად დანთებული ღუმელი. მოკოწიწებული ფულით შეგროვებული მასალით ნამცხვრის ცხობის პროლოგი. სიკვდიმისჯილთა საკნიდან ქათმის შეგუებული დუმილი. და კედელზე შარშანდელი, შარშანწინდელი, იმისწინდელი საახალწლო პლაკატები დიდებული კოლაჟებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა





დაკრძალვა საძმო სასაფლაოზე (სავარაუდოდ სომხეთთან ომში დაღუპულების), ჯგუფში დგანან – გიგო ლასხიშვილი, ნოე ჟორდანია, ნოე ხომერიკი, კარლო ჩხეიძე, გოგილო ცინცაძე, რუბენ აუშტროვი და ვალიკო ჯუღელი

ფოტო მოისე ნაპელბაუმი / საქართველოს ეროვნული არქივი

# 12 დეკემბრის ანდერძი

ირაკლი ხვადაგიანი

1921 წლის 12 დეკემბრის დილას თბილისის სკოლებში სწავლა ჩაიშალა. ეს გაყინული და ბნელი კლასებიდან, ნახევრადმშიერი მოსწავლეების სახეტიალოდ გაქცევასაც ჰგავდა. უფროსებსაც, ალბათ დიდად არ გაკვირვებიათ ჯგუფ-ჯგუფად მოსუნსულე გიმნაზისტებისა და უფროსკლასელების გამოჩენა თოვლ-ჭყაპით ატალახებულ ქუჩებში, თუმცა დიდი შეთქმულების წარმატება მაშინ გახდა ცხადი, როდესაც ზამთრისპირზე, ნაომარ და გამოფიტულ ქალაქში სასწაულით ნაშოვნი ცოცხალი ყვავილებით გადაფერადებული ბავშვების ჯგუფები რკინიგზის გადასასვლელ ხიდთან შეერთდნენ და გრძელ ჯაჭვად გაჭიმული აუყვნენ ყოფილ „ვლადიმიროვსკის“ ქუჩას.

მას შემდეგ, რაც 1921 წლის მაისში, ბოლშევიკურმა საოკუპაციო რეჟიმმა ბრჭყალები გამოაჩინა და მასობრივ დაპატიმრებებს მიჰყო ხელი, მოქალაქეების – თბილისელი მუშების აღშფოთებამ მალევე ამოხეთქა და ივლისში, ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის კლუბში ძველ ნაცნობს, სოსო ჯუღაშვილს – უკვე ამხანაგ სტალინს, უტიფრობისთვის უსტვინეს და მწარედ შეამკეს. შედეგად, იმავე ღამით ბრალიანმა და უბრალომ, როგორც ნიკოლოზის დროს – „მეტეხის აგარაკის“ საგზურები ჩაიბარეს და ნაძალადევის პოპულაცია ცოტა არ იყოს შეთხელდა.

მოთმინების ძაფი მეორედ შემოდგომაზე გაწყდა, როდესაც მძიმე ზამთრის სუსხს შიმშილის ჩრდილიც მოჰყვა, სამაგიეროდ თბილისის საწარმოო ძალები – მანქანა-დანადგარები, ნედლეული და საქალაქო ტრანსპორტი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა რუსეთისაკენ. იქიდან კი დაპირებული „თეთრი პურის“ ნაცვლად ადმინისტრატორები, კანტორშჩიკები და წვრილფეხა ბიუროკრატია იგზავნებოდა.

მუშათა სპონტანურმა ყრილობებმა ამჯერად უკვე ორგანიზებულად აირჩიეს დელეგატები და საპროტეს-



სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრის – სანდრო მაისურაძის დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე.

ფოტო საქართველოს ეროვნული არქივი

ტო დეკლარაციით გაგზავნეს „რევკომთან" წარსადგენად, თუმცა ისინი მთავრობის სასახლიდან გამოსული არავის დაუნახავს – იქვე ახლოს, ჩეკას სარდაფში უკრეს თავი.

ბოლშევიკურ პრესაში დიდხანს დუმდნენ ამ ფაქტის შესახებ, მაგრამ როდესაც ამბავი გასკდა, დელეგატები ჩვეულ სტილში „სასახლის წინ მოხეტიალე უსაქმურებად" მოიხსენეს, ხოლო უკმაყოფილოები, პროტესტის ორგანიზატორები და ბევრი სხვებიც „პროფილაქტიკის მიზნით" მეტეხში გაამგზავრეს. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, სამაისო და ნოემბრის წმენდები ტრადიციად იქცა.

მძიმე ზამთრის დასაწყისში, როდესაც პროტესტის ხალისი აღარავის შერჩენოდა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და ღირსების დემონსტრირება სრულიად მოულოდნელად თბილისელმა მოსწავლეებმა აიღეს საკუთარ თავზე – 12 დეკემბერს, 12 საათზე მასობრივი „შატალო" ნაძალადევის სერზე შეერთდა.

1917 წლიდან უწყვეტ ომებში დაღუპული მამების, ძმების, ნათესავების ნაცნობის თუ უცნობის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა და არმიის ჯარისკაცების ძმათა სასაფლაოზე, ბავშვური ხმით ნამღერი ტრადიციული სამგლოვიარო ჰიმნისა და „დიდების" შემდეგ, უცნობი მოსწავლის სიტყვა-მოწოდება გაისმა და სახალხო გვარდიის დღის მეოთხე და უკანასკნელი საჯარო აღნიშვნის ამბის ტრაგიკულ ექოდ დარჩა:

„მამებმა შვილებს ანდერძი დაგვიდეს – ჩვენი ვალია ანდერძი შევასრულოთ და დახოცილ მებრძოლთა ძვლებს ფიცი მივცეთ, ფიცი მტკიცე, უშიშარი, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მათ გზას და სამშობლოსა და დემოკრატიისათვის ისევე ერთგულად დავდებთ თავს, როგორც ეს აქ განსვენებულმა მამებმა მოიმოქმედეს. ჩვენი მამები ციხეებში სხედან, ჩვენი მამები ტყეებში და მთებში გახიზნულან, ჩვენი მამები დახოცილები დარჩნენ ბრძოლის ველებზე და დამპყრობლებმა მათ გვამებზე გადმოაბიჯეს, ხოლო მკვდრები ყვავ-ყორნებს დაუტოვეს უპატრონოდ. მთელი ქართველი ერი ძაძებშია შემოსილი და ყოველ ქოხს გლოვა დაუფლებია, დაპყრობილი ქვეყანა გმინავს მონობის უღელქვეშ, ხოლო უცხო ძალები და მოღალატენი დაპატრონებიან ჩვენს საუნჯეს და ურცხვად ძიძგნიან.

დღეს, ქართველი ერის გლოვის მეათე თვის თავზე საქართველოს სახალხო გვარდიის დღეს, ჩვენ აქ მოვედით, რომ მოვიგონოთ დახოცილი მებრძოლები და მამათაგან დადებულ ანდერძს კიდევ ერთხელ შევფიცოთ".

გლოვის მეათე თვის შემდეგ უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა – ალბათ დემონსტრაციაზე დამსწრეებიდან ბევრმა პირნათლად შეასრულა დადე-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბული ფიცი 1922, 1923 თუ 1924 წლებში და საკუთარი სახელი შეუერთეს უსაფლაოდ დაკარგული ათასეულების რიგს, თუმცა 93 წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ძმათა სასაფლაოს არათუ კვალი წაიშალა მეხსიერებაში, არამედ 12 დეკემბრის, სახალხო გვარდიის დღის აღნიშვნისა და ხსენების სურვილიც კი არავის მოსდის აზრად – სახალხო გვარდია განტევების ვაცად იქცა, რომელსაც ყველა ჯურის პოლიტიკანი პირველი რესპუბლიკის მარცხის მიზეზად მოიხსენებდა და საბჭოთა პროპაგანდა კი მხდალი ხულიგნების ხროვად წარმოაჩენდა ხოლმე.

სახალხო გვარდიის სიძულვილი მეხსიერებანაოპერაციევი საზოგადოების სიმპტომად შეიძლება წარმოვიდგინოთ დღესაც, რომელსაც არ აინტერესებს ურცხვი პროპაგანდის მიღმა გახედვა და ჯიუტად და ტრაგიკომიკური კმაყოფილებით აძაგებს საკუთარი წინაპრების ასეულებს; რომლებმაც ისე იბრძოლეს, როგორც შეეძლოთ – იმ იარაღით, ცოდნითა და გამოცდილებით, საკუთარი სისხლის ფასად რომ შეიძინეს და საყოველთაო ქაოსის და სისასტიკის მორევში 4 წლის მანძილზე საქართველო შედარებით წყნარ და უსაფრთხო კუნძულად შეინახეს.

დღეს ცოტა თუ ცდილობს გაერკვეს მიზეზებში, რატომ ეყრდნობოდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მმართველი პარტიის იდეოლოგიისადმი ლოიალურ სამხედრო ძალას; რატომ უწევდა ხოლმე სახალხო გვარდიას, უცხო აგრესორების გარდა, იარაღისა და მუქარის საკუთარი რესპუბლიკის ჯარის ნაწილებისაკენაც მიმართვა; ვინ უფრო ეფექტიანი იყო ბრძოლაში – 18-19 წლის პირტიტველა ყმაწვილები თუ ზრდასრული და უკვე ცეცხლში გამოვლილი მამაკაცები; ვინ უფრო მტკიცედ ემსახურებოდა რესპუბლიკის იდეას – 1905 წლიდან რესპუბლიკელობისთვის დევნილი იატაკქვეშელები თუ „მეფის კანვოის" ოფიცრები; რატომ ჩხრეკდა მთავარი მტრის – საბჭოთა რუსეთის – სამხედრო ატაშე გვარდიის სამობილიზაციო შესაძლებლობებს და მასზე თავდასხმის გეგმებს აგებდა და 1921-ის მომდევნო წლებში რა უფრო იყო ხოლმე დევნის საბაბი – „ყოფილი გვარდიელობა" თუ ყოფილი ჯარისკაცობა?

ამ კითხვებზე თავისთავად ერთგვაროვანი პასუხი არ მოიძებნება, თუმცა საკმარისია იმისათვის, რომ გერივით მოძულებული სამხედრო ორგანიზაციის ისტორიას სხვა – რაციონალური თვალით შევხედოთ. ამისათვის თუნდაც სახალხო გვარდიის დღის დაარსების მიზეზის გახსენებაც კმარა – 1917 წლის 12 დეკემბრის წარმატებული „სპეცოპერაცია", რომელიც სწორედ 1905 წლის რევოლუციის სულისკვეთებით შეკრებილმა იმ წითელრაზმელებმა განახორციელეს – მათივე ლიდერის, ნოე ჟორდანიას გულწრფელი შეფასებით, მაწანწალების ბრბოს რომ ჰგავდნენ; 12 დეკემბერს „წითელი გვარდიის" რაზმმა თბილისის არსენალი აიღო – ბოლშევიკების მხარდამჭერი მცველი პოლკი განაიარაღა და თბილისის გარნიზონის გაბოლშევიკებული შემადგენლობა განადგურების საფრთხის ქვეშ დააყენა, რაც მათი ევაკუაციით დასრულდა. ამ დღემ ფაქტობრივად უზრუნველყო თბილისში მყოფი პოლიტიკური ძალების სუვერენობა და თავისთავად საფუძველი მოუმზადა 6 თვის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადებას.

დღეს მათთვის, ვისაც უახლესი წარსულის ობიექტური შეფასების გარდა, პირველი რესპუბლიკის მოქალაქეების, პოლიტიკური ლიდერების, მოაზროვნეებისა და შეიარაღებული მცველების ხსოვნის გაცოცხლების საკითხი აღელვებს, ნაძალადევის ძმათა სასაფლაოს პოვნა და 12 დეკემბრის ტრადიციის გაგრძელება არც თუ ადვილ ამოცანას წარმოადგენს:

პირველი სასაფლაო „ძველი ნაძალადევის" უკან, სერის თავზე, 1906 წლის დასაწყისში გაიჭრა, სადაც კაზაკების რაზმთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული „ცხრა ძმის" სახელით დარჩენილი ცხრა წითელრაზმელი დაკრძალეს, რომლებიც სხვებთან ერთად 1905 წლის რევოლუციის დამარცხებისა და „შავი რეაქციის" დაწყების შემდეგ მეფის ჯარისგან დემოკრატიის კუნძულის – „ნაძალადევის" დაცვას ცდილობდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბრძოლაში დაღუპული სახალხო გვარდიელებისა და ნაძალადეველი ჯარისკაცების საძმო სასაფლაოც სწორედ წინაპრების გვერდით მოაწყვეს – მათი სახელები და სახეები კი დღესაც იკითხება დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1920-იანი წლების ბოლოსკენ, ბოლშევიკებმა წარსულის რეკონსტრუქცია დაიწყეს და, როგორც ჩანს, ამ პროცესის ნაწილად საკუთარი პანთეონი გმირულ 1905 წელს დაუკავშირეს. ძველი ბოლშევიკების და თანამედროვე საბჭოთა სახელმწიფოს დამსახურებული მოღვაწეების დასაფლავება „ცხრა ძმის" გვერდით დაიწყეს და თავისთავად – მოსისხლე მტრების, დემოკრატიული რესპუბლიკის მცველების სასაფლაოს კვალიც წაშალეს.

დღეს ტუბდისპანსერის კედელთან მიყუჟული „ბოლშევიკების სასაფლაო", რომელიც ჩვენი საზოგადოების ნამდვილი სახის სარკეა – ნაგავსაყრელად არის ქცეული. არა მგონია, ეს დამსახურებული მოპყრობა იყოს, რადგან დღეს იქ გამვლელ-გამომვლელის უმრავლესობას უკვე წარმოდგენაც არ აქვს, ვინ იყვნენ არმენა კაბულიანი თუ ვანო ჩოდრიშვილი, წერა-კითხვის და, მით უფრო, ისტორიის მცოდნე ადამიანები კი საფლავების შეურაცხყოფას არ კადრულობენ ხოლმე, მით უმეტეს, რომ ბედის ირონიით, ალბათ მათგან რამდენიმე მეტრის იქეთ იმ მებრძოლების საძმო სასაფლაოა, რომელთაც მტრის გვამების შეურაცხყოფა არ ჩვეოდათ.

**საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიისა და ჟურნალ „ლიბერალის" ერთობლივი პროექტი.**

# ტფილისური ახალი წელი

ცირა ელისაშვილი

არც 31 დეკემბერი (ძველი სტილით 13 იანვარი) იყო გამონაკლისი. ქალაქი ამ დღესაც ჩვეულებრივად ილვიძებდა.

„ტფილისის განთიადის მეკვლეები“, მეეზოვეები, ქუჩის ლამპიონებს ჩააქრობდნენ, ქალაქი გალვიძებას იწყებდა. ჯერ კენტად, შემდეგ კი გუნდ-გუნდად ჩნდებოდნენ სხვადასხვა ხელობის ადამიანები.

და „დილის საარის“ ჰანგების ფონზე იწყებოდა:

– „მააანონი, წყნეთის მანონიიიი..“

– „стекластавииим!“

სადმე თუ დღემუდამ მოჩქარე კინტოს გადაეყრებოდი „ხაბარდა!“-ს დაგიყვირებდა, გზა დამითმე, ხელს ნუ მიშლიო..

სადღაც დანების ლესვის ხმა ისმოდა, სადღაც ხურჯინგადაკიდებული სახედრებისა და ეტლში შებმული ცხენების ფლოქვების თქარათქური. სადღაციდან ყრუდ მოისმოდა:

„старый одъееeж... продаем и покупаем!“

... დუქნები ილებოდა, დახლები იდგმებოდა, ყაფანზე დროშა აღიმართებოდა.... ახმაურებული ქალაქის ახალი დღე იწყებოდა.

ამ განმეორებადი ყოველდღიურობის მიუხედავად, 31 დეკემბერი მაინც განსაკუთრებული დღე იყო, როდესაც ყველა, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა წელიწადის პირველი დიდი დღესასწაულისთვის, ახალი წლისთვის, ემზადებოდა.



ღია ბარათი [illegible]

რა შემოგვრჩა ან რა დაგვავიწყდა ძველი ტრადიციებიდან ჩამოვთვლი და თავადვე განსაჯეთ:

დიდი სამზადისი - სახლის დასუფთავება, დალაგება. ფერადი ნოხებისა და ფარდაგების გამომზეურება. ტრადიციულთან ერთად ტკბილი სუფრის მომზადება. ნიგვზის ან ნუშის გოზინაყის დამზადება. სასურველ მეკვლეთა წინასწარი შერჩევა, რომლის „ფეხზეც“ დამოკიდებული იყო ოჯახის ბედნიერება.

„შემოვდგი ფეხი,
გწყალობდეთ ღმერთი.
ფეხი ჩემი
კვალი ანგელოზისა“.

ზუსტად 12 საათზე კი ატყდებოდა თოფის სროლა, ყიჟინა და ვინმეს რომ არ სცოდნოდა ამ დღის მნიშვნელობა, მტრის შემოსევა ეგონებოდა.

ამ ყველაფერს მეტ-ნაკლებობით დღესაც ვიცავთ, თუმცა მივივიწყეთ ტრადიციული თბილისური ნამცხვრის „ბასილას“ გამოცხობა. ეს იყო ადამიანის გამოსახულების ფორმის, ტკბილი ცომისგან დამზადებული ნუგბარი, რომელიც დაკავშირებული იყო წმ. ვასილი დიდთან, ვინაიდან ამ წმინდანის დღე 1 იანვარს, იესო ქრისტეს ებრაული წინადაცვეთის წესით მონათვლის დღეს, იდღესასწაულებოდა.

ასევე აცხობდნენ „ბედნიერების ნამცხვარს“, რომელსაც რაც უფრო მრავალფეროვანი ფორმა ჰქონდა, მით უფრო მრავალი ბედნიერების მომტანად ითვლებოდა.

ახალი წლის სამზადისის მთავარი გმირები ქალები იყვნენ, რომელთა მხრებზეც გადადიოდა მთელი ჯაფა. ამ დღეს ქალებს ოჯახიდან გასვლა ეკრძალებოდათ, რათა სტუმრებს სათანადოდ გამასპინძლებოდნენ.

ოჯახის თავად მამაკაცი ითვლებოდა. ტრადიციის მიხედვით, გამთენიისას მას ნაკოდალი (შეშის ნაჭერი) ან მუგუზალი ბუხართან ან კერასთან უნდა დაენარცხებინა და რაც მეტ ნაპერწკალს გააყრევინებდა იმ წელს, იმდენი ოქრო, დოვლათი და ბედნიერება ელოდა ოჯახს. ოთახის ყველა კუთხეში ხორბლის მარცვლებს ყრიდა, ბარაქიანი წელიწადის იმედით.

ახალი წელი თუ ოჯახის დღესასწაული იყო, მეორე დღეს სუფრები ურბანულ გარემოში ინაცვლებდა. ამას ხელს ტფილისური არქიტექტურაც უწყობდა. ბანიან ქალაქში წინა სახლის სახურავი (ბანი) მომდევნო სახლისთვის ეზოს წარმოადგენდა. სწორედ ამ ბანებზე გამოდიოდნენ თბილისელები და ტკბილი სუფრით გაწყობილ ტაბლებთან იხმობდნენ მეზობლებს.

ტფილისური ახალი წლის ტრადიციაც საკუთრივ ტფილისს ჰგავდა. ცოტა მიამიტურ, სადღაც თეატრალურ, ოდნავ გულუბრყვილო ტფილისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლო და შორეული აღმოსავლეთი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში წარმოდგენილია აღმოსავლური და ისლამური ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური (ძვ. წ VII-XIX სს.) და გეოგრაფიული დიაპაზონი (ეგვიპტე, ჩინეთი, ტიბეტი, ინდოეთი, ირანი) ძალზე ფართოა.

აღმოსავლური ნივთებისადმი ინტერესი ქართველ საზოგადოებაში მუდმივად არსებობდა. ამით არის განპირობებული ის, რომ ჯერ კიდევ კავკასიის მუზეუმში ინახებოდა უნიკალური ისლამური ხელოვნების, ნუმიზმატიკის ძეგლები. კოლექციების შევსება თანდათანობით ექსპედიციების, შემოწირულობებისა და შეძენის გზით ხდებოდა.

მუზეუმის ერთ-ერთი უძველესი ექსპონატია ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებული ეგვიპტელი ქურუმი ქალის მუმია. აღსანიშნავია ძვ.წ. XI-X სს.-ის მუმიის სარკოფაგიც, რომელზეც ორი ქრონოლოგიური ფენის მოხატვის კვალია შემორჩენილი, ასევე, გვიანეგვიპტური მცირე პლასტიკა. შორეული აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშთა კოლექციაში არის სხვადასხვა დარგის (ფერწერა აბრეშუმზე, მცირე პლასტიკა, ლაქი, მინიატიურა, ფაიფური) ხელოვნების საუკეთესო ძეგლები, მათ შორის ჩინური და იაპონური ტიხრული მინანქრისა თუ ლაქის ათობით ჭურჭელი და სხვადასხვა დანიშნულების ზარდახშები. მუზეუმის კოლექციათა უდიდესი და ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია მისი ისლამური ექსპონატები. უნიკალურია ადრეისლამური ლითონის ჭურჭელი, ასევე X-XIX საუკუნეების ფაიანსი და შორენკეცები.

აღმოსავლური და ისლამური კოლექციები ამჟამად მუზეუმის ფონდებშია განთავსებული და საგამოფენოდ მზადდება.



**მოციქულ მუჰამედის ღამით მოგზაურობა და ცად ამაღლება.** ირანი, XVI ს. ქაღალდი, მინერალური და მცენარეული საღებავი, ოქრო, 17.5X15.3 სმ .



**ყალამდანი.** ოსტატი ალი იბნ ისპაჰანი, ირანი, ჰიჯრის 1228 წ. (1813-1814 წწ.), პაპიე-მაშე, ლაქის საღებავები, ოქრო, 30X7X5.3 სმ .



**სარკოფაგი.**
ეგვიპტე, ძვ.წ. XI-X სს. ხე, ფერწერა,
170X49.5 სმ.



**ისიდა და ჰორი.**
ეგვიპტე, ძვ.წ. VII-VI სს., ბრინჯაო,
ხე, სიმაღლე 16.5 სმ.



**ღვთაება ვიჯაი.**
ტიბეტი, XIX ს. ბრინჯაო, ჩამოსხმა,
23X16 სმ.



**თასი.**
ირანი, III ს., ვერცხლი, მოოქროვილი,
5.7X12.3 სმ.



**დოქი,.**
ქაშანი, ირანი, XIII ს. ფაიანსი ლუსტრის ტექნიკა,
სიმაღლე 38 სმ.



**დოქი.** ოსტატი ალ-ჰარავი, ჰერათი (დღევანდელი ავღანეთი), შაბანის თვე, ჰიჯრის 577 წ. (1181 წლის 10 დეკემბერი – 1182 წლის 7 იანვარი), თითბერი, ვერცხლი, კვეთა, გრავირება, ინკრუსტაცია, სიმაღლე 38.5 სმ.

**საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# კულტურა და ნაგავსაყრელები, ანუ მთელი ქვეყნის ჯაზიფიკაცია

დავით ბუხრიკიძე




ფოტო გია გოგატიშვილი

ალ დი მეოლა – თბილისის 2014 წლის ჯაზფესტივალის გამორჩეული პერსონა

ღრმა პატივისცემის მიუხედავად, არ ვეთანხმები სანიმუშო რადიკალისა და მარცხენა ფლანგზე ეფექტურად მბოდავი თუ მბორგავი ჟან ბოდრიარის თეზისს, რომ ნამდვილი ფასეულობა კულტურაში დიდი ქალაქების გადაღმა, გეტოებში, თავშესაფრებში, ნაგავსაყრელებზე და კანალიზაციების გადაკვეთაზე იქმნება. ყველაფერი დანარჩენი კი მხოლოდ „მოდელირება“ და „სიმულაკრებია“.

არ ვეთანხმები იმიტომაც, რომ ნაგავი და კანალიზაცია ჯერ კიდევ ქალაქების ცენტრში გვახრჩობს და თანაც, ჩვენს დასახიჩრებულ ცნობიერებას ისტორიულ-კულტურული არქეტიპები ისევ ძველებურად კვებავენ. სულიერი გადარჩენის რეცეპტი ლამის სავალდებულოა, მაგალითად, „არტისტული ყვავილები“, ანა და მურმანი, თამაზი და ოთარი, მიშა და რობერტი, ელდარი და გიორგი, ელისო და ლიანა, პიკო და ედმუნდი...

ეს უკვე დიდი ხნის წინ დასამარებული დროა, რომელსაც ჩამოქცეულმა იდეოლოგიამ და ახალმა ტექნოლოგიებმა ლახვარი ულმობლად ჩასცეს. დასჯილები კი ყველანი ერთდროულად აღმოვჩნდით. გაგიკვირდებათ და სისტემას დღეს რეზო ამაშუკელი და ერეკლე დეისაძე სინქრონულად ანგრევენ. პირველი კარგა ხნის წინანდელი სისტემატური და აკვიატებული ტელებოდვებით, მეორე – „მკვდარი პოეტების საზოგადოების“ სისტემური დაშლით თუ ელექტრომუსიკალური შხამქიმიკატების გამოყენებით.

შედეგი კი ისაა, რომ დიდი კულტურული სივრცე სულ უფრო სწრაფად იშლება, პატარავდება და დამოუკიდებელ სოციალურ ნაწი-

ლებად იქცევა. და როცა ვინმე, ვთქვათ, კონსერვატორიისკენ მაინც მიიჩქარის, ან თეატრი ისევ ტაძარი ჰგონია, ეს სრულებითაც არ გამორიცხავს, რომ თეატრის ან მუსიკის გარეშე დარჩენილები ქუჩის ან კანალიზაციის კულტურას ვერ შექმნიან. უფრო პირიქით, ერიხ ფრომისა არ იყოს „გან"-თავისუფლება სულ უფრო მეტად გვიბიძგებს „კენ"-თავისუფლებისა და რაც მამასა და მამაოს დიდი ხანია უნდათ, ის მიწისქვეშ და თამაშგარეთ დარჩენილებს დიდი ხანია აღარ უნდათ. არსებითი ის არის, რომ „კულტურის ნაგავსაყრელის" არსებობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავად კულტურის ფაქტის კონკრეტული გამოვლინება.

2014 წლის მცხუნვარე ზაფხულში ქართულმა კულტურამ მინისტრი გამოიცვალა. ანუ ზღვა, რომელიც შორი იყო, გურამ ოდიშარიას წასვლის შემდეგ კიდევ უფრო შორეული გახადა. სამაგიეროდ, უკეთ ვიგრძენით „ისთერნ პრომოუშენის" ყოფილი გენერალური მენეჯერის, მიხეილ გიორგაძის სიახლოვე და კრეატიული იდეების ხიბლი. როგორც ცნობილია, მინისტრობამდე ის ურიცხვი ჯაზფესტივალის ორგანიზატორი იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სამინისტროში მოსვლისთანავე გიორგაძის პრიორიტეტი კერძო ინიციატივების მხარდაჭერა გახდა. მან განაცხადა, რომ თავად კულტურის სამინისტრო უნდა გახდეს კონკრეტული პროექტების თანაორგანიზატორიც ან დამფინანსებელიც. ამავე დროს, შემსრულებლის ფუნქცია თავად იკისრა, ანუ რეალურად მინისტრისა და მენეჯერის ფუნქცია შეითავსა.

ცხადია, „ისთერნ პრომოუშენის" გუნდი, რომელსაც წლების განმავლობაში სათავეში გიორგაძე ედგა, მთლიანად ვერ გადავიდოდა სამინისტროში, რადგან ამით ის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტები ჩაიშლებოდა, რომლებზეც კომპანია დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. ეს კი მნიშვნელოვანია ქვეყნისა და, ზოგადად, რეგიონისთვის. რამდენიმე თანამშრომელი ახლადდანიშნულმა ჯაზის მოყვარულმა მინისტრმა საკუთარი კომპანიიდან სამინისტროში გადაიყვანა. ვერ გეტყვით რა რეალურ შედეგებს მოიტანს ეს ცვლილებები, მაგრამ თავად მინისტრმა რომ კარდაკარ დაიწყო სიარული და ხშირად აკითხავს კულტურის კერებს, ეს აშკარაა.

რადგან ახალი მინისტრი მაინც ჯაზის კაცია, მისი ხათრით გასული წლის „კულტურის ლანდშაფტის" აღწერა თბილისის ჯაზფესტივალით დავიწყოთ. „ისტერნ პრომოუშენის" მიერ ორგანიზებული ჯაზფესტივალი უკვე წლების განმავლობაში ინარჩუნებს ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის პრესტიჟული კულტურული ღონისძიების სტატუსს. არც 2014 წელი გამოდგა ურიგო, რომელიც ამერიკელი გიტარისტის, ალ დი მეოლასა, და მისი ბენდის კონცერტით გაიხსნა. ცნობილმა ამერიკელმა მუსიკოსმა თბილისში თავისი ერთ-ერთი ბოლო პროექტი Beatles & more ჩამოიტანა და არც შემცდარა.

ცხადია, „ბიტლზის" სიმღერების უთვალავი და ნაცნობი ვერსიების ფონზეც ალ დი მეოლამ ბრიტანელ კლასიკოსებს ჯადოსნური გასაღები მოარგო. ამ ექსპერიმენტს კონცერტის მეორე ნაწილში გიტარისტი, პერკუსიონისტი და პიანისტიც შეუერთდნენ და სცენაზე ნამდვილად მუსიკის ზეიმი მოეწყო! არანაკლებ შთამბეჭდავი აღმოჩნდა დომინიკელი მუსიკოსის, მიშელ კამილოს, ტრიო და მისი იმპროვიზაცია, რომელიც ფესტივალის მოვლენად იქცა. მართალია მომდევნო დღეებში ანატ კოენისა და ჯორჯ მელის (იგივე გიორგი მელიქიშვილი) კვარტეტები ისეთივე ელვარე არ გამოვიდა, მაგრამ დევიდ ფიუზინსკის ასევე ბრწყინვალე ბენდმა ეს მცირე „ჩავარდნა" გამოასწორა.

წლევანდელი ფესტივალი იმითაც გამოირჩეოდა, რომ მუსიკის პარალელურად, თბილისის საკონცერტო დარბაზის ფოიეში მხატვარ დავით მჭედლიშვილის გამოფენაც – All That Jazz – მოეწყო. ეროვნულ გალერეაში კი ფრანგი ფოტოგრაფის, კრისტიან როზეს, უნიკალური ნამუშევრები გამოიფინა. ის გამორჩეული ჯაზმუსიკოსების ფოტოებს 60-იანი წლებიდან იღებს და მის ობიექტივში მხოლოდ ვარსკვლავები ხვდებიან. საინტერესოა, რომ კრისტიან როზე ჯაზფესტივალის ყველა კონცერტს ესწრებოდა და ცხადია, საკუთარ შემოქმედებას თბილისში ჩამოსული მუსიკოსების პორტრეტებითაც გაამდიდრებს.

ჯაზფესტივალიდან თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალამდე ორიოდე ნაბიჯია. უკვე რამდენიმე წელია სექტემბრის ბოლოს მარჯანიშვილის თეატრის სალაროებთან თეატრალების რიგი დგება, უფრო წინდახედულები კი აბონემენტებს წინასწარ იძენენ, რაც გაცილებით ჭკვიანურია.

ფესტივალმა სტრატეგია არ შეცვალა და განაგრძობს, ერთი მხრივ, ცნობილი თეატრალური ჰიტების ჩამოტანას თბილისში და, მეორე მხრივ, ცდილობს პროგრამა NEW ექსპერიმენტული სულისკვეთების წარმოდგენებით შეავსოს. ცხადია, წლევანდელ პროგრამასაც ჰქონდა თავისი პლუსები და მინუსები, თუმცა ორი მთავარი სანახაობა მაინც გამორჩეული

**■ ნაგავი და კანალიზაცია ჯერ კიდევ ქალაქების ცენტრში გვახრჩობს და თანაც, ჩვენს დასახიჩრებულ ცნობიერებას ისტორიულ-კულტურული არქეტიპები ისევ ძველებურად კვებავენ.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა





„ტკივილი არის ახალგაზრდობა" – რეჟისორი დათა თავაძე

„გვიანი სიყვარული" – რეჟისორი დიმიტრი კრიმოვი

აღმოჩნდა: პირველი, ეს არის დაახლოებით ოცი წლის წინათ დადგმული ტაივანური სპექტაკლი „ღრუბელთა კარიბჭე", რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. ცეკვის თეატრის, ფიზიკური ქმედების, და მედიტაციის სინთეზი ქართული ხალხური სიმღერების ფონზე (ანსამბლ „რუსთავის" შესრულებით) მართლაც შთამბეჭდავია.

მეორე კი – ცნობილი მიმის, სლავა პოლუნინის „თოვლის შოუ", რომელიც ორ მოქმედებადაა ჩაფიქრებული და პროგრამის მიხედვით დაახლოებით 90 წუთს გრძელდება. თუმცა მაყურებელს ფინალში უჭირს ამ მართლაც ჯადოსნურ სანახაობასთან განშორება. ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული სპექტაკლია „ლირის სიმღერები", რომელიც რეჟისორ გრჟეგორჟ ბრალისა და თეატრალური დასის („თხის სიმღერები") წევრების შრომისა და ფანტაზიის ნაყოფია. წარმოდგენილია სცენები მეფე ლირის ცხოვრებიდან და ეს ყველაფერი ჟესტების, სიტყვებისა და მუსიკის ენაზე.

წლევანდელ ფესტივალზე მაყურებელს საშუალება ჰქონდა აღიარებული ლატვიელი რეჟისორის, ალვის ჰერმანისის, შემოქმედებას გასცნობოდა. ვასილ შუკშინის მოთხრობის მიხედვით მის მიერ დადგმულ სპექტაკლს სახელწოდებით „შუკშინის მოთხრობები" დიდი წარმატება ხვდა მთელ ევროპაში.

რაც შეეხება პოლიტიკური კონტექსტის გამო 2012 წელს გაცოცხლებულ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფესტივალ „საჩუქარს", იგი წელს შეგვიძლია „რუსული სეზონის" სახელითაც მოვიხსენოთ. ცნობილი ამერიკელი რეჟისორის, ენ ბოგარდტის გახმაურებულ „რადიომაკბეტს" თუ არ ჩავთლით, ფესტივალის პროგრამა ძირითადად თანამედროვე რუსული თეატრით იყო წარმოდგენილი. მაყურებელმა სრულიად განსხვავებული ესთეტიკისა და სოციალური მზერის რეჟისორთა შემოქმედებაში (დიმიტრი კრიმოვი, ანდრეი ჟოლდაკი, ანდრონ მიხალკოვ-კონჩალოვსკის, რიმას ტუმინასი) გაცილებით მეტი ინფორმაცია მიიღო რუსული თეატრის შესახებ, ვიდრე ბოლო წლების განმავლობაში ერთად აღებული.

კლასიკის თანამედროვე თეატრალურ ენაზე ამეტყველება – დაახლოებით ასეთი გზავნილი იგრძნობა ნებისმიერ წარმოდგენაში. კრიმოვის გამაოგნებელი ფანტაზია სპექტაკლში „გვიანი სიყვარული", რიმას ტუმინასის მოულოდნელი და ირონიით აღბეჭდილი ჩეხოვი („ძია ვანია") და ანდრონ კონჩალოვსკის ტრადიციული, მაგრამ დახვეწილი „სამი და" გარკვეულ წარმოდგენას მაინც გიქმნით თანამედროვე რუსულ თეატრზე. თუმცა წლევანდელი ფესტივალის გამორჩეული ოპუსი მაყურებელს მაინც გერმანიაში მცხოვრებმა ცნობილმა უკრაინელმა რეჟისორმა ანდრეი ჟოლდაკმა შესთავაზა, რომელმაც ფლობერის პერფექციონისტული ტექსტი ლამის მისტიურ დრამად აქცია.

თუ ამაღლებული საფესტივალო განწყობიდან ჩვეულებრივ, პროზაულ ცხოვრებასა და პრემიერებზე გადავინაცვლებთ, სურათი არც ისე სახალისოდ მოგვეჩვენება. უამრავი პრემიერის მიუხედავად, თითებზე ჩამოითვლება მართლაც გამორჩეული ფორმისა და მასშტაბის სპექტაკლები. მათ შორისაა დათა თავაძის მიერ დადგმული ფერდინანდ ბრუკნერის „ტკივილი არის ახალგაზრდობა", სამეფო უბნის თეატრში და მიხეილ ჩარკვიანის სხარტი და სატირული სპექტაკლი „ბეჩავი" დავით გაბუნიას ახალი პიესის მიხედვით.

მოულოდნელად სოციალური და ზუსტი აქცენტებით გამორჩეული სპექტაკლი დადგა დავით დოიაშვილმა მუსიკისა და დრამის თეატრში. მაქსიმ გორკის პიესა „ფსკერზე" რეჟი-

**თუ ამაღლებული საფესტივალო განწყობიდან ჩვეულებრივ, პროზაულ ცხოვრებასა და პრემიერებზე გადავინაცვლებთ, სურათი არც ისე სახალისოდ მოგვეჩვენება. უამრავი პრემიერის მიუხედავად, თითებზე ჩამოითვლება მართლაც გამორჩეული ფორმისა და მასშტაბის სპექტაკლები.**

სორისათვის უფრო ტექსტის მოთვინიერებას ჰგავდა.

რატომ გორკის „ფსკერზე“ და რატომ დღეს? რეჟისორი ამბობს, რომ ის მდგომარეობა, რომელშიც საზოგადოება იმყოფება სწორედ ფსკერზე არსებობას ჰგავს, „თუ ჩვენ მივხვდებით, რომ საკუთარი ნებით ვართ ფსკერზე, ალბათ უფრო ადვილი იქნება გამოსავლის ძიება“.

ვიდრე ნიკა მემანიშვილი დოიაშვილის ახალი სპექტაკლისთვის მუსიკას წერდა, პარალელურად ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის გადარჩენის გეგმასაც ადგენდა. შენობა, რომელიც დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს და რომელშიც ორკესტრს მუშაობა უწევს, ლამისაა ჩამოინგრეს. ამდენად, ორკესტრის მთავარი დირიჟორი იძულებულია რეპეტიციები სხვადასხვა შენობებში გამართოს. შემოსავლისა და შემოქმედების ძიებაში მიქელაძის სახელობის ორკესტრმა თბილისის საკონცერტო დარბაზში შეკრებილ მსმენელს კინომუსიკის შედევრები გააცნო. ჩაპლინის, ნინო როტას, ენიო მორიკონეს, ჯონ უილიამსის, გია ყანჩელის მუსიკა შესანიშნავი მიზეზია პრობლემების დროებით დასავიწყებლად, თუმცა ის არ ქრება.

სამაგიეროდ, პრობლემების გარეშე ჩატარდა ტრადიციული მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა“, თელავში. რომელიც სახელოვანი პიანისტის, ელისო ვირსალაძის სახელს უკავშირდება. ორკესტრს ამჯერად ცნობილი დირიჟორი არიელ ცუკერმანი ხელმძღვანელობდა. წელს ფესტივალში მონაწილეობენ ელისო ვირსალაძე, ლიანა ისაკაძე, კოლია ბლაჰერი, ნელსონ გოერნერი, ალექსანდრ ბუზლოვი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი, გრიგორი კროტენკო...

ასე რომ, კულტურა თავად აწესრიგებს და ანაწილებს სივრცეს. ზოგი თელავში უსმენს კლასიკურ მუსიკას, ზოგი ჯაზს თბილისის საკონცერტო დარბაზში და ზოგიც სოციალურ როკმუსიკას მიწისქვეშა გადასასვლელში. ასე რომ, ბატონი ბოდრიარი ნაწილობრივ მაინც მართალია – კულტურა ნაგავსაყრელებითაც იკვებება და პირიქით – მიწისქვეშეთს გიტარაზე დამღერებულ სიმფონიებიც უხდება!



„სიმინდის კუნძული“ – რეჟისორი გიორგი ოვაშვილი.



ჩაპლინის, ნინო როტას, ენიო მორიკონეს, ჯონ უილიამსის, გია ყანჩელის კინომუსიკა თბილისის საკონცერტო დარბაზში.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# პროფესია

გიო ახვლედიანი

ოდესღაც ერთ კლუბში მოთამაშე უცხოელი ფეხბურთელების რაოდენობა საერთოდ არ იყო განსაზღვრული. ვისაც ვინ მოუნდებოდა, შეითანხმებდა და მიჰყავდა. ზოგიერთი ამათგანი მერე იმ ქვეყნის მოქალაქეც ხდებოდა. ალბათ უფრო საუკეთესონი.

ეს უმეტესად ორ ქვეყანაში, იტალიასა და ესპანეთში ხდებოდა და, ცხადია, ასეთი ფეხბურთელების სრული უმრავლესობა სამხრეთ ამერიკიდან იყო. მაშინ უფრო სხვანაირი დროება გახლდათ, წამოხვიდოდი და წამოხვიდოდი, სად იყო ასე ევროპიდან შინ გევლო სანაკრებო თამაშებზე.

ამგვარი გამოქალაქევება ჯერ კიდევ მუსოლინის დროს დაიწყო არგენტინიდან იტალიაში, მაგრამ ეგ სულ სხვა ისტორიაა. სამხრეთ ამერიკის უდიდესმა ექსპატრიატებმა – დი სტეფანომ, სივორიმ, ჟოზე ალტაფინიმ – ესპანეთისა და იტალიის ნაკრებებს კვალი ვერ დაამჩნიეს. საკვირველიც კია, იმდენად ვერ დაამჩნიეს.

მერე დრო გამოიცვალა, იმდენად გამოიცვალა, რომ ზოგან საერთოდ აკრძალეს უცხოელი ფეხბურთელის მიღება. ერთ-ერთი ამათგანი, იტალია იყო, სადაც ერთხანს მხოლოდ იტალიელები თამაშობდნენ კლუბებში, მერე თითო უცხოელი დაუშვეს, მერე კი ორ-ორი. სხვადასხვა ქვეყანაში ეს სხვადასხვაგვარად იყო. საბოლოოდ საქმე ოთხამდე ავიდა, მერე ოთხ უცხოელამდე ძირითად შემადგენლობაში და ასე შემდეგ, ვიდრე დღევანდლამდე.

დღეს კანონის ენით ექსპატრიანტი არის ადამიანი, რომელიც ამჟამად ან მუდმივად ცხოვრობს იმ ქვეყანაში, რომელშიც არ დაბადებულა და არ გაზრდილა. ეს ტერმინი უფრო შეეხება პროფესიონალებს, კვალიფიციურ ადამიანებს, რომლებიც უცხო მხარეში კანონიერად მუშაობენ.

შეიძლება საკვირველია, მაგრამ ფეხბურთი დღეს ექსპატრიანტების სპორტია. ამაში ცუდი ალბათ ბევრი არაფერია, მაგრამ მასშტაბი კი დიდი გახლავთ.

წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიაში, ექსპატრიანტების ნამდვილი ლაშქრობა იყო. მართალია, ნაკრებებში უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელების პროცენტი, 0-დან 100-მდე იყო განფენილი, მაგრამ ის 0 ამ მონაცემებში ამინდს ვერა ქმნის, რახან იგი რუსეთის ნაკრებს ეკუთვნის. 100 კი ურუგვაელთა პროცენტია: ნაკრებში მოთამაშე ყველა ურუგვაელი საზღვარგარეთ მოიპოვებს სარჩოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Silk TV აპლიკაცია

ინტერაქტიული ტელევიზია ტელევიზორის გარდა ახლა უკვე სხვა მოწყობილობებზეც.




ANDROID APP ON Google play

Available on the App Store

## Silk Up მობილური აპლიკაცია სილქნეტისგან




უფასო მობილური აპლიკაცია, რომლის დაინსტალირება შესაძლებელია ანდროიდზე და iOS-ზე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**ეგებ დღევანდელი ფეხბურთი, მისი მეურნეობა და ყოველდღიურობა უკიდურესად თანამედროვე რამეებს შეიცავს, მაგრამ ის ერთ-ერთი უძველესი პროფესიული სპორტია და, შესაბამისად, მას არამხოლოდ გატაცების, ნიჭის და სიამოვნებისთვის თამაშობენ.**

ნაკრების ფეხბურთელების 96 პროცენტი უცხოეთში თამაშობს სპილოს ძვლის ნაპირის გუნდში, 91-91 - ალჟირისა და კამერუნის ნაკრებებში, 91 - ბოსნიელებისაში, 87 - არგენტინისაში, 83 - ბრაზილიისაში, 65 - საფრანგეთისაში.

ფეხბურთლების 30% გერმანიის ნაკრებისა ასევე უცხოეთშია, 17 კი - იტალიის ნაკრების ფეხბურთელებისა. ინგლისელებს ამათზე ბევრად ცოტა, სულ სანაკრებო ფეხბურთელების 4% პროცენტი, გამოუვიდათ საზღვარგარეთ.

ქვეყნები, სადაც ყველაზე მეტი მოწვეული ფეხბურთელი თამაშობს კლუბებში, ევროპაშია: ინგლისი (19,7%), გერმანია და ესპანეთი (13-13).

კვლევებით დადგინდა, რომ უცხოეთში წასულ ფეხბურთელთა შორის ყველაზე მეტი ნახევარმცველია. მერე მოდიან მცველები, მერე თავდამსხმელები და სულ ბოლოში, რა თქმა უნდა, მეკარეები დგანან.

ეს ეგებ ჩვეულებრივი ამბავიც იყოს, სტატისტიკა და მსოფლიოს ეკონომიკური სურათის გამოძახილი. ამასთან ერთად ფეხბურთის სოციალური ფესვები, მისი თამაშის სურვილის ტრადიცია და მისით უკეთესი ცხოვრების ძიების საშუალება. ათასი მიზეზია.

ეგებ დღევანდელი ფეხბურთი, მისი მეურნეობა და ყოველდღიურობა უკიდურესად თანამედროვე რამეებს შეიცავს, მაგრამ ის ერთ-ერთი უძველესი პროფესიული სპორტია და, შესაბამისად, მას არამხოლოდ გატაცების, ნიჭის და სიამოვნებისთვის თამაშობენ.

დიდი ხანია, რაც ფეხბურთს ოჯახის გამოსაკვებად თამაშობენ და აქ ყველა სხვადასხვანაირ ხელფასს იღებს კვირის ბოლოს: ზოგი მხოლოდ ამ კვირის საკვებისთვის, ზოგი ამ თვის, ზოგი ამ წლისთვის და ზოგიც უახლოესი ასი წლისთვის. ადგილს, ფეხბურთელს და ქვეყანას გააჩნია. ამიტომ ფეხბურთელი მოხეტიალე, დაქირავებული კაცია, რომელიც ცდილობს ადგილი იპოვოს.

ამის საუკეთესო მაგალითია ბრაზილია.

ფიფას 200 წევრი ქვეყნიდან დღეს 180 ქვეყნის კლუბებში დაახლოებით 5 ათასი ბრაზილიელი ფეხბურთელი თამაშობს. სულ სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა ანაზღაურებისა. ბრაზილიელი ლეგიონერები ისლანდიაშიც კი არიან, კვირაში ას დოლარად. მახსოვს, ერთი ასეთი ფეხბურთელის ინტერვიუ, რომელიც თავისი შემოსავლით კმაყოფილი იყო — ნახევარს ჩემს პატარა ქალაქში ვუგზავნი ოჯახს, ნახევარი კი აქ მყოფნისო.

ყოველ წელიწადს სამშობლოს დაახლოებით 950 ბრაზილიელი ფეხბურთელი ტოვებს. ასევე ყოველ წელიწადს 450 ბრაზილიელი ფეხბურთელი შინ ბრუნდება სათამაშოდ. ეს მიახლოებითი ციფრებია, გასაშუალოებული და მუდმივად ცვალებადი.

წლეულს, მაგალითად, სარეკორდო წელიწადი იყო: უცხოურ კლუბებთან კონტრაქტს ხელი მოაწერა 1 176 ბრაზილიელმა ფეხბურთელმა.

ერთი საოცრება ბრაზილიური ფეხბურთისა ის არის, რომ მგონი ყველა რომ წავიდეს, იქ მაინც იმდენი იზრდება და რჩება და ისეთი ნიჭისა და კლასისა, რომ ამით იქაურ ფეხბურთს, როგორც ფენომენს, არაფერი აკლდება, თორემ იქაურ ფეხბურთს, როგორც ეკონომიკას, როგორც ეძახიან ახლა ასეთ რამეებს, კარგა ხანია, შავი დღე უდგას.

ბრაზილიაში მოთამაშე პროფესიონალი ბრაზილიელი ფეხბურთელების დაახლოებით 85%-ს ხელფასი თვეში ათას დოლარზე ნაკლები აქვს და მათი გვარიანად დიდი პროცენტი მხოლოდ საჭმლისთვის თამაშობს.

უმაღლესი ლიგების მატჩებზე დასწრება ამერიკაში, იაპონიასა და ავსტრალიაში შესამჩნევად მაღალია, ვიდრე ბრაზილიაში. დიდ და პატარა კლუბებს ბრაზილიაში უზომო ვალები აქვთ, კლუბებს უხელფასო ადამიანები მართავენ. როგორც ერთხელ ვამპეტამ თქვა, ისინი თავს გვაჩვენებენ, რომ გვიხდიან, ჩვენ კი თავს ვაჩვენებთ, რომ ვთამაშობთ.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დიდი და პატარა დაძრულია. თითქოს საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ისინი კვლავ არსებობენ, კვლავ იზრდებიან და კვლავ უნდათ ფეხბურთის თამაში. უფრო სწორად კი, კვლავ სჯერათ ამ ძველი ბრაზილიური პროფესიის.

საიდუმლოც ამაშია.

იყო ბრაზილიელი ფეხბურთელი, პროფესიაა, პროფესია კი ასე არ ქრება.

მით უმეტეს, რომ სხვა ასეთი პროფესია არ არსებობს. თან ეს ისეთი პროფესიაა, რომელიც ყველას სჭირდება, ვინც კი ფეხბურთში რამის გაკეთებას აპირებს. მგონი, ამიტომაც იზრდებიან ბრაზილიაში ამდენნი და ასე, მათ პროფესიაზე მოთხოვნილებაა.

ბრაზილიელი ფეხბურთელი, საერთაშორისო პროფესიაა, თვითონ ბრაზილიას ამდენი ფეხბურთელი არც სჭირდება და არც უხდის მათ. ამიტომ, ფეხბურთისთვის საბედნიეროდ, ეს ყველაფერი კიდევ დიდხანს იარსებებს, ასე, ცალკე პროფესიად, ხელობად, რომელსაც ბრაზილიელი ფეხბურთელი ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

ი57/164

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

მოგვყევით

twitter

http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვიწონეთ

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ

YouTube

http://youtube.com/LiberaliMagazine